

გიორგი სოსიაშვილი

გზის გადაღმა



გამომცემლობა „ჯივერსატე“
თბილისი 2012

რედაქტორი: გიორგი სორბალაძე

ტექ.რედაქტორი: ლია პავლიაშვილი

მხატვარი: თემურ მეფარიშვილი

© გიორგი სოსიაშვილი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძეს გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-753-8

მზის გადაღმა

— გახედე, — მზისკენ მიანიშნა თედომ.

თამარმა თვალები მოჭუტა, ცრემლჩამდგარი თვალები და გული ზაფხულის მნათობს მიაპყრო მზერა, მაგრამ მზის ჭიანჭველები აღარ დასვეია, როგორც ყმაწვილქალობაში. მზე ოდნავდა ბჟუტავდა, ოდნავდა ანათებდა.

— დაინახე? — პკითხა თედომ და აკანკალებული ხელი მოსაჩრდილებლად ძლივს მიიტანა შუბლთან.

— რა უნდა დამენახა? — პკითხა ბერიქალმა.

— რა უნდა დაგენახა და ის სოფელი, რომელზეც გიყვებოდი, მზის იქით არის, ასე მეუბნებოდა დედაჩემი ხოლმე, ის სულპურთხეული, ეხლა ისიც იქ არის, შეიძლება, იქიდან გვიყურებს.

— რომელი სოფელი, — თედოს მიაპყრო თვალები ქალმა.

— რომელი სოფელი და სადაც ჩვენც უნდა წავიდეთ. მზის იქით იწყება ახალი ცხოვრება. იქ მიდიან ადამიანების სულები, იქ სულ მზეა, არ ლამდება, განა ამ წუთისოფელსა პგავს, ამ ვერანსა ამას, ნახევარ ცხოვრებას რო ძილში ვატარებთ, უგრე გვადნება ხელებშია, გათენდება, დაღამდება, გათენდება დაღამდება, გემატება და გემატება წლები, გახსოვს რამოდენა ვიყავი, აბა ეხლა შემომხედე, რო გავიხდო, ჩვრების გროვას დავაყენებ ხოლმე, გაილევი

კაცი და მერე ის გალეულიც მიწამ უნდა შეგჭამოს. რაღა დამრჩა, ას წლამდე ვინდა ცხოვრობს ეხლა, ვერ გაიგონე, რა მითხვა იმ შობელძალლმა ექიმმა, რამდენი წლისა ხარო, ოთხმოცდაათისა მეთქი, ჩაეცინა ულვაშებში და ჩემს ბიჭს ლიმილით გადახედა, ნეტა შენი ტოლები ჩვენც მოვიყაროთო. გული დამეწვა, მაშინ ვიგრძენი, რო ჩამოიფქვა ჩემი საფქვავი ბედის წისქვილში. წამლები კი გამომიწერა, მაგრამ იმ წამლის დამლევი ვარ? პაა, რამდენიდა დარჩა, გაწელე, გამოწელე, ერთი-ორი შემოდგომა და ეგ არი. მაგრამ მთავარია, რომ ერთად ვართ და ესე შევაბერდით ერთმანეთს. ხომ არაფერი მიწყენინებია შენოვის?

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— გახსოვს, ჯვრისწერაზე მამა ეფრემმა რომ გვითხვა, ტკბილად შეაბერდით ერთმანეთსაო, მაშინ ხომ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ერთ დროს, ძალიან დიდი ხნის შემდეგ, ესე დაბერებულები, ვისხდებოდით და წუთისოფელზე ვიწუწუნებდით.

— მაშინ სხვა დრო იყო, მაშინ სხვა ადამიანები ვიყავით, სხვა თვალით ვუყურებდით ყველაფერს. ასე მგონია, ყველა ასაკში რამდენჯერმე იბადება ადამიანი. ჯეელობაში სხვანაირები ვიყავით, ეხლა სხვანაირები ვართ. ასეთია ეს დასაწველი ცხოვრება. გამჩენმა ეგრე დააწესა, მაგრამ... — ჩაფიქრდა თამარი, ხილაბანდიდან ჩამოწეწილი ჭაღარა შეისწორა, —

რა იქნებოდა, წინასწარ რო სცოდნოდა ადამიანები, თავისი მომავალი.

— ეგრე სად არის, ჩემო ბებერო ქვედანო?! — ჩაიქირქილა თედომ, — როგორც ჩვენ მოვატყუეთ უფალი, ისიც სამაგიეროს გვიხდის.

— როდის მოვატყუეთ? — გამომშრალ-დანაოჭებულ სახეზე ქალს გაოცება დაეტყო.

— როდისა და მაშინა, სამოთხეში რო შეგვიყვანა, კაი ბაგაზე დაგვაბა და ჩვენ კიდევა, უფრო სწორედ შენა, საიდან გადაეყარე, იმ არსახსენებელსა, საიდან მოსრიალდა. მერე შენ მე შემაცლინე და იმიტომაც წამოვედით იქიდან.

— რაებსა ბოდიალობ, კაცო, — გერაფერი გაუგო ქმრის ნათქვამს.

— ჰო ეგრე იყო, ადამი და ევა.

— მერე ჩვენ რა შუაში ვართ.

— შუაში კი არა, თავში ვართ. არ გახსოვს. სამოთხის ვაშლი რო შემაჭამე, კარგი იქნებოდა ხელიდან გადამეგდებინებინა, მაგრამ შენი ახირება, მერე მეც წამძლია სულმა და მაშინვე თვალი ამეხილა, როგორი კაი შესახედავი იყავი შიშველი, თეთრი მიტკალივითა, ფიფქინა, განა ასე კი არ იყავი ჩამიჩივით, სისხლი ამერდვრა მაშინათვე.

— რაებსა ბოდიალობ, ერთი გამაგებინე, — გაწყრა ქალი, — რა ვაშლი, რის ვაშლი?

— რა მოკლე მესიერება გაქვთ ქალებსა, რა მოკლე...

— რაღას ვიზამთ ეხლა, რაც იყო, იყო, დამ-
თავრდა, გაილია ცხოვრება. ეხლა იმ სოფელ-
ზე ვიფიქროთ, მზის გადაღმა რომ არის, იქ
არიან წასულები ისინი, ვინც აქაურობა უკვე
დატოვა და როგორც დედაჩემი იტყოდა, იქ
სულ დღეა, სულ მზე ანათებს. მეც კი მაქვს
ნანახი ის სოფელი სიზმარში, მაგრამ გეგონე-
ბოდა ცხადში ვიყავი. აქ ხო ცხრაოვალა მზეა,
იქ უნდა გენახა, სულ სხივებშია გახვეული
ყველაფერი, სულ ყველაფერი მზისგან არის
გაკეთებული, წყალი რო წყალია, ისიც კი
მზისაა.

— ტყუილა არ უთქვამთ: „ადამიანი რო ბერ-
დება, ჰქუა ეცლებაო“, — ჩაიცინა ქალმა.

— კი არ ეცლება, ეცლება, აკი შენ თვი-
თონ თქვი, ყველა ასაკში ადამიანი ხელახლა
იბადებაო, — ჩაილაპარაკა თედომ, — აი, ჩვენს
ასაკშიც ხელახლა დაგიბადეთ და ჰქუაც სხვა-
ნაირი გვაქვს, ჩვენი ჰქუა სიკვდილს არის შე-
გუებული. ახალგაზრდობაში, სიკვდილზე რო
დიდხანს გეფიქრა, შეიძლება ჰქუიდან გადასუ-
ლიყა კაცი, მაგრამ ეხლა, რაც უფრო მივუახ-
ლოვდით სამანს, თითქო აღარცა ვფიქრობთ
და აღარც გვაშინებს, იმიტომ რო ახალგაზრ-
დობაში მაინც გვქონდა თითქოს იმის იმედი,
რო რაღაცა შეიცვლებოდა, ცხოვრების კანონი
სხვანაირი გახდებოდა და სიკვდილს ავცდებო-
დით. ეხლაც... ხომ ასე დავბერდით, ძარღვებში
ვგრძნობ, როგორ ზარმაცად მოძრაობს სისხ-

ლი, გული ხაორითა სცემს, სიკვდილთან ახლოს ვდგავართ, მაგრამ მაინც ვერ წარმოგვიდგენია, თუმცა რაღაცნაირად უკვე შეგუებულები ვართ.

— შვილები, შვილები ხომ გვრჩება, შვილი შვილებიც, ამხელა მონაგარი, ეზოში ვერ ეტევიან, ერთად რო შეჰყარო. ჩვენ წავალთ, მერე ისინი გააგრძელებენ, მერე კიდევ იმათი მონაგარი. გამჩენს ასე უფრო ურჩევნია, ალბათ. ერთი და იგივე ხალხი სწყინდება. — ჩაიცინა თამარმა.

— მესმის, — თედომ გამხდარ მხარზე ხელი გადახვია მეუღლეს, — მაგრამ მაინც ცოდონი ვართ ადამიანები, სიცოცხლე იმდენად შეგვაჭვარა ღმერთმა. ალბათ, მაპატიოს და ასე არ უნდა მთავრდებოდეს, მაგრამ მე მაინც მჯერა, რო მზის გადაღმა როცა მოვხვდებით, იქ უფრო კარგი ცხოვრება იქნება, თუმცა, საკითხავი ის არის, ვიცნობთ თუ არა იქ დედამიწიდან წასული ადამიანები ერთმანეთს, არა მგრია, რო ვიცნოთ, რაღა გამოვა, ისევ ისეთი ცხოვრება იქნება და მზის სოფელი კი არა, წუთისოფელი დაერქმევა. რა ჯანდაბად მინდა, გნახო და ვერ ვიცნო, აქ ამდენი წლები რისთვის ვიყათ ერთათა. ისე, ამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იმ წესულმა ვაშლი შემოგატყუა, ამდენი ხალხი წავიდა მზის გადაღმა და ერთ ადამიანს არ მოსვლია თავში აზრად, რომ გამჩენთან მისულიყვეს და ცხოვ-

რების შეცვლა ეთხოვოს.

— იქნებ არცა ჯობდეს, — თქვა თამარმა, — უფალზე კარგად ვინ უწყის, როგორი უნდა იყოს ცხოვრება.

თედომ აკანკალებული ხელებით ახლოს მი-იზიდა მეუღლე, რომელმაც წაუჩოქებლად უზიდა უღელი, ამ უღელს გაელია, გამოეშრო, თანაბრად დაეზნიქა ორივე. ერთად დაზრდილ-ნი ერთად დაბერებულიყვნენ, გულში ისევ ენთო ცეცხლი, სიცოცხლის ცეცხლი, მაგრამ ტანზე, სახეზე სიძერის ხვიარა მოსდებოდებათ. ჩაცვენილ, ცრემლიან თვალებში ჩახედა ცოლს, ხილაბანდი გადააძრო, გალეული, თავ-ზე დატკეპნილი ჭალარა გამოუჩნდა თამარს. თედო უხორცო გამოფიტულ ყვრიმალებზე ეამ-ბორა თანამეცხედრეს.

— ხო არ დამივიწყებ მზის გადაღმა, ჰა?

თამარს ცრემლიან თვალებში სევდანარევი ღიმილი ჩაუდგა.

თოანე

მარტო ისდა დარჩა, მარტო ისდა შესცექურის უამურის გულზვიად მთებს, რომელთაც ბარე თრი თვეა თოვლში მიყუჩებულებს ძილმა წართვა თავი. მალ-მალე გამოვა, გახედავს თვალისმომჭრელ სივრცეს, თითებზე ითვლის დღეებს, რამდენი დარჩა? პა, პა თრმოცი დღე და ეგ არის, გაზაფხულის მზე დაეკიდება ცაზე, სისხლი გაუთბება დედამიწას, ეს თვალისმომჭრელი თოვლიც გაპქრება და სუნთქვას დაიწყებს ხეობა, ხევში გამდნარი წყალი გალეჭდება, მირკანის პირველი ქუხილი ტყეში მიბუდებელ ბინადრებს ძილ-თვლემას დაუფრთხობს. მანამდე? მანამდე გაძლება უნდა, გაძლებას ლოცვა სჭირდება. თახჩიდან გამოიდებს დედა ცეცილიას ხელით ჩამოქნილ კელაპტრებს, უჭმელობით, უფრო სწორად, მკაცრი მარხვით გალეულ სანთლისფერ ხელს ნაზად შეახებს, თითქო თავის სულიერ დას ეფერებოდეს, მერე ნაზადვე აანთებს კვესს, მოუკიდებს, ხატების წინ მუხლებზე დაემხობა და ლოცვას იწყებს.

მარტო ისდა შერჩა გამოცარიელებულ ხეობას. ციცქნა, საუკუნეთა წინ ნაგები სალოცავის გვერდით აშენებული ბანიანი სახლიდან გადასცექრის დაბლობს და გული ეკუმშება, ხანდახან ცრემლი მოაწვება, ტირილი არ სჩვევია, მაგრამ დაცლილი სოფლების დანახვაზე

ვეღარ იკავებს კურცხალს, თითქო თვითონაც იყოს დამნაშავე, აცრემლილ თვალებში რისხევის ცეცხლი ჩაუდგება. სული მოთმინებისკენ მოუწოდებს, მოთმინებისკენ, ურომლისოდაც ადამის ძე ვერასოდეს ცხონდება, მაგრამ... და ეს მაგრამ ისევ აუშლის ფიქრებს, ერმა მარტო სულის ცხონებაზე არ უნდა იფიქროს, ერს სისხლი აქვს, ამ სისხლს მოვლა უნდა, ეხლა ეს სისხლი ზაფხულში მიწრეტილი ნაკადულივით ისე მიღიკლიკებს, ისე უხმოდ, ვერც კი გაიგებ თუ არსებობს, გაზაფხული სჭირდება ამ ნაკადულს, რო ახმაურდეს, როგორც მთის მდინარე. მერე სხვებიც გაიგებენ და ნახონ... პატარა ნაკადულს ყველა ზედ ახტება, აი, გალექებულ წყალს კი ფონს უძებნიან, ისე ადვილად ვერავინ შეძედავს. ვჲ, იოანე, იოანე, რაღა დროს ერის გაზაფხულია, რაღა დროს ერის სისხლზე ლაპარაკია, წაგვლეკა მტერმა, შეხედვ, გადაბუგული ნასოფლარებიდა დარჩა, ხალხი გაიქცა, თავს უშველა, ერის სისხლის მოძრაობას, როცა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ხარ, ვერავინ გრძნობს. აპა, დარჩი მარტოდ-მარტო, ეული მეციხოვნესავით დგახარ ახლა ამ სიმაღლეზე და გადაჭყურებ ხეობას, თითქო შენი ანაფორით და სპილენძის ჯვრით შეაჩრებ ამოდენა მტერს, რას უშველი, ერთი ლოცვალა დაგრჩენია, ეგებ შენი წრფელი ლოცვა შეისმინოს უფალმა და რამე ეშველოს დალოცვილ მიწას, რომელიც გადამთიყველებს

რჩებათ. ტანში გააქრუოლა. გადამთიელები. გაახსენდა ორიოდე დღის წინანდელი ამბავი, ვევბა ხის ჯვარი მარტოდმარტომ აღმართა, ბარე სამი დღე მოუნდა. ტაძრის გვერდით, სადაც საურმე გზა ამოდიოდა, თავისი ხელით გაკეთებული ჯვარი წეალებ-წეალებით მიიტანა და წინასწარ ამოთხრილ ორმოში ვაი-ვაგლახით ჩასვა. ორი რუსის ჯარისკაცი წამოადგა თავს. მიესალმნენ, სალოცავის გვერდით ქვებზე ჩამოსხდნენ და თამბაქო გააბოლეს.

ერთმა საჭმელი სთხოვა. იოანემ თავისი ხელით გამომცხვარი შოთები გამოუტანა.

— მარტო ხარ? — პკითხა ასაკით უფროსმა, იოანემ თავი დაუქნია.

— მარტო არ იქნება, — მეორემ შოთი გაგლიჯა და იოანეს გამომცდელი მზერით შეაცქერდა, — სხვებიც ხომ იყვნენ?

— ვინ სხვები? — პკითხა იოანემ.
— შენი მეგობრები, დაბლიდან გაკვირდებოდით.
— მონაზვნები იყვნენ და წავიდნენ.
— რატო წავიდნენ, — შოთის ყუა გემრიულად ჩაიტვლიავა ჭრელთვალებამ.

იოანე მცირე ხანს კრიჭაშეკრულივით დაღუმდა, ხმას არ იღებდა, თითქო ენა ჩაუვარდა.

— ოსების შიშით წავიდნენ, — ბოლოს როგორც იქნა დაიმორჩილა ბაგე, — შეგვავიწროვეს, სხვა გზა არ დარჩათ, მე თვითონ ვთხოვე, რომ წასულიყვნენ.

— ეს ჯვარი რატომ დადგი?

— ეს წმინდა ადგილია, ძველი დროიდანვე ბერ-მონაზვნები ცხოვრობდნენ. ჯვარმა იქნებ გამოაფხიზდოს ეს ხალხი.

— ვინ ხალხი? — გულუბრყვილოდ იკითხა რუსმა.

— ვინც ეს უბედურება დაგვაღწია, — ჩაილაპარაკა იოანემ ისე, რო რუსებისთვის არ შეუხედავს და გადამწვარი ნასოფლარებისკენ გააქცა დაფერფლილი მზერა.

რუსმა ბერზე გაიწია, ხელის გარტყმა მოინდომა, მაგრამ მეორემ არ დაანება.

— შენც მოგიწევს აქედან წასვლა, — ჩაილაპარაკა და იოანეს მისამართით უწმაწურად შეიგინა, — ხომ ხედავ როგორ ლაპარაკობს, გამორიცხული არ არის, ეს მდვდელი საიდუმლო ინფორმაციებსაც აწვდიდეს აქედან.

იოანე წამოდგა და სალოცავში შესვლა დააპირა.

— სად მიდიხარ, ეგ ჯვარი აიღე აქედან, აქ გზა უნდა გავიყვანოთ.

იოანეს ყურადღება აღარ მიუქცევია, სალოცავისკენ წავიდა.

რუსებმა ბერის საცხოვრებელში შეაბოტეს, კარგა ხანს იბორიალეს, რას ეძებდნენ, ღმერთმა უწყოდა, მაგრამ ხატებისა და კელაპტრების მეტს იქ ვერაფერს მიაგნეს.

* * *

— იქნებ წასულიყვავი, მამაო, აქ დარჩენა ეგ-

ებ არცა დირდეს, რა იცი, რა ქარმა დაუქროლოთ ამ ვერნებს, ამათვის სულერთია, ბერი ხარ, თუ ჩვეულებრივი არსება, შენი პატრონი აქ ვინ იქნება, ვინ მოგხედავს, უშველებელი თოვლი მოვიდა, ეს საურმე გზაც ჩახერგა, პურწყალი ხომ მაინც გინდა. შიმშილით ხომ არ მოიკლავ თავს.

— ბადრი, შენ ხარ? — თავი წამოსწია მამა ოოანემ, კანდელის სუსტი სინათლით განათებელ სენაკს მოავლო თვალი, ოთახში არავინ იყო, მიხვდა რო ესიზმრა. ბადრი დასიზმრებოდა, თავისი სულიერი შვილი, რომელიც ყოველ კვირას ამოდიოდა მამა ოოანესთან. მისი სახე დაუდგა თვალწინ. მერე სხვა ბიჭებმაც გაიელვეს. როგორ ენატრებოდა მათი დანახვა ოოანეს, მათი სიტყვის გაგონება, ეს საცხოვრებელი მათი აგებული იყო, მთელი ზაფხული სული არ მოუთქვამთ, მუხლი არ შეუსვენებიათ, ისე იმუშავეს, ქარჩოხის ხევიდან ჩამოზიდეს საშენი მასალა და ჩალისფერი ქვით მოაპერანგეს ბერის საცხოვრებელი.

წამოდგა ოოანე, ბუხართან ჩაიმუხლა, მიღველფილ ცეცხლს, რომელსაც ძილი მორეოდა, სული შეუბერა, მერე ნაკოდლები მიაწყო. ალმა ენა ასწია, სენაკში სითბო დატრიალდა. ოოანე თახჩასთან მივიდა, კელაპტარი აანთოდა და ლოცვად დადგა.

ხალხი გარბოდა თავზარდაცემული, გონებადაბინდული, გადარჩენის ჟინით შეპყრიბი-

ლი. გარბოდა უმისამართოდ. იცლებოდა სოფ-ლები. რუსული ტანკები სადაც იყო თბილისს მიატანდა. სისხლი, ვაება, უბედურება, რჩებოდა ცხედრები და რუსის ჩექმისქვეშ გათელილი ქართული დირსება. ახლა ის ქართველები ითხოვდნენ იარაღს, ახლა ის ქართველები ითხოვდნენ მოხალისეებად ჩაწერას და სამშობლოს დაცვას ამ უზარმაზარი გველეშაპისაგან, რომელთაც რუსთის შორეულ ქალაქებში მოეხადათ სამხედრო-სავალდებულო სამსახური. ცოტაც და ისევ აფრიალდებოდა წითელი დროშა, ისევ გაჩერდებოდა დროის დინება. ქართლის სოფლებს მოსდებოდნენ სტეპებში გაზრდილი რუსი ჯარისკაცები.

ამ დროს ჟამურის ხეობაში დაყუდებული ბერი ერის გადასარჩენად დამეებს ათენებდა ლოცვაში.

* * *

უკანასკნელი დერიც ჩაიწვა და ბუხარსაც ძილი მოერია, მთქნარება დაიწყო. სული შეუბერა მამა იოანემ, ალი მოაძლიერა, მაგრამ ძალაწართმეულ ცეცხლს სულის შებერვა რას უშევლიდა. შეშა გამოილია, ტყე კი ახლოს ჰქონდა, მაგრამ მუხლზე ზემოთ იდო თოვლი და ტყეში ასვლა ეგრე იოლი არ იყო. უკვლევი გზის გარდა სხვა სიძნელეც არსებობდა, მამა იოანეს სახლთან ისე არ დაღამდებოდა, მგლის ხროვა არ მოსულიყო. დამშეული ნადირი გარ-

შემო უვლიდა ბერის საცხოვრებელს, ანთებული თვალებით უვლიდა და ისეთი საშინელი ხმით შეპყრობა დამეს, რო გული დაებზარებოდა კაცს. ხანდახან რკინის კარზე ჩელთს შემოარტყამდა იოანე, რო მგლები გაეყარა, მათი ყმუილი ლოცვაში ხელს უშლიდა, მაგრამ შიმშილის ჟინით შეპყრობილ ტყის არსებებთან ვერაფერს ხდებოდა. ცეცხლოვანი თვალებით შესცექოდნენ კელიის კარს დანქრეული მგლები.

* * *

ვაი-ვაგლახით მოათრევს წელამდე თოვლში რცხილის ხერგილს იოანე, ხელები დაებუხა, თითქო სისხლი გაუჩერდა. სულ ორმოცდაათიოდე ნაბიჯიდა აშორებს საცხოვრებელთან. შეჩერდა, ყინვიანი ჰაერი ღრმად ჩაისუნოქვა და ცას აჲხედა. მერე თოვლით გადალესილ ქედებს მოავლო მზერა, რა სილამაზე იყო ირგვლივ, პირველყოფილი სისპეტაპე ეფინა ყველაფერს, თითქო არც კაცთა მოდგმა არსებობდა, არც ცოდვიანი დედამიწა. მხოლოდ სითეთრე, სითეთრე, თვალისმომჭრელი სითეთრე სუფევდა. უხაროდა ბერს, მშიერი იყო, გათოშილი, მაგრამ სხეულს თითქო ვერცა გრძნობდა. უხაროდა, რო ასეთი ადგილი არგუნა უფალმა მას ბერული ცხოვრებისათვის. აქ უფრო უადვილდებოდა საკუთარი თავის პოვნა, აქ უფრო ძალუმად გრძნობდა ლოცვას მისი სული.

ღმერთთანაც უფრო ახლოს იყო. საიდანდაც დასცქეროდა ყოვლისმზირალი თვალი სიქათქათეში გახვეულ ხეობას, სადაც ცხოვრების უკანასკნელ წუთებამდე დარჩენა გადაწყვიტა ბერძა.

— აუუუ, აუუუ, — ფიქრი დაუფრთხო მგლების ყმუილმა იოანეს. შეკრთა, მზერა აქეთ-იქით გაექცა, უნებურად ცულზე დაიხედა, ბადრის დატოვილ ცულზე, ბერის ნაკვალევს მშიერი მგლები მოსდევდნენ. წამოდგა, ძალა მოიკრიბა, ისევ აპხედა ცას, მერე საცხოვრებლისკენ გაექცა მზერა. ორმოცდაათი ნაბიჯი რაღა იყო, ორმოცდაათი ფეხის გადადგმა და სამშვიდობოს იქნებოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრებდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

დამთავრდა, ალბათ, ასე ენება უფალს, წვერზე გათოშილი ხელი ჩამოისვა, ჯვარი გაისწორა და პირჯვარი ისახა. ლოცვით დაღლილს, ბერის კელიაში მშვიდად სიკვდილი პქონდა ნატვრად და მგლების ლუკმა ხდებოდა. წარმოიდგინა, როგორ გაფატრავდნენ დამშეული ნადირები ანაფორით შემოსილ სხეულს. თვალები დახუჭა.

— „ნუ გეშინია, მამაო, არაფერი გევნება, შენი თავი აქაურობას სჭირდება. იმ ბერების სულები გადაგარჩენენ, რომლებიც ამ ორი ხეობის შესაყარზე საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდნენ, შენ ხარ ახლა იმათი საქმის გამგრძელებელი, ღმერთი გიშველის“ — თითქოს ნა-

ცნობი ხმა ეჩურჩულებოდა.

თვალი გაახილა, ძეხორციელი არ ჰაჭა-ნებდა. ვისი ხმა იყო ვერ გაიხსენა. უკან მიი-ხედა. ნაკვალევს გააყოლა თვალი.

— სად წავიდნენ მგლები? — ჩაილაპარაკა გაოცებულმა. — მომენტები? დმერთო დიდებულო! პირჯვარი გადაიწერა ბერმა და გაათო-შილი ხელებით რცხილის ხერგილს დასწვდა.

* * *

თითებზე ითვლის დღეებს იოანე. ჯერ ისევ თოვლია, მაგრამ ეწვენება, რო გაზაფხული მოპარვია ხეობას. ცოტაც და გულგამთბარი დედამიწა თოვლის საბანს გადაიძრობს, კორ-ტოხები გამოუჩნდება მთებს, მდინარე ახმაურ-დება, მირკანის მზე დაეკიდება ცაზე. ირგვლივ სითეთრეა, ოდნავ დაიწია თოვლმა, მაგრამ გა-ზაფხულის სიახლოეს მაინც გრძნობს ბერი. ერთი სული აქვს, როდის აიბარგება ხეობიდან ზამთარი, მისთვის თითქო სულერთი უნდა იყოს, მარტოკაცისთვის რა აზრი აქვს, ზამთა-რია, თუ გაზაფხული, მაგრამ იოანე მაინც თი-თებზე ითვლის დღეებს, მოთბება თუ არა, ბიჭე-ბიც ამოვლენ, ბერების საცხოვრებელი დასამ-თავრებელია. ბერების, თუმცა იოანეს მეტი ვინ იცხოვრებს, იქნებ სხვებიც გამოჩნდნენ? იქნებ სხვებსაც გამოუწიოთ გულმა, მარტო იოანე არ ეყოფა აქაურობას, მარტო იოანეს ლოცვა საკმარისი არ არის. ჭრაქი ოდნავდა ბჟუტავდა.

პატრუქზე ჩამცხოვალი შუქი ვედარ უმკლავდებოდა სარგმელს მოწოდილ კუნაპეტ დამეს. ლოცვით დაღლილ მოძღვარს ჩასთვლიმა. ძილმა წაართვა თავი და ესიზმრა, რუსი ჯარისკაცები ამოსულიყვნენ ბერის საცხოვრებელთან. მათი ყაფანი ესმოდა მოძღვარს, მაგრამ თითქო ძალა წართმეოდა ხელ-ფეხში, ადგომას ვერ ახერხებდა, დაყვირების თავიც არ ჰქონდა. რუსებმა ნიჩბები მოიმარჯვეს და იოანეს მიერ ადმართული ჯვარის ამოთხრა დაიწყეს. ეტანჯა იოანე, ეწვალა, ცივი ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ფერმიხდილ სახეზე, მაგრამ ყვირილის მაგივრად ლულლუდებდა. ამ დროს გამოედგინა, ჭრაქი ჩამქრალიყო, ბერის სენაკში ჩუდუნი წყვდიადი როკავდა. ფეხზე წამოიჭრა იოანე, კარს მივარდა, უმთვარო დამეში ჯერ ვერაფერს არჩევდა, ბოლოს ეზოში გასვლა მოახერხა და... ჯვარი ისევ ადგილზე იყო, ხელით შეეხო, სისხლი გაუთბა, შვებით ამოისუნთქა, ჯვარს შუბლით შეეხო. მერე ორივე ხელით მოეხვია და ბავშვივით ატირდა.

* * *

ზეგ ამოვა ბადრი, მარტო ბადრი არა, ბიჭებიც ამოვლენ, თითქო ადმართს შეჭიდებული მანქანის ღმუილის ხმა ჩაესმის იოანეს. ისეთი გუმანი აქვს, ისეთი, რო ამ გაზაფხულზე დამთავრდება ბერების საცხოვრებელი. თვალებანთებული გასცეკრის ხეობას. სიზმარივით გაქ-

რა ზამთარი, თოვლის ნაკვალევი ოდნავდა ეტყობა ვეგბა ქედებს, გაზაფხულის სუნი ტრიალებს, უამურის წყლის ქუხილი ისმის დაბლობიდან. ბალდივით ცმუკავს ბერი.

— ჰე, ჰე, ჰეეე, ქვეყანასაც დაუდგება გაზაფხული, ვიცი რო დაუდგება, დიდება უფალო შენდა! — პირჯვარი გადაისახა და მოებს გახედა, სადაც ხარების სცენა იყო გამოსახული, „დვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მომადლებულო მარიამ, უფალი შენოანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“, გაბრიელ მთავარანგელოზი, — წამოიძახა იოანემ, — ყოვლადწმინდა დვთისმშობელი, — მუხლებზე დაეცა ბერი და აღარ ყოფნიდა ძალა, რო ეს ბედნიერება, ხარების სცენის დანახვით გამოწვეული დვთიური ბედნიერება, როგორმე გამოეხატა.

მელექსის სიზმარი

— იცით, რა არის? — უთხრა მელოტმა ბე-
სას და მცირე ხნით შეყოვნდა, შავჩარჩოიანი
სათვალე მოიხსნა, ჯერ სარქმელს გახედა,
მერე ისევ სტუმარს მიაჩერდა.

— რა მინდა რომ გკითხოთ, რომელი წლი-
დან წერთ ლექსებს? ან როგორ დაიწყეთ?

ბესა ერთი ხანობა დაიბნა, მაგრამ უცბად
მოიკრიბა გონების ძალა, კეფა მოიქექა, წლე-
ბი წამიერად ჩამოითვალა.

— თუ კარგად მახსოვეს, ჩვიდმეტისა ვიყავი,
როცა პირველი ლექსი დავწერე.

— როგორ, რა გითარებაში? — ისევ ჩაეკითხა
სათვალიანი.

— ნათესავთან ვცხოვრობდი, წვიმიანი დღე
იყო, აივანზე გამოვედი, დამდებოდა, უცბად
მომივიდა თავში აზრად, რომ ლექსი დამეწერა,
ებ იყო და ეგ, იმის შემდეგ ვწერ.

მელოტმა ისევ გაიკეთა სათვალე. ოორმეტ-
ფურცლიანი, გამრავლებისტაბულიანი, მწვანეყ-
დიანი რვეული ისევ გადაფურცლა, ბესას „შე-
მოქმედებას“ წამიერად გადაავლო თვალი.

„რას იტყვის ეს მამაძალლი ნეტა“, - ფიქ-
რობდა ბესა, - „დიდი ოხერი კაცი ჩანს, მიწვა-
ლია, შვილოსა, ჩამამიტანია. დიდი ამბავი, ერთი
საქებარი სიტყვა მითხრას, უფრო კარგს არ დაჭ-
წერ? მაგრამ... აეგეთები არიან ეს ქალაქელები,
გული თუ არ მოგიკლეს, ისე რას მოისვენებენ.

არადა, სულ მარგოს გოგომ დამთარსა, საიდან შემიჩნდა ის ოხერი ისა“. ცოლმა ურჩია, ხო იცი, როგორი ნაკითხი ქალი არიო, აიტანე, კაცო, წაპკითხეო. მარგოს გოგო, სახელი გადამავიწყდა, წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა და იშვიათად თუ ვინმეს დაელაპარაკებოდა. „იმათაც უჯიშო სისხლი ედგათ“, - ფიქრობს ბესა, მაინც ნათავადრები არიან და ეგრე იოლად სიტყვას არავის შეაწევენ. პოდა, როგორც ურჩია თებრომ, აუტანა ნიკოლოზისუამინდელ რვეულში დაწერილი ლექსები, რომელთაგან ერთი ეძღვნებოდა ბესას მამას, ერთი ბესას სახლის აშენებას, ერთი ვენახის ჩაყრას, ერთი მეზობლის ქალის მართას გარდაცვალებას. ბამბუკის სავარძელში მოკალათებულ მარგოს გოგოს, რომელიც უპაცოდ, მამრის სუნის უგრძნობლად შებერებოდა საწუთროს, ეგრევე შეეტყო ზიზღი რვეულის გადაფურცვლაზე: „ამას დამიხედვ ერთი, ნეხვი ვერ გაუცლია ფეხებზე და პოეტობა მომინდომაო“, მაგრამ მაინც გადაფურცლა. ბოლოს დაისვა ციცქა მაგიდასთან, უნდოდა ეთქვა, რო შენგან პოეტი არ დადგება, ტყუილა ეწვალები, დაანებე თავი და ბალ-ვენახს მიხედვი, მაგრამ სხვანაირად თქმა ამჯობინა. წახვალ ქალაქში ამა და ამ ქუჩაზე, მწერალთა კავშირის შენობაა. მიხვალ პოეზიის განყოფილებაში და იქ ერთი კაცია (მელოტს გულისხმობდა, დასაწყისში რო სათვალიანი მელოტი ვახსენეთ), ის გეტყვის პა-

სუხსო, ოდონდ იცოდე, რო მწერლობა გოლ-გოთის გზაა, გოლგოთის გზის ავლას კი სხვა რამ ჭირდებაო. აბა, რა იცოდა ბესამ გოლგო-თის გზა, კი გაეგონა, მაგრამ რა საერთო ჰქონდა მის ლექსებს გოლგოთის გზასთან, ამ-ას კერ ჩაწვდა.. გასწია და წავიდა ქალაქში, მაგრამ რა გამოვიდა, ფეხები დააწყდა, კუჭი შიმშილით ამოეხახა. ბოლოს, როგორც იქნა მიაგნო ამ შენობას, რომელსაც მწერალთა კავ-შირი ეწერა. ის მელოტიც ახალი მოსული და-უვდა. შევიდა ბესა და როგორც იქნა აუხსნა: ამა და ამ სოფელში ზაფხულობით რო მარ-გოს გოგო ჩამოდის, ერთი შინაბერა ქალია, ძაან ნასწავლი, თქვენთან იმან მომასწავლაო, მაგრამ მასპინძლის ნაცრისფერი მზერა არა-ფერს ეუბნებოდა. შუახნის, მხრებში ოდნავ მოხრილი, ყავისფერკოსტუმიანი პოეტი გაკ-ვირვებული მისჩერებოდა უცნაურ სტუმარს, რომელიც ლანდივით წამოსდგომოდა თავზე.

მელოტს თითქო კაბდოსავით წამოსდებოდა ყელში სიტყვა, რა ეთქვა არ იცოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოაბა სათქმელს თავი.

- ისე... რადაც ხედვა არის თქვენს ლექსებში, სოფლის სიყვარული ჩანს... ოჯახის... მაგრამ...

- ეგებ პროზაში გეცადათ კალამი, არის შემთხვევები, როდესაც ლექსებით იწყებენ, მაგრამ მერე შესანიშნავად წერენ პროზას. ამ ლექსებში უფრო პროზაულობა დავინახე, მე მგონი პროზაში უკეთესად იტყვით სათქმელს.

აბა, სცადე და მერე შევხვდეთ.

ბესამ რვეული გამორთვა და ისეთი თვალებით შეხედა, გული აგიდუდდებოდა, იტყოდი, რო ყველაფერი დაკარგა: სახლი, კარი, ცოლ-შვილი, რაც რამ ებადა. წამოვიდა, მძიმე-მძიმედ გადადგა ნაბიჯები, მაგრამ მცირე ხანში ისევ მიტრიალდა. მელოტს ლამის დაუჩოქა.

— ოღონდაც ეს პატივი მეციო და ისე არ დაგტოვებთ, იქნებ... მერე მე ვიცი და ჩემმა პატივისცემამ, სოფლის ნობათი არ მოგაკლდებათ. მელოტს სახე წამოენთო, ნაცრისფერ თვალებში რისხვა ჩაუდგა და ლექსების რვეული ლამის თავზე გადაახია.

— ეხლავე მოუსვი აქედან, უიტ. — ტუჩებმო-კუმულმა წაუღრინა.

ბესა უჩუმრისპირად გამოიპარა, შენობის წინ შედგა, მუშტი დაუქნია.

— კაცი არ ვიყო, თუ ჩემი არ გავიტანოო, - წაიბურტყუნა და წამოვიდა.

* * *

— კაკალიც ჩაყარე, თებრო, კაკალიც არ ექნებათო, - ცოლს გასძახა ბესამ. თებრომ დედაბოძიდან ჩამოხსნა აბრეშუმის წერილ ბადეში ჩაყრილი კაკალი და ჩანთაში ჩაუყარა. ბესა სიხარულით დაფრინავდა. რაც ის სიზმარი ნახა, იმის შემდეგ საქმე კარგად წაუვიდა. მართალია, იმ მელოტმა კაცმა მწერალთა სასახლიდან გამოაგდო, კუდით ქვა ასროლინა, მაგ-

რამ ბესას თავისი ბედი მაინც თან დახდევდა. ერთ დამეს ესიზმრა, როგორ იდგა ვეტბა სცენაზე, ხალხით გადაჭედილ დარბაზს ლექსებს უკითხავდა, ახლა უფრო მეტი ლექსი ჰქონდა, თორმეტფურცლიანი რვეული ორმოცდარვა-ფურცლიანი გამხდარიყო. იქ ერთი მაღალი კაცი იდგა, სვანური ქუდით, რომელიც ბესას თვალებში შესციცინებდა და ანიშნებდა: ჯერ სადა ხარ, ყველაფერი წინ არისო.

გავიდა მცირე სან-ჟამი და სიზმარში ნანას კაცს მართლა შეხვდა ბესა. უმაღლეს სასწავლებელში, საღაც ბესას ცოლის – თებროს დისმიგილი მუშაობდა. შემთხვევით გადაეყარა სიზმარში ნანას კაცს. იმ კაცის გაოცება გუნახათ, როცა ბესა მივიდა და გაშტერებული აცქერდებოდა.

- შენ ის არა ხარო?
- რომელიო?
- აი, სცენაზე რო ერთათ ვიდექითო, ეს ქუდიც გეფარა, მახსოვსო, – ნაცრისფერ ქუდზე ხელი შეახო ბესამ, – ლექსებს რო ვპითხულობდი დარბაზშით.

ეს კაცი მიხვდა, რო ვერ იყო სტუმარი დალაგებული. თუმცა... სასწავლებლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი, იმ დღიდან ბესას დაუმეგობრდა. სწორედ მისოვის განკუთვნილ ჩანთაში ჩაყარა კაკალი თებრომ.

ბესა იჯდა და თავაუღებლად წერდა. დახევდა ფურცლებს, ჩაყრიდა ურნაში, მერე ისევ

დაიწყებდა. თან სარკმლიდან მაღ-მაღე გაი-
ხედავდა, ემანდ დამემ არ გამასწროს, არ და-
მათენდესო. ის ეშმაკისფეხი მარგოს გოგო
ლანდივით ჩამოუქროლებდა ხოლმე და აზრს
გაუფანტავდა, რომელი ყოფილა თქვენს გვარ-
ში პოეტი, აკი გითხარი, რო შენგან არაფერი
გამოვა, გებარა, გეთოხნა, გეთესა, სულ ტყუი-
ლა ეწვალებიო. ამიტომაც ვეღარ წერდა ბესა.
ერთი-ორჯერ ისე ხმამაღლა შეიგინა, მძინარე
თებრო დაფეთებული წამოხტა.

- რა იყო, ადამიანო?
- რა იყო და მარგოს გოგოს დედაო, მაგან
დამთარსაო.

მაინც არ ეპუებოდა, დახედავდა ნაწერებს,
მერე დამეს შეხედავდა და ძილმომდგარი თვა-
ლებით ეხვეწებოდა, ეგებ ცოტა გვიან გათენ-
დეო. დამეს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა. ბესას ლექ-
სების გამო როგორ იბოგინებდა დიდხანს, რო-
ცა ყველაზე დიდი პოეტებისათვისაც კი ერთი
ზედმეტი წელი არ ეწუქებინა. ბესა წერდა და
წერდა. სულ ცამეტი ლექსი უკლდა, ოცდაოთ-
ხამდე უნდა შეესრულებინა, ნაკლულ რვეულს
ვერ ჩაიტანდა მწერალთა კავშირში. გათენებამ-
დე, მამლის მესამე ყივილამდე უნდა მოესწრო
ცამეტი ლექსი. მერე ლექსებს მეგობარ პოეტს
მიუტანდა და მწერალთა კავშირის წევრი გახ-
დებოდა ბესა, გაყიდიდა სოფლის სახლს,
გადაბარგდებოდა ქალაქში და ბევრს დაუბრმა-
ვებდა თვალებს. ონოფრეს მამალს ძილი პქონ-

და დამფრთხალი და მალ-მალე წამოიყივლებ-
და ხოლმე. ბესა თავს აწევდა და ონოფრეს
გადაუკურთხებდა. დამემ თითქო სიცოცხლე
გაიხანგრძლივა. ბესასაც თანდათან ფერი მოს-
დიოდა, დასრულებდა ლექსს, ნაწერს გადახე-
დავდა, ერთი, ორი, სამი, ოთხი... ოთხი-და რჩე-
ბოდა. რითმები ჯერ კიდევ ჰქონდა, ან რითმე-
ბისა რა ჯანდაბა იცოდა, მაგრამ იმ კაცმა
დაუწერა. ლექსის აწყობა ასწავლა.

გამითავდა ფულია და ამტკივდა გულია,
რამსიგრძეა ტრასა, გაიაფდა პრასა,
მიყვარს ხელი მუშის, ჭამა ოხრახუშის,
შევაგროვებ ენდროსაო,

გენაცვალე თებროსაო.

- ჰე, ჰე, ჰე, - ბოლოს სიხარულით წამოიყვი-
რა, წამოხტა, მაგიდას მუშტი დაჲკრა, თებროც
წამოხტა პერანგისამარა და წიოკი ატეხა.
- ვაიმე, ბესა, რა მოგივიდა, ბიჭოო?
- მოვრჩი ქალო, გავათავეო, აგრა, - ცხვირ-
წინ აუტუნტურა ნაწერები.

მერე გამოჩნდება ლაშა, ისიც ლექსის სე-
ნით შეცყრობილი, ბესას მეზობელ სოფლელი.
ბესას ამ დროს სახლ-კარი გაეყიდა და ქალაქ-
ში წასულიყო. ბესას საცხოვრებელი ვიღაც
ქალაქელმა კაცმა იყიდა და სოფლად დამკ-
ვიდრდა. ბესა ქალაქის გარეუბანში ცხოვრობ-
და, ვება კორპუსის მეცხრე სართულზე გვიან
დამით ქრებოდა ხოლმე შექი. იწერებოდა ლექ-
სები, ახლა თვითონ შოულობდა რითმებს ბე-

სა, შოულობდა, მერე გაჩარხავდა და აწყობდა ახალ-ახალ ლექსებს. შუქი გვიან ქრებოდა, თებრო შუქზე იძინებდა, მაგრამ ბედნიერი ქალი იყო. მმინარეს ღიმილი შერჩებოდა ხოლმე. სარკმელთან მიმჯდარი პოეტი კი დამეს გასც-ქეროდა და ესაუბრებოდა: — ხო დაგამარცხე მაინცა, ხო გაჯობე, ჰა, — დამეს დასცინოდა, — შე ვერანო შენა, როგორ გეხვეწებოდი მაშინა, როცა მიჭირდა, გეხვეწებოდი, შენ კი თავს იფასებდი. მერე ნაწერს დახედავდა, ახლა თორმეტფურცლიანი ან ორმოცდარვაფურც-ლიანი რვეულები კი აღარ ელაგა, არამედ თეთრი, მიტკალივით თაბახის ფურცლები გაე-შალა. ზოგი უკვე ბესას ნაწერით აჭრელებული, ზოგი ჯერაც ხელშეუხები. ფურცლების გვერდით კი ახლადგამოცემული წიგნიც ედო, თხელი, სიფრიფანა, მაგრამ მაინც ხომ წიგნი ერქვა, ბესას პირველი წიგნი.

პო, იმას ვამბობდი, ლაშა გამოჩნდა მცირე ხანში, იმოდენა, ცადაქნილ კორპუსში კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნო ბესას სახლს, თან როგორი ყიამათი დღე იყო, აპნისის ქარი უბე-რავდა, თოვდა. ლოფები ტიტიბისფრად ულაპ-ლაპებდა ლაშას. ერთი ხანობა ლამის უკან გამობრუნდა, მაგრამ ლექსებმა შეახსენა თავი, უბეში მოქცეულმა ლექსებმა. „აქამდე ჩამოხვე-დი, შე კაი კაცოო და ეხლა რადა გახდაო, ბარემ მიაგენი იმ დალოცვილ კაცსაო“, ბესას გულისხმობდნენ ლექსები. დამწყებ მელექსეს

ვიდაც მრჩეველი სჭირდებოდა, ლაშაც ადგა და დაადგა ქალაქის გზას. იმ ქვისტებვრაში იარა, იწოვიალა, ერთი-ორგან სახლი შეეშალა, მაგრამ ბედი მაინც ბედია, ცხრა მთა და ცხრა ზღვა არ გადაუგლია, თუმცა მეცხრე საროულზე კი მიაგნო მეზობელ სოფლელ მელექსეს.

— ბესა ძია აქა ცხოვრობს? — იკითხა შეცივნულმა ლაშამ, რომელიც უკვე ფიქრობდა, რო თუ აქაც არ ცხოვრობდა, სოფელში უნდა გატრიალებულიყო.

— ვისი ბიჭი ხარ? ვერ გიცანი კაცო, — შეაცქერდა ბესა.

ლაშა დაიბნა. რა ეთქვა ადარ იცოდა, ბოლოს, როგორც იქნა გაუბედა, რო ჟამურიდან იყო ჩამოსული და ბესამაც სახლში შეიპატიჟა.

* * *

— ეეა, შვილო, როულ გზას შესდგომიხარ, ძალიან როულ გზასა. — ლაშას ლექსების რვეული გადაფურცლა ბესამ, — შენ არც კი იცი, ეს რა გზა არი. — ჩაილაპარაკა პოეტმა, უფრო სწორედ, ის სიტყვები გაუმეორა სოფლიდან ჩამოსულ დამწევებ პოეტს, რომელი სიტყვებიც მარგოს გოგომ უთხრა ერთხელ.

— გოლგოთის გზაა ესა, გოლგოთის გზა. რაც მე მიწვალია, რაც მე დამეები მიტეხია, ეხლა რო ვიწყებდე ცხოვრებას, არც კი მოვკიდებდი ხელსა, მაგრამ ალბათ ესეც ბედისწერა იყო.

ლაშა უხერხეულად იშმუშნებოდა. სიცივეტ

გაუარა, სისხლი გაუთბა, სახეზეც ფერი მოუ-
ვიდა, მაგრამ ახლა დაბნეულობით ალანძვოდა
დაწვები. მოუთმენლად ელოდებოდა, ნეტავ რას
მეტყვისო. ამ დროს თებროც შემოვიდა.

— ერთ დამესა, შვილო, ერთ დამესა, გინდ
დაიჯერე, გინდ არა, ოცდაოთხი ლექსი დაწე-
რა, გავგიჟდი ქალი. რაც ამას უწვალია. ეჩქა-
რებოდა, დადგა და დაწერა.

— იმ დამეს რა დამავიწყებს. — ჩაეღიმა ბესას.

ბოლოს ლაშას ლექსები დაიტოვა, მეორე
კვირას ჩამოდი და პასუხს გეტყვიო.

წამოვიდა ლაშა. წამოვიდა, მაგრამ ვაი იმ
წამოსვლას, ძილი და მოსვენება დაკარგა, ლა-
მებს თეთრად ათენებდა, ღლებს თითებზე
ითვლიდა, „ნეტა როდის მოვა ორშაბათი, ნეტა
რას მეტყვის, იქნებ დამიწუნოს კიდეც და ტყუ-
ილად მაქვს იმედი“, მაგრამ ამ ცდაში რამდე-
ნიმე ლექსი კიდევ დაწერა, ოდონდ ბესასგან
გასხვავებით ეს ლექსები სახლზე, კოლმეურ-
ნეობასა და ვენახის გაშენებაზე კი არ იყო, ეს
ლექსები მიუძღვნა პირველ თოვლს, პირველ
სიყვარულს, ზამთრის სიზმრებს.

* * *

ჯანიკომ უთხრა, დაგეპლა შვილო, დაპლუ-
ლი არ ჯობდაო. ლიზამაც ეგრე ურჩია, გოგია-
მაც. გოგია ჯანიკოს ნახევარმა იყო. ეგრეთი
რამე ჩემ ცხოვრებაში არ გამიგია, ცოცხალი
თხა ჩაუყვანო ქალაქშიო, ან რა ჩემფეხებად

უნდა, მოწველას ხომ არ დაუწყებსო. კარგა
კოხტად გაგეხუფთავებინა, ცელოფნის „მეშოპ-
ში“ ჩავდებდით და ეგრე კულტურულად წაუ-
დებდიო, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა ლაშამ,
ცოცხალი უნდა ჩავიყვანოო. გადაწყვიტა რო
ბესასთვის თხა ეჩუქებინა.

— სირცეხვილია დედა გენაცვალოსო, — უთხ-
რა ლიზამ, — ხალხი რას იტყვის ავტობუსში
რო აიყვან, სიცილს დაგაყრიან, თავი მოგვეჭ-
რებაო. ან იმ კაცმა სად უნდა დააბასო.

— თვითომ მოუვლის, — ჯიუტად უთხრა
ლაშამ. წაბლისფერ რქაკავშა ბოტას ცერის
სიმსხო თოკი წაახა, გოგიაც გაიყოლა და ქა-
ლაქის გზას გაუდგა. ჯერ იყო და ავტობუსის
მძღოლთან ნახევარსაათიანი ღრეული დასჭირდათ.

— არა მმაო, ცურცლითა და ბლავილით
აიკლებს ავტობუსსა, ხალხი გამიგიუდებაო.
დიდი ხათრი მაქ ჯანიკოსი და ლიზასიო, მაგ-
რამ ვერ ავიყვანო. აქეთ გოგია ემუდარა, ლა-
მის ყანერატო გამოიგლიჯა ორი თითოთ, იქით
კიდე ლაშა, ბოლოს როგორც იქნა დაითანხ-
მეს. უფრო სწორად, გოგიამ თხის სამგზავრო
ორმაგად გადაუხადა და ძველი ყვითელი „პა-
ზიკის“ უკანა კარი ქშუტუნით გააღო ავტობუ-
სის მძღოლმა, რომელსაც იქაურები მეტსახე-
ლად „ბალდოს“ ეძახდნენ.

ყოველ დილით პარკით ჩამოჰქონდა ბესას
მეცხრე სართულიდან თხის ცურცლი. ჩამოი-
ტანდა და კორპუსის წინ ვება ურნაში ჩაუძა-

ხებდა. თან დუდლუნებდა:

– ჩემ ჭირად ჩამოიყვანა იმ შობელძაღლმა იმანა, რა ჭირად მინდოდა, ააქოთა მთელი ბინა ამ ვერანმა.

ლაშას ჩამოყვანილი წაბლისფერი ბოტა თხა საძინებელში დაება, მაშ სად წაიყვანდა. დასაკლავადაც ვერ გაიმეტა. ბოლოს გადაწყვიტა, კვირა დღეს ბაზარში წაეყვანა და გაეყიდა. თან ეუხერხულებოდა, პოეტი კაცი რო თხას გამოიბამდა და მუშტარს დაუწეუბდა ძებნას. არადა, რა ქნა, ყოველი დილა თხის კიკინითა და მეზობლების გინებით იწყებოდა:

- ბეჭე.
- ბეჭე შენა და პატრონის გახეთქვა.
- საიდან მოიყვანა, საიდან მოათრია.
- შეგვჭამა ამ თავგასახმობმა.
- ჩვენც ვითმენთ, გვითენდება და გვიღამდება თხის კიკინში.

ამოუვიდათ ყელში, თან რა სმა პქონდა იმ სამგლეს, მთელ კორპუსს ესმოდა მისი კიკინი.

ერთ დილითაც გადაწყვიტა ბესამ, რო ლაშას ჩამოყვანილი ბოტა სახლის სხვენზე აუყვანა და გაყიდვამდე იქ დაება, მაგრამ ის დილა ბესას საუბედუროდ გათენდა. დილაუთენია აგმა სიზმარმა წამოაგდო პოეტი. საცვლებიანი შევარდა იმ ოთახში, სადაც თხა პყავდა და ლამის ფეხები მოეკვეთა, გათბობის ბატარეაზე გამობმულ ცხოველს დამით აეშვა და ბესას ნაწერები ერთიანად შეეხრამუნებინა. ბესას

დრიალზე თებროც გამოვარდა, თხას მისც-
ვივდნენ, პირი გააღებინეს და წითელყდიანი,
სიმწრით მოპოვებული შწერალთა კავშირის
მოწმობის ნაგლეჯილა გამოაცალეს, რომელზეც
მარტო რუსთაველის სურათი გადარჩენილიყო...
მელექსეს სიზმარში ეგონა თავი.

* * *

პირველი თოვლი, პირველი კოცნა,
პირველი სიზმარი, პირველი აღები,
დამჭირდა დიდხანს, ჰო, დიდხანს მოცდა,
მეპოვა თეთრ ნისლში მე შენი თვალები,
დარდსა და ვარამში, ფიქრსა თუ ოხვრაში
დამიცედა, დამაწყდა მე სულის მყესები,
სიცილში, რისხვაში, მიხვრას თუ მოხვრაში
გწერდი, რომ მომეძღვნა მე შენთვის
ლექსები,
დაბადებიდან გაჩუქე სალამი,
გიძღვენი, მოგეცი სული და სხეული,
შენია ყოველი, ფანქარი, კალამი,
თაბახის ფურცელი თუ ძველი რვეული.
ბარაქიანად თოვდა. უთოვლო ზამთარიაო და
კაი უთოვლო გამოდგა, ჩამობერტყა სათოვლე-
თი სურწყუნისის ცამ. ლაშა სარქმლიდან გა-
სცქეროდა მოფარფატე ფანტელებს და შეუვა-
რებულზე ფიქრობდა.

დამე მონასტერში

— შეხედგ, რა ამბავი ხალხია. — დაბლობს გადახედა ბაჩომ.

თუოც შედგა, ხელი მოიჩრდილა და მთის ფერდობი მოათვალმზერა. სალოცავისკენ მომავალი გზა მლოცველებით გადაჭედილიყო. მთავარ სავალზე, რომელიც გულმოღინედ შეეკეთებინათ ზაფხულში, მანქანების ნაკადი იყო გაჩერებული, ზოგი ძარიანი, ზოგი მსუბუქი, აქა-იქ ავტობუსებიც, ყველა აღმართზე შეტბორილიყო. ასვლა უჭირდათ, თან წინა დღეს ცოტა მოეკინებდა, მიწიანი გზა მოელბო და ორხიდიანების გარდა, ყველა ტრანსპორტი ადგილზე ხროგინებდა. ზოგი ლოდინით დაღლილიყო, ჩახერგილ გზაზე კარგა ხნის დგომით იმედი გადაწურვოდა და ფეხით მიუყვებოდა გზას. შესაწირებიც ხელით მიჰყავდათ, მამლები იღლიაში ამოებარათ, კრავები კისერზე მოეგდოთ, მოზვრებისთვის რქებში წაებათ თოკი და სალოცავისკენ მიუძღვდნენ. გზადაგზა მალ-მალე შეჩერდებოდნენ, სალოცავის მთას გახედავდნენ, რომელსაც ნისლი ნასრანისფერ არშიასავით პქონდა შემოვლებული და მთის წვერზე არსებული ციცქა ტაძარი არცა ჩანდა ხეირიანად, მაგრამ სალოცავის მთის დანახვაზე მაინც პირჯვარს იწერდნენ, დაღლას არ იტყობდნენ.

— ვენაცვალე მაგის მადლსა და სახელსა,

რამხელა ძალა აქვს.

- სულ რო ცუდი ამინდი იყოს, მაინც ამოდის ხალხი. ეს ისეთი დალოცვილი ადგილია,
- ბუტბუტებდნენ და გზაგადზა პყვებოდნენ ათას რამეს, რაც წმინდა გიორგის სალოცავს უკავშირდებოდა. როგორ აეხილათ ბრძა ადამიანებს თვალი, როგორ ალაპარაკდნენ დამუნჯებული მლოცველები, როგორ დაიფარა ამ სალოცავის ძალამ ხევში გადაჩეხილი მლოცველებით სავსე მანქანა და სხვა.

ერთი სიტყვით, მკისსამხრობის ჟამამდე მლოცველებით გაიგო სალოცავის მთის კორტოხი, საყდრის გვერდით გაშლილ ვაკეზე დასცეს კარაგი ქართლის სხვადასხა სოფლებიდან ამოსულმა მლოცველებმა. ერთმანეთში იყო არეული მანქანების ღმუილი, შესაწირის ბლავილი, დამის გასათევად სამზადისში მყოფი მოფუსფუსე ადამიანების ხმაური.

- დავიდალე, - თქვა თეომ და გაჩერდა, - უნდა ჩამოვჯდე, თორემ ადარ შემიძლია. - ზურგჩანთა მოიხსნა და მოლზე მიაგდო.

- ეგრე არ გამოვა, - ბაჩომ თავზე ხელი გადაუსვა, მერე ხელსახოცი ამოიდო და შუბლზე ოფლი შეაწმინდა, - ამდენი ვიარეთ და რადა დარჩა. სულ ცოტაც და საერთოდ გაგივლის დადლა. აგერ სულ აქვეა სალოცავი, - თითი გაიშვირა შემაღლებული ადგილისაკენ, სადაც მლოცველთა ნაკადი მიემართებოდა.

- შენ სულ ეგრე იძახი, - აწუწუნდა თეო,

– მოვდივართ და მოვდივართ.

– პა, სალოცავის კარზე ეგეთი რამე არ შეიძლება, ეს ისეთი ძალის სალოცავია. მერე მოგიყვები ერთ ამბავს, რაც მე გადამხდა, მაშინ დავრწმუნდი, რო სასწაული მართლა არსებობს.

– ეხლა მომიყევი, თან დავისვენებთ.

– სალოცავიდან რო გამოვალთ, მერე მოგიყვები, ეგრე მაქვს სიტყვა ნათქვამი, რომ შეუსვენებლივ უნდა ავიდეთ. შენც შეგძლებია, მე მეგონა გზაში ჩამეხოქებოდი, საწუწუნო არაფერი გაქვს.

– თუ იცი, რამდენი ხანია, რაც გზაში გართ? – იკითხა თეომ და დადლილი, ჩაწითლებული თვალები საყვედურის ნიშნად მიაპყრო შეყვარებულს.

– იქნება, ასე ხუთი საათი. მაშინაც ეგრე დაგვჭირდა, როცა კლასელები წამოვედით ფეხით, მამლის პირველ ყივილზე დავადექით გზას და ეგრე მოვუნდით, ხუთი საათი. წამო, ოდონდ ეხლა დამიჯერე და მერე რასაც მეტყვი... თუ გინდა გავფრინდეთ აქედან, აესქ, – ხელი მოატარა სივრცეს, – გავშალოთ ხელები და გავფრინდეთ, ადამიანი ერთხელ ხომ მაინც უნდა გაფრინდეს რო ანგელოზად იგრძნოს თავი.

– დაიწყო ისევ, – თეომ ზედა დილი ჩაიხსნა და მთის ნიავს გზა მისცა საკინძეში.

– აპა, წყალი დალიე, – ბაჩომ ჩანთა მოიხს-

ნა, სადაც სალოცავში ასატანი ზედაშე და წასახემსი ელაგა. წყლით სავეს მათარა ამო-ლო და თეოს გაუწოდა, — თბილია, მაგრამ ყელს გაგისველებს.

თეომ ორიოდე ყლუპი ძლივს მოსვა.

— ეს თუ წყალია!

— აი, სალოცავიდან რო გამოვალთ, ისეთ წყაროზე უნდა ჩაგიყვანო, დალევით ვერ გაძლები. მჟავე წყალი დაგილევია? აი ნახავ, როგორ წყალს დაგალევინებ. ოდონდ ეხლა ადექი. აგერ, აქვეა სალოცავი, ორიოდე ნაბიჯიდა დარჩა.

თეომ როგორც იქნა დაუჯერა, წელმოწყვეტილივით ძლივს დასწევდა ჩანთას, ცალი ყურით გადაიკიდა. ბაზომ ხელი ჩაკიდა და სალოცავისკენ მიმავალ ბილიკზე გაუძღვა. მილეთის ხალხით გავსებულიყო ვეება მინდორი. უსწორმასწოროდ დაყენებული მანქანების გვერდით კარვები გაეჭიმათ, დაკლული საკლავები გასატყავებლად თავდაყირა ეკიდა, რომელსაც სისხლით მოსარგლული ყასბები დასტრიალებდნენ. სალოცავის გზაზე კი სანთლის გამყიდველები უდობავდნენ გზას. თეოს შინიდან წამოედო კელაპტრები, მაგრამ მოხუცებული ქალისაგან მაინც იყიდა პარაფინისაგან ჩამოქნილი სანთლები.

— ამ ტაძარს ერთ დროს გალავანიც ჰქონდა და აქვე დიდი შენობაც იდგა, რომელიც მლოცველებისთავის იყო აგებული, დამისთევვით მო-

სული ხალხი რჩებოდა.

- შენ რა იცი? – პკითხა თეომ.
- როგორ თუ რა ვიცი, წაკითხული მაქვს, აქ მოღვაწე ერთ-ერთმა ბერმა ამ მონასტრის ქრონიკა დაწერა, რომელშიც ყველაფერი დაწვრილებით არის მოთხოვნილი. გადმოცემით, აქ თამარ მეფეს წმინდა გიორგი სხეულის ნაწილები დაუბრძანებია, ხალხი ამბობს, რო წმინდანის თავის ქალა იყო შენახულიო. თამარ მეფეს ეს ტაძარი განუახლებია. სალოცავი გაცილებით ძველია, სავარაუდოდ, მეხუთე საუკუნეშია აგებული. თამარს წმინდა გიორგის საპატივსაცემოდ უძვირფასესი ხატი შეუწირია სალოცავისათვის. აქვე ყოფილა ვეგბა ჯაჭვი, მლოცველები აღთქმას დებდნენ, ფეხშიშველი ამოდიოდნენ, მერე იმ ჯაჭვს დაიდგამდნენ მხრებზე და ტაძარს გარს უვლიდნენ.
- ბაჩომ, როგორც კი ტაძრის ეზოში შეაბიჯა, კარიბჭის კედელს ემთხვია და პირჯვარი გადაიწერა.
- რასაც ჩაიფიქრებ, ყველაფერი შეგის-რულდება, – ჩასჩურჩულა თეოს.
- ყველაფერი? – თეომ შეხედა და ბაჩოს ნათქვამზე თაფლისფერ თვალებში ღიმილი ჩაუდგა.
- არ გჯერა?
- როგორ არ მჯერა.
- მე ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. მართლა, დედას გეფიცები, თუმცა ფიცილი რა შუა-

შია. სალოცავზე დაფიცება არ შეიძლება.

ტაძარში ხალხის ტევა არ იყო. ციცქნა სალოცავში იმდენი სანთელი ენთო, რომ სიცხის ბუდი იდგა. ბაჩომ, როგორც იქნა, საკურთხევლისკენ გაიკვალა გზა, თეოც ხელჩაკიდებული მიჰყავდა. მერე საკურთხევლის წინ შანდალთან შედგა და წმინდა გიორგის ხატს სასოებით შეავლო მზერა.

— საქართველოში ბევრ ადგილზეა აგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ზოგი დიდია, ზოგი შედარებით მომცრო, მაგრამ მე მგონია, მაპატიე, ღმერთო, ამას რომ ვამბობ, ამნაირი ტაძარი არსად არ არის. რაღაცნაირად უბრალოდ აუგიათ, მაგრამ ამ უბრალოებაში, ამ სისადავეში არის ენით აუწერელი იდუმალება. კედელზე ხელის შეხებაც კი აუწყავ სიამოვნებას განიჭებს და მადლით გავსებს. ასე მგონია, წმინდანის სხეულს ვეხებოდე. რამდენი საუკუნეა აქ მლოცველი დადის, შეიძლებოდა რო მოეფიქრებინათ და ამ სალოცავის ადგილას უფრო დიდი ეკლესია აეშენებინათ, მაგრამ ესეც წმინდანის ნებაა ალბათ.

მინდოდა, ჩვენი ცხოვრების დვრიტად ამ სალოცავში დანოებული სანთლები და გულიდან ამოსული ლოცვა მექცია, იმიტომაც გთხოვე წამოსვლა. — ჩურჩულებდა ბაჩო და თეოს გაბრწყინებული თვალებით შესცეკეროდა.

* * *

უკვე დამდებოდა. მლოცველებთან ერთად დაისლამეც შლიდა კარავს სალოცავის მთაზე. დამისთევით მოსულ მლოცველებს კოცონები აენორო და ქეიფი გაეჩაღებინათ. წმინდა გორგის თაყვანისმცემელთა დამისსათევი ალაგი რაღაც უცნაურ, ცეცხლოვან მისტერიას ჰგავდა.

— წამო, მე ვიცი ერთი კარგი ადგილი, იქ გავშლი კარავს. — თქვა ბაჩომ, — ცეცხლიც დავანთოთ, ზედაშეთიც დავილოცოთ, ხომ მოგშივდა? — თეომ თავი დაუქნია.

ეს დვინო ჩემი ჩაყრილი ვენახისაა და როცა გაზს ვრგავდი, მაშინ დავდე აღთქმა, რო წმინდა გიორგის სალოცავში წამოგსულიყავი და ჩემი ვენახის პირველი მოსავლით დამელოცა. ლვინოში უფლის მადლი და ბარაქაა ჩაბუდებული, უფრო სწორად, ვაზში და, იცი, რატომ ვართ სხვა ერებზე მეტად შეყვარებული ყურძნის ნაჟურზე? იმიტომ, რომ სხვებზე უფრო ახლოს ვართ დმერთთან და ნახე სასწაული, საქართველო აირჩია უფალმა ვაზის სამშობლოდ. შენ არ იცი, როგორი ბედნიერი ვარ ახლა, რომ სალოცავში ფეხით ამოვედი, ზედაშე ამოვიტანე და შენ მყავხარ გვერდით, ვერ წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი ვარ. ბევრჯერ მიფიქრია ბედნიერების არსზე, რა არის ბედნიერება. დღეს გავიგე რა ყოფილა. — ბაჩომ ახლოს მიიზიდა გოგო და საფეოქელზე აკოცა, თეოს სურნელმა კიდევ უფრო გააბრუა, ნეტა-

რებისაგან თვალები მიღუდა.

- ხომ გიყვარვარ, პა?
 - რამდენჯერ უნდა შემეტოხო.
 - ერთი და იგივე კითხვა შეიძლება მომა-ბეზრებელი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ დაგეთანხმები, იმიტომ რომ ძალიან მიყვარხარ.
 - ახლა ლოყაზე აკოცა.
 - მომშივდა. - თქვა თეომ, - სად უნდა გავ-ჩერდეთ?
 - ეხლავე მივალთ.
 - შენ და შენი ეხლავე.
- სალოცავის წინ გაშლილ მინდორს გასცდ-ნენ.
- აյს ადგილია, - თქვა ბაჩომ, - მაშინაც აქ ვიყავით, წედან რო გიყვებოდი, კლასე-ლებმა შევუთქვით, ზედაშე ამოვიტანეთ, და... აღარც კი მინდა გახსენება.
 - რა მოხდა? - იკითხა თეომ.
 - ვიჩეუბეთ და ბაბილონის გოდოლს მისეუ-ლი ხალხივით დაგვშალა სალოცავმა, ერთმა-ნეთს ვედარ ვპოულობდით, ძლივს გავათენეთ ის დამგ. ვიცი, ამ სალოცავის ძალა და მადლი როგორია. - ჩანთა მოიხსნა. ჯერ ზედაშე და წასახემსი ამოალაგა. თეოს ცივი ხაჭაპური მი-აწოდა. თეომ უთქმელად გამოართვა და გემ-რიელად დაიწყო ღმურძვლა ბაჩომ.

დაპეცილი კარავი გაშალა.

- დავეტევით? - იკითხა თეომ.
- ბაჩოს გაეცინა.

— ერთი ანდაზა ხომ გაგიგია, ცოლ-ქმარი ცუდის ტარზე დაეტიაო. ცეცხლი დავანთოთ, დამე ცვარი წამოვა, აცივდება, კარგის წინ დავანთოთ, დავსხდეთ და ვიჭუბტუქოთ, თან ჩემი ზედაშეთი დავილოცოთ, მე ახლა წავალ და შეშას მოვიტან — ჩანთიდან წალდი ამოიღო, — წამომყვები?

— წამოგყვები. — თავი დაუქნია თეომ.

— ცოტა მოშორებით გავიდეთ, აქ არ შეიძლება მოჭრა, სალოცავის ტყეა, ხატი გაგვიწყრება. პაპიდაჩემის ქმარს შეემთხვა ერთხელ, დიდი ლიახვის ხეობაში სპარსის წმინდა გორგის განთქმული სალოცავია და იმ სალოცავის ტყეში მოუჭრია შეშა, კისერგაშეშებული დადიოდა თურმე, რომ გასძახებდნენ, თავს ვერ აბრუნებდა, მერე მღვდელს უთქვამს, არაფერი შენ არ გიშველის, რაც არ უნდა იწამლო, ტაძარში წადი და პატიება სოხოვკა, რომ ეგრე იოლად გადარჩიო.

— კაი წავედით, — წალდი გაირჭო ქამარში ბაჩომ, თეოს ხელი ჩაკიდა და ტყისკენ მიმავალ გზას დაადგა.

უფრო მოძლიერებულიყო ბინდი და ვარსკვლავებმაც გაბედეს გამოსვლა ცაზე.

- იფ, რა კაი დამეა, ნამს არ გადმოაგდებს,
- ჩაილაპარაკა ბაჩომ.
- ხო გიყვარს დამე?
- ბნელი დამე მიყვარს, ვარსკვლავებიანი არა.
- ბნელი რატო?

- რა ვიცი. დამეს სიბნელე უხდება.
- შენ რა გიხდება? - დაიხარა და თავზე გამბორა თეოს.
- რა ვიცი აბა, შენ მიხდები, ალბათ, - ჩაიკისკისა, - რა გამიწყალე გული.
- დაბლობს დაუყვა ბაჩო, მხარზე ხელი მოავლო თეოს.
- ფრთხილად დაადგი ფეხი.
- თეო ბაჩოს მიეკვრა. მთის ნიავმა დაუბერა. ტყის სუნი მოიტანა.
- აქ უკვე შეიძლება მოჭრა, ჩამოჯექი. მე ეხლავე მოვალ. - თქვა ბაჩომ.
- მეც წამოგყვები.
- არა. თაგ-პირი დაგეპაწრება, ხუთ წუთში მოვალ.

წალდი ამოიძრო ქამრიდან და ტყეში, სადაც ერთმანეთში იყო ჩახლართულ-ჩაგრეხილი რცხილა-წიფელი თუ ველური თხილი, ლანდივით შეძვრა. ორიოდე წუთის მერე თეოს ჩეხვის ხმა და ბაჩოს ძახილი მოესმა.

- ხო არ გეშინია?
- არა. - გასძახა, თეომ, - სადდა შეხვედი, აქვე მოგჭრა. - მაგრამ ბაჩო აღარ დაპასუხებია.
- თეო იჯდა და ელოდა. კარგა შედამდა, მაგრამ ბაჩო არ ჩანდა. ტყის სიღრმიდან მოისმოდა ველური ფრინველების ხმა, რომელიც იდუმალებას უასკეცებდა ტყეს და შიშის განცდას ბადებდა.

თეომ რამდენჯერმე გასძახა ბაჩოს, მაგრამ

ბიჭი თითქო ტყემ ჩაყლაპა.

— ბაჩოოო, ბაჩოოო, — ჩამიჩუმი არ ისმოდა, რომელიდაც ფრინველი წხაოდა თავისთვის, გამბულად და დროის თანაბარი შუალედებით კიოდა ტყის ჭოტი.

— ბაჩოოო, ბაჩოოო! — მცირე ხანში თეოს ტირილი აუგარდა.

ბაჩო ამ დროს რცხილების ქვეშ მოკეცილიყო და გულიანად იცინოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, თეო შეეცოდა და გასძახა:

— მოვდივააააააა.

ტყიდან გამოსულ ბიჭს თვალცრემლიანი მივარდა გოგო და ისე ჩაეკრა, ბაჩოს არასოდეს არ უგრძენია ასეთი რამ. თეოს ცრემლიანი თვალები ამოუკოცნა.

— სად წახვედი?

— ტყეში.

— მერე?

— რა, მერე, — ჩაეცინა ბაჩოს. — ორი საქმე გავაკეთე ერთდროულად.

— რომელი ორი საქმე?

— შეშაც მოვიტანე და იმაშიც დავრწმუნდი, რომ მაგრა გიყვარვარ.

— რა დებილი ხარ...

ელიაზარის ძველი ჩანთა

— დედას გიტირებ, დედას, ამასა პგონია, შევარჩენ, შენნაირები, დამაცა, — მუშტი დაუქნია ელიაზარმა კოლმეურნეობის კანტორას, — თქვენ თუ ციხე არ გახეხინოთ, კაცი არ ვიყო, არ გეკუთვნისო, აი თუ არ მეკუთვნის, დავანახვებ, ეს წამპალი, ესა, საიდან მეეთრა, — ისევ მიაპყრო ანთებული თვალები კანტორის შენობას, თავმჯდომარის კაბინეტის აივანზე მთავარ ინჟინერს — ბენოს — მოპკრა თვალი. ბენო კედელს ეფარებოდა და ჩუმად გასცექროდა ელიაზარს. თუმცა, ელიაზარის მახვილ მზერას რა გამოეპარებოდა.

— ბენო, გამოიხედე, ნუ იმალები, შენც მაგის გვერდით მოგიჩენ ადგილს, აი ნახავ, ცეკას მდივანთან ჩავალ და, კაცი არ ვიყო, თუ არ განახოთ. თქვენ წურბელებო, თქვენა!

მერე ბენო შევიდა და თავმჯდომარეს მოახსენა:

— იქნებ არცა დირდეს ჰა, ხო იცი როგორი კაცია, გიუ უნდა აქო და ერიდოო, აემაგის გადამტერებას.

— ფეხები არავის არ მოჭამოს, — თქვა ორმოცს გადაცილებულმა თავმჯდომარემ, — მაგნაირებისა რო მეშინოდეს, აქ კი არ ვიჯდებოდი, — ამაყად ჩაილაპარაკა, ეს უფრო ბენოს გასაგონად, თუმცა კი გაიფიქრა: „მიმეოხერებინა ის ნაკვეთი, რა ჩემს ფეხებად მინდოდა,

რას ვალაპარაკებდიო“, მერე პაპიროსს დასწვდა და და გააბოლა.

— ეგ ისეთი ტურა ვინმეა, რო არ მოისვენებს, — თქვა ბენომ, — მამამისიც ეგეთი იყო, კვიცი გვარზე ხტისო, ხო იცი მოსაქმული რო მქნელსა ჰგავ, აეგრეა, ალი-კვალი მამამისია. შენ შაქრო უნდა გენახა, თავმჯდომარებს სისხლი ჰქონდათ იმისგან გამშრალი. დედა ვუტირე, ის რო საჩივარსა წერდა, კალამი ჰქონდა გამოჯეკილი, თან როგორი გადაკიდება იცოდა, როგორი, როგორი, მდვდლიანთ ვარლამა როგორ გაამწარა, ერთი ტრაწიანი გზის გულისთვისა, დღემდე ახსოვს სოფელს, ის გზა რო გაჩვენა, გაგეცინება, კაცო, ამის გულისთვინა ერთმანეთს როგორა ჭამდნენო, მაგრამ შაქრომ სანამ თავისი არ გაიტანა, არ მექშვა, დააყიდინა ნაკვეთები ვარლამას, ისიც ხან მოსამართლეს ჩაუტანდა ფულსა, ხან მილიციასა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მარტო ეგა კაცო, მთელი სოფელი აკლებული და დაშინებული ჰყავდა, თან როგორ გახდიოდა, რა ვიცი, ქვეყანა ჩალით ხო არ არის დახურული, შაქროსნაირ ან ამნაირ გოთვერან კაცსა როგორ უნდა დაუჯერო, მაგრამ, ალბათ, ამათნაირებსაც ჰყავთ მამსმენები. სისხლში ქონდა, სისხლში, ჩივილი, ვიღაცის გამწარება, ბოლოსა, საჩივრის წერაში დალია სული, გამპატიოსნებელი არავინა ჰყავდა, სასაფლაომდე ძლივს ჩაიტანეს, გრუზავიკზე დაუდეს და ისე

წაიღეს. ამასაც იგივე დღე მეელის. ე, შვილიშვილები რას ეუბნებიან, არ ვიცი, თითქო თავ-მოყვარე ბიჭები ჩანან, მაგრამ... ისინიც მაგის ნაშიერები არიან.

* * *

**რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, ამხანაგ
სევერიან სამადალაშვილს, სოფ. ქვაფთაში
მცხოვრები ელიაზარ შაქროს ძე ნაროუშვილის
განცხადება-საჩივარი**

ამხანაგო სევერიან, დიდი ხანი ვფიქრობდი, მომეწერა თუ არა თქვენთვის წერილი, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ საქმის კურსში ჩამეყენებინეთ, რაც ხდება ამ ჩვენს მივიწყებულ სოფელშია, ვაულისხმობ სოფელ ქვაფთას. წინა თავმჯდომარის დროსა გლეხები კარგად გრძნობდნენ თავს, შრომაც უფასდებოდათ და სიხარულით ამუშავებდნენ კოლმეურნეობის ნაკვეთებს, მე პირადად, შარშან შემოდგომაზედ გადაჭარბებით შევასრულე ჭარხლის ანგარიში. სულ რამდენიმე თვეა, რაც ახალი თავმჯდომარე დაგვინიშნეს და ჩვენი კოლმეურნეობის საქმე უკან-უკან წავიდა, ხალხს კოლექტივში წასვლა ადარ უნდა, თავმჯდომარემ უსამართლოდ დაანაწილა სასახლკარე ნაკვეთები და ბობოლა გლეხებისგან ფული აიღო, იმ შემთხვევაში, თუ რაიაღმასკომმა კურადღება არ გამოიჩინა და არ მოგვხდა, იძულებული

შევიქმნები მივმართო ცენტრალურ კომიტეტს.
განმცხ. ე. ნაროუშვილი

— შიში, შიში მამაძალლიაო, ელიაზარის გამოჩენაზე ოფლი ასხამთ. ხედავს შაქროს ვაჟი, მის დანახვაზე როგორ წამოუხურდებათ სახე და შუბლზე თუ ცხვირის ნესტოებზე ჭირხლივით გამოუჩნდებათ ოფლის წვეთები. ელიაზარის მოყავისფრო ჩანთას მოკკრავენ თვალს და ლამის სისხლი გაუჩერდეთ ძარღვებში. ამ ჩანთის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ელიაზარი. ამ ჩანთის გარეშე ის არსად დადის, იქ ინახება განცხადება-საჩივრები, რომლითაც რამდენ თავმჯდომარესა და რაიკომის მდივანს გამოუყვანა წირვა, ზოგი უმუშავარი დატოვა, ზოგი ციხეში ჩასვა, ზოგი მოუსავლეთის გზას გაუყენა. შაქრო მოგონება იყო თავის შვილთან, ყოველი ახლად დანიშნული თავმჯდომარე თავისთან იბარებდა ელიაზარს და ათას რამეს სთავაზობდა, რო როგორმე მისი რისხვა თავიდან აერიდებინა. თავმჯდომარეების პირველი სამუშაო დღე ელიაზარის გაცნობით იწყებოდა. იცოდნენ, მისი გადაკიდება ძვირად დაუკლებოდათ და ყველანირ დათმობაზე მიდიოდნენ. ელიაზარმაც სული მოითქვა, ალიზის სახლი დაანგრია და აგურის ორსართულიანი სახლი წამოჭიმა. თან გულში ეცინებოდა ხოლმე, ყოჩად შაქროს ბიჭო, ამდენი როგორ მოახერხე, იმ ცხონებულმა მამაჩემმა

რამდენი იარა, ვის კარზე აღარ იყო ნამყოფი, სტალინი პირადად სამჯერა ჰყავდა ნანახი, მაგრამ ოჯახს რა, ალიზის სახლი თავზე ენგრეოდა, ქარი ქშუტუნით შემოდიოდა, რო გაწვიმდებოდა, მიწურში გუბეები დგებოდა. აი, ელიაზარმა კი ჭკუა მოიხმარა. იმ განცხადებებს, რომლებიც რაიკომის მდივნების თუ ცეკას ხელმძღვანელობის სახელზე იწერებოდა, თავისი შედეგი პქონდა, ის კი არა, ისე გაიწაფა ეს ჩვენი შაქროს სიყრმის შვილი, რო თუკი ვინძეს საჩივრის დაწერა მოუნდებოდა, ყვალა ელიაზარს აკითხავდა. საჩივარს კი წერდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ რო თავისებური მარილი აკლდა. კიდევ უფრო გასაოცარი ის იყო, რო როგორი განცხადებაც არ უნდა დაეწერა ელიაზარს, მაინც საჩივარი გამოსდიოდა.

ბოლო განცხადება-საჩივრის გადათეთრება ვერ მოასწრო. განცხადება იწყებოდა ასე, საქართველოს სხრ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს...

სოფ. ქვაფთაში მცხოვრებ ელიაზარ შაქროს ძე ნაროუშვილის განცხადება-საჩივარი. საჩივარი ეხებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ბრიგადირს, რომლებმაც კოლექტივის კუთხნილი ხილი რუსეთის ბაზარზე გაყიდეს და სახელმწიფოს ზარალი მიაყენეს. არადა, წინა დღეს თავმჯდომარეს ელიაზართან ბრიგადირის ბიჭი გამოეგზავნა და ათასი მანეთი შეეძლია, ოდონდაც გაჩუმდეს, ოდონდაც

ხმა არ ამოიღოსო და ქადალდში გადაეხვიათ ლენინისთვიანი წითელი თუმნიანები, მაგრამ ელიაზარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თუმცა საჩივრის გადათეთრებამდე დაიშალა საბჭოეთი და მოუსავლეთის გზას დაადგა კოლექტივიც, რაიკომიც და სსრკ ცენტრალური კომიტეტიც.

თითქო სიზმარში იყო ელიაზარი, რაიკომ-შიც ჩავიდა, ქალაქკომშიც, მაგრამ კაციშვილი არ დახვედრია, გეგონება არც ეარსებოს იმ ხალხს, ვისთანაც საჩივრები მიჰქონდა. დაიშალა საბჭოთა კავშირი, წავიდნენ თავმჯდომარები და რაიკომის მდივნები, წავიდნენ, სად წავიდნენ ნეტაგ? ეკითხება თავს და ისევ თვითონ პასუხობს: ჯანდაბაში და დოზანაში. ხვდება, რო მისი ადგილი თანდათან ქრება, თანდათან იკარგება. აღარავის უნდა ტყავის ჩანთიანი ელიაზარი, აღარავინ არის მისი უურის მგდებელი, ახლები მოვიდნენ, არის არეულობა და გაურკვევლობა, სოფლის საბჭო სოფლის საკრებულომ შეცვალა, საკრებულოს სათავეში მოვიდა ოთანაანთ გოდეს ბიჭი.

უურა, უურა მცირე ხანს ელიაზარმა სოფელსაც და სოფლის ახალ თავკაცსაც და ბოლოს საჩივარი დაწერა, სათაქავში ამოიღო გოდეს ბიჭი და მისი ამფსონ-ამლაქუკები. მაგრამ განცხადება-საჩივრის ტექსტს დიდხანს უტრიალა, ვის სახელზე დაეწერა არ იცოდა, ადგა და ისევ საქართველოს სსრ ცენტრალურ

კომიტეტს მისწერა, თუმცა, ბოლოს დარწმუნდა, რო მისი განცხადების წამკითხველი არავინ იყო დედამიწის ზერგზე.

* * *

„რა დრო იყო მაინცა, ელიაზარ, რა დრო იყო. ფასი პქონდა შენს სიტყვას, ეს რა დრო მოიყვანეს, არა, საჩივრები ახლაც იწერება, საჩივრებს რა გამოლევს. ისეთი ცხოვრება არასოდეს დადგება, რო ადამიანმა, მით უფრო ქართული ჯიშ-ჯილაგისამ მეორე ადამიანს არ უჩივლოს, ხორცი არ მოგლიჯოს. ეგეთი ცხოვრება არასოდეს იქნება და არც არავის უნდა პქონდეს ამის იმედი. პო, საჩივრები ალბათ ახლაც იწერება, მაგრამ ელიაზარის საჩივრებს არავინ კითხულობს, წერე და იკითხეო, - უთხრეს ელიაზარს და შაქროს სიყრმისშვილიც წერს და კითხულობს. გულის ჭიას იკლავს, დაწერს, მერე გულმოდინედ წაიკითხავს, ჩაასწორებს, გადაათეთრებს და ისევ წაიკითხავს, თითქო შვებას გრძნობდეს ამით, მერე ხვდება, რო ამის წამკითხველი ელიაზარის გარდა არავინ არის დედამიწაზე, დაკეცავს და თავის ძველ ჩანთაში შეინახავს. ელიაზარის ძველ მტრებს, კოლექტივისჟამინდელ მტრებს კი ეცინებათ გულში: „დედა ვუტირე, დადის ეგრე ჩასვრილი ბალდივით, უჩივლოს კიდე ვინმეს, თფუი, ნამუსი რო პქონდეს, უნდა წავი-

დეს სოფლიდან და სადმე ძაღლივით დალიოს სული“.

თვალები ჩაუცვივდა, ყვრიმალებზე ხორცი დაუჭკნა, თაგზე ორი ლერი თმადა შერჩა და სანთლისფერი შუბლი ყავისფერი ლაქებით აუჭრელდა, ხმა დასიცხული მგზავრივით მიკარგული აქვს. თუ კარგად არ წაუგდე ყური, ისე ვერ გაიგებ, რას ლუდლუდებს, წელშიც მოხრილა, გალეულ კისერზე ხის სოკოსავით აზის ვეება ხორცმები. ხელის მტევნები უკანკალებს. ხვდება რო მთავრდება სავალი, ყავისფერი ჩანთით აიარა ეს გზა. კი, ფიქრობს განვლილ ცხოვრებაზე, იქნებ არც უნდა მოეკიდა ხელი ამ ჩანთისთვის, მსუბუქად ივლიდა, მსუბუქად აათავებდა სიცოცხლის გზა-ბილიკს, ალბათ, ასე ეწერა, ასე უნდა ეცხოვრა. მორჩა და გათავდა. ეხლა რაღას შეცვლის. გაცრეცილი, ალაგ-ალაგ თაგვისკბილგაკრული ვეება ტყავის ჩანთა ახსენებდა წარსულს. რაც იმ ჩანთას საქმე გაუკეთებია. საჩივრებთან ერთად, უმისამართო საჩივრებთან ერთად ელიაზარის მოგონებებიც ელაგა ჩანთაში, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც ელიაზარის რძალმა – შვილთაშვილის მეუღლემ გახურებულ თონეში ჩაუძახა.

წერილი დმეტოთთან

ლეგანს, ჩემს პავშვობის მეგობარს.

არ ვიცი, ისე რამ მომაფიქრა, რაღაც აბდა-
უბდა აზრები კი მომდიოდა თავში, გულიზაფ-
ხულის ცხელ დამქს, შუაგულ ბადში ცხონე-
ბული პაპაჩემის მიერ დარგული ბუთხუზა
მსხლის ქვეშ, რომელიც უპვე დღეებს ითვლის
სიბერის გამო, გავშალე ლეიბი და კაი გა-
მოცდილი ასტრონომივით ვაკვირდებოდი ცას.
რა ცა იყო იცი? საოცარი, ვარსკვლავებით და-
ზორტილ-დაზნექილი, საცა ერთი მნათობი იყო,
ალბათ, ამ თვალშეუდგამ სამყაროში, ყველა
ერთიანად გამოეფინა გამჩენს. თეოც გვერდით
მეჯდა. ავცქეროდი ცას და ვფიქრობდი უსას-
რულობაზე. მერე თეოსაც გავუმხილე, რაზეც
გვიქრობდი.

- სამყარო აქედან იწყება და არ სრულდება.
- როგორ თუ არ სრულდება, დაუსრულებე-
ლი არაფერია.
- გეუბნები რო არ სრულდება, რომ მყავ-
დეს ისეთი საფრენი რაღაცა და ძალიან მაღ-
ლა და თან დიდხანს შეეძლოს ფრენა, დაგიმტ-
კიცებდი, აექედანვე ავფრინდებოდით, სულ ვი-
ფრენდით და ეს შეიძლება იმდენ ხანს გაგრ-
ძელდეს, რომ გზაში დაგიმთავრდეს კაცს წუ-
თისოფელი, საღმე ცის შუაგულში, თუმცა სად
აქვს ცას შუაგული. ყველანაირი დროის საზო-
მი უძლურია ცასთან და მაშასადამე დმეტ-

თან, - ვფიქრობდი ხოლმე, - რანაირად შეიძლება დაუსაბამო იყოს ღმერთი-მეთქი, ე.ი. ის ყოველთვის არის, არასოდეს შექმნილა და არასოდეს მთავრდება და ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ცა. ის არასოდეს მთავრდება. არ ვიცი, ავურიე თუ არა, მაგრამ მართლა ვნატრობ შორეულ და გრძელვადიან ფრენაზე, თან მინდა თეოც წავიყვანო, თეოს ჩემი ყველაფერი სჯერა. არ მინდა, იმედები გავუცრუო. საოცარი იქნება, ცაში რომ დავბერდებით. დედამიწაზე ყოფნა მომწყინდა, სოდომ-გომორობანას თამაში მომბეზრდა, ეს თამაში კი გრძელდება და გრძელდება, დასასრული არ უჩანს. არადა, ხომ შეიძლება, რომ სხვანაირად იყოს ყველაფერი. დედამიწა ადამიანთა მკვდარი ოცნებების გროვად გადაიქცა, ეს უსულო ნატვრა-ოცნებები კი გროვდება და გროვდება. რამდენი ათასი წელი უნდა გავიდეს კიდევ, რო ადამიანმა ამ ცხოვრებას ან საკუთარ თავს რამე გაუგოს. თეო ზის მოწყენილი და ცას ასცემერის.

- რაზე ფიქრობ?

- არაფერზე, ისე, შენი თქმისა არ იყოს, რადაც დიდი უაზრობაა ყველაფერი, თავს ირთობ ადამიანი და რა მერე.

- თავს რო ირთობდე, კიდევ ჯანდაბას! ცხონებული პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, ადამიანი რო იბადება, უნდა ტიროდე და, როცა მოკვდება, როცა წვალებას მორჩება და მოისვენებს, სი-

ცილიო უნდა აცილებდეო.

— ისე, ნეტავ შეიძლებოდეს ღმერთოან გა-
საუბრება.

— გაგიჲდი? — გაწყრა თეო, — რეებს ლაპა-
რაკობ, ღმერთზე ეგეთი რაღაცეები.

— არაფერი, ისე, რაღაც გიჲურად მომივიდა,
სიმართლე გითხრა, ბევრჯერ მიფიქრია იმაზე,
რომ როგორც ზღაპრებში ხდება, ქრისტე ღმერ-
თი ესაუბრება ადამიანებს, აეგრე რო შემახ-
ვედრა მეთქი, ჩემს სათქმელს ვეტყოდი, რასაკ-
ვირველია, შეიძლება უაზრობაა, მაგრამ მაინც
ჩემსას ვეტყოდი. ისე, სამყაროს მოწყობა სხვა-
ნაირადაც შეიძლებოდა.

— კოდევ? — ქიმუნჯი მიჰკრა თეომ, — სხვა
რაღაცაზე ილაპარაკე, თემა შეცვალე.

— შეცვალე კაია, მეფიქრება. ისე, დიდი სია-
მოვნებით მიღწერდი ღმერთს წერილს. მაგრამ
სად გავგზავნო. ამოდენა უსასრულობაში სად
გავუშვა ჩემი წერილი. რაღაცა პატარა სათქ-
მელს ვეტყოდი, გულის ჭიას მოვიკლავდი...

თეოს გემრიელად ჩაეძინა. ძილმა უცბად
წაართვა თავი. მძინარე ქალზე ლამაზი აქვეყ-
ნად არაფერია, მიძინებულ ბუნებასავით უცნა-
ური ეშხი აქვს.

— თეო. — დაგეწურჩულე.

ის უკვე უსხეულოდ დანავარდობდა სიზმა-
რეთის ველ-მინდვრებზე. რამდენჯერმე ვაკოცე-
საოცარი სურნელი პქონდა. ყველა ადამიანს
თავისი სუნი აქვს, რომელსაც ყველაზე მეტად

ლოგინიდან შეიგრძნობ, მართლა, მართლა, აი, დაყნოსე თუ გინდა ლოგინს და მიხვდები. თე-ოს სუნი ყველასაგან განსხვავებულია! მსხლის ტოტზე პკიდია ვეება ფანარი, რომელიც მო-ლურჯო-მოვერცხლისფრო შუქს გამოსცემს და უცნაურ ნათელს პფენს პაპაჩემის მიერ დარ-გულ ხეს, რომელსაც დღეებიდა დარჩა. მოჭამა თავისი წილი წუთისოფელი და ერთ დროს, ახლა მე რომ ვზივარ, მოტიტვლებული ადგილი იქნება. ადამიანიც ეგრეა, ვერ წარმოგიდგენია უშენობა დედამიწაზე, ვერ წარმოგიდგენია, როგორ უნდა იარსებოს სამყარომ, როცა აღარ იქნები... წყვდიადი გადაეკვრება სივრცეს, რო-გორც დაბადებამდე იყო, ვიდრე უფალი იტყო-და „იქმენინ ნათელიო“ ეგრე იქნება, სიბნელე, წავარამი... დავიწყე წერილის წერა, რომელსაც ადრესატი არ ჰყავს. უფრო სწორად, წერილს ქვეყნიერების გამჩენის მისამართით ვწერ, ან მივა და ან არა, მაგრამ მე მაინც ვიკლავ გუ-ლის ჭიას და ვიცი, ამაზე მომიწევს მერე საზვერებზე პასუხის გაცემა. ისე, ამ თვალუ-წვდენელ სამყაროში რამდენი ჩემნაირი დადის, ყველას რაღაცა უნდა, ყველა რაღაცით უკმა-ყოფილოა, შენ გინახავს ყველაფრით კმაყოფი-ლი ადამიანი? პოდა, ყველამ რო დმერთს მი-სწეროს წერილი, ეგრე სად წავა. ამ წერილის ავტორს განკითხვის დღეს, ვიცი, ჯოჯოხეთი არ ამცდება, მაგრამ მაინც ვწერ. წერილი ასე იწყება:

„ღმერთო, ვიცი, რო ძალიან გიყვარს ადამიანი, ვერ დავიჯერებ, რო თუნდაც მეორედ მოსვლის ჟამს ისე გაწვიმდეს, როგორც ბოლო-ჟამამდე ქუჩს, რასაკვირველია, მშობელს ურ-ჩევნია, ყველა შვილი წესიერი ჰყავდეს, ისეთი, როგორიც მას უნდა, მაგრამ ყალთაბანდი შვილი საციხედ მაინც ენანება, ოქვენს ხატად შეგვქმენით ყველა... მაგრამ... დანარჩენს ვერავინ წაიკითხავს, დანარჩენი მარტო მე მეცოდინება და კიდევ იმას, ვისაც ვუგზავნი“.

* * *

- ვერა ხარ კარგად.
- რა შემატყველ, რომ ვერ ვარ კარგად?
- გატყობ.
- არაფერია, ხანდახან მემართება ასეთი რაღაცეები, ადამიანი ვარ, საფიქრალ-სადარდებელს რა გამომილევს.
- ახლა სულ სხვანაირად ხარ, - თავზე მეფერება თეო, - შენ რომ ცუდად ხარ, სიკვდილს ვნატრობ, არ მინდა, რომ ასეთ ხასიათზე იყო.

თეო უპვე მეხეუთე თვეშია. მუცელი წამოეჩიტა, ხანდახან ხელს დამადებინებს, სადაც მოუსვენარი უხილავი არსება ერთ ამბავშია, ბორგავს, შფოთავს, ჯერ არ დაბადებულა და უკვე ებრძვის წუთისოფელს. დედის წიაღიდან ემუქრება სამყაროს. თეოს კმაყოფილების ღიმილი უდგას მოლაქავებულ თვალის უპეებში,

დედობის კმაყოფილების თუ ბედნიერების შუქი, ამაზე დიდი ბედნიერების განცდა, როცა საკუთარ წიაღში ჩვილის განძრევას შეიგრძნობს, ქალისათვის ალბათ არაფერია.

— ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება, ცხოვრება ხო იცი როგორია, გაჭირვებაც უნდა ავიტანოთ და დალხინებაც მთავარია, რო ერთმანეთს გავუგოთ, არ იხერვიულო არაფერზე, გეხვეწები. ვიცი, რასაც გულისხმობს. უსახლკაროდ დავრჩით. ძნელია უსახლკარობა. სახლი ბანქმა გაგვიყიდა, გაგვიყიდა ბიძაშვილის გამო, რომელმაც ჩვენი ბინით ისარგებლა, ბანქიდან ფული გამოიტანა, წავიდა მერე უცხოეთში და ერთ მშვენიერ დღეს დაგვაცლევინებ ბინა. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, თეომაც იტირა, იტირა, მერე მე დავამშვიდე, ზოგს საერთოდ არ აქვს სახლი და თავს კი არ იკლავს-მეთქი. მეორე ბიძაშვილის სახლში გადავბარგდით და იქ ვიცხოვრეთ ბარე ორი წელიწადი. მერე ის ბიძაშვილიც მოგვადგა და ბინის დაცლა გვთხოვა, ბიჭი ცოლის მოყვანას აპირებს, უნდა დამიცალოთო, აბა ჩემს ორთახიანში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს და იქ რამდენი დავეტევითო. გამოვალაგეთ ბარგი-ბარბანა და დავრჩით ეგრე. მერე გამახსენდა სოფელი, ცხონებული პაპაჩემისეული სახლი, სადაც ჩემი მშობლებიც აღარ ჩადიოდნენ ბოლოს. ალიზის ძველთამგელი სახლი გვედგა, უფრო სწორად ქოხი. კრამიტის სახურავით,

კედლებგამობერილი. ერთი კაი ქარი რო ამოქ-
როლილიყო, ჩაილურის წყალს დალევდა. ჩავე-
დით მე და თეო, მივალაგ-მოვალაგეთ, დავა-
სუფთავეთ, მეზობლებიც მომებმარნენ. ეზოდან
მოთიბული ეკალი და მაყვალ-ბარდი გავიტა-
ნეთ, ვერასოდეს ვერ მოვიფიქრებდი, რო მე
ჩემს ცოლთან ერთად პაპაჩემის კერაზე დავბ-
რუნდებოდი, ალბათ, განგების ხელი ერია.

* * *

თეო დედამისთან გავგზავნე და მამა კახა-
ბერს დაგურეკე. მამა კახაბერი ჩემი ბავშვო-
ბის მეგობარია, ერთად გავიზარდეთ, ერთად
დავრბოდით, თავიდან ცოტა ავარ-მავარა იყო,
ისევე როგორც თითოეული ჩვენგანი. მერე
ციხეში ჩავარდა, ორიოდე წელი ქურდობის
გამო ხეხა და სასჯელის მოხდის შემდეგ შინ
არც მისულა, სადაც მოხუცებული დედა და
უფროსი და ელოდებოდნენ, პირდაპირ მონას-
ტერში წავიდა.

მამა კახაბერს შევჩივლე ჩემი სულიერი გა-
საჭირი. ულოცეველი კაცი ადვილად დამიმარ-
ტოხელა ეშმაკმა, მომერივნენ. რაღაცნაირად
შემძულდა ცხოვრება, სამყარო მოძველდა, და-
ჭინა, გახუნდა, მომბეზრდა ყველა და ყველა-
ფერი თეოს და იმ არსების გარდა, რომელსაც
ჯერ არ დაენახა წუთისოფელი.

და ამ გაჭირვების ჟამს სიზმარში ვნახე მა-
მა კახაბერი, მოვიდა, ვეება წვერით, ანთებული

თვალებით და ერთი ქარგისა გამილაწუნა,
ისეთი ტკაცანი გამადინა, გონს მოვეგე.

* * *

— დედა პელაგია დაგვევდება მონასტერთან,
მე უავა ვუთხარი, მონასტრის წინამძღვარმაც
იცის... ერთი სიტყვით, არ შემარცხვინო, გაიგე
ბიჭოო, შე დამლა შენა, როგორ ჩამოგიყრია
ყურები, მაგნაირ რაღაცებს შეხვდები ცხოვ-
რებაში, არ უნდა გატყდე, სული უნდა მოიძ-
ლიერო, ძლიერი სული კლდესავით არი და
თუ ეშმაკი დაგეტაკება, ტვინს მიანთხევს, უფ-
რო სწორად, რქებს დაიმტვრევს, არ გექნება
მტკიცე სული და გამოგვატრაგს იმ წვეტიანი
რქებით, გაიგე? შენ რა გითხარი შენა, შენა
და ესეთ დღეში, მამალი მგლისა არ გეშინო-
და. ერთი სიტყვით, ხო გაიგე, დედა პელაგია
დაგვედება მანქანით, მე არ ვიქნები, ათონის
ქართულ სავანეში მივდივარ, მონასტერში კუ-
ლიას გამოგიყოფენ, ილოცე და იშრომე. მალე
გაგივლის ყველაფერი. რაც შეიძლება ბევრი
იფიქრე ღმერთზე, ღმერთზე ფიქრი სიყვარუ-
ლის გრძნობას გაგიჩნენს. შენ ეხლა სული
ამოშაშრული გაქს და შენი გრძნობები მკვდა-
რი თევზებივით ყრია. წარმოიდგინე დამშრა-
ლი მდინარე და მკვდარი, ხრწნაში წასული
თევზები... წყალი გინდა, წყალი, ოდონდ ჩვეუ-
ლებრივი წყალი არა, უკვდავების წყალი, რო-
მელიც ტაბარშია...

* * *

როგორც მითხრა მამა კახაბერმა, მართლაც ისე მოხდა. ჩავედი ვეჯინის მამათა მონასტერში. მარტოდმარტო, ფათურაკების საძიებლად წასული მგზავრივით ჩანთაგადაკიდებულმა კი-თხვა-კითხვით მივაკვლიყ სოფელს. მონასტერი სოფლიდან კარგა მოშორებით ტყეში იყო. ავუ-კევი აღმართს, ტყიდან გუმბათის წვერი მოჩან-და. ცადაქნილი ტაძარი ზემოდან დაჟურებდა დევნებს. პირჯვარი გადავიწერე. მერე თეორ ავტომობილს მოვკარი თვალი, რომელიც მალე ჩემს სიახლოვეს გაჩერდა, საიდანაც ყორნის-ვერი სამოსით შემოსილი მონაზონი გადმოვი-და და გულმა მითხრა, რო ეს უნდა ყოფილი-ყო დედა პელაგია.

— თქვენ ხომ არ ხართ ლევანი? — მომე-სალმა ქრისტეს მხევალი, რომელიც ასაკით ჩემზე ორი-სამი წლით უმცროსი უნდა ყოფი-ლიყო.

— კი, მე ვარ.
— მამა კახაბერმა დამირეკა, წამობრძანდით ჩვენთან.

ოციოდე წლის ჭაბუკი მორჩილი მართავდა მანქანას.

* * *

ნელ-ნელა ცოცხლდება მკვდარი თევზები, უკვდავების წყალმა მოასულიერა. არ მეჩვენე-ბა, მართლა ასეა. ბნელ კელიაში ხის ტახტზე

ვწევარ, კუთხეში ანთია მტკაველიანი კელაპ-ტარი, რომლის შექი ფანტაზე წყვდიადს და კანთიელად აჩენს ხატებს. რამდენი ბერი ან მორჩილი წოლილა ამ საწოლზე, რამდენი კულაპტარი დანოებულა სალოცავ კუთხესთან და რამდენი ლოცვა წაკითხულა. თვალები და-ხუჭე, გაირინდე, ფიქრით შენც ამ კელიაში გაჩნდები, საკმევლის სურნელსაც იგრძნობ, იცი? რაღაცნაირად მსუბუქად ვგრძნობ თავს, სხეული მჩატედ მეჩვენება, არადა, ხორცის სიმძიმემ ლამის ჭკუიდან გადამიყვანა. ყველაზე მეტად შენ გამიგებ. აქ ისეთი სამყაროა, სიჩუმე, საოცარი სიჩუმე, რაც ასე სჭირდება ადამიანს, ამ ხმაურიან, მოსაბეზრებულ ორომ-ტრიალში ჩაყურყუმელავებულ ადამიანს, რომელიც ყოველთვის მატერიაზე ფიქრობს და სული... სული მაშინ ახსენდება, როცა უჭირს და სიკვდილთან სიახლოვეს გრძნობს, ღმერთიც მაშინ ახსენდება. აქედან არსად არ მინდა წასვლა. ამაზე კარგი ადგილი სად უნდა იპოვოს ადამიანმა? ბედნიერები არიან ბერები. აქ არის ნამდვილი ბედნიერება, უხერწელი ბედნიერება.

გუშინ ჩავაბარე აღსარება და თითქოს დედამიწისხელა ტვირთი მოვიხსენი, მრცხვენოდა, თავჩაღუნული გესაუბრებოდი მოძღვარს, მაგრამ რო არ მეთქვა, ვერ გავთავისუფლდებოდი, გული გამისკდებოდა, უზარმაზარი ნაგვის გროვა ამოვიდე სულიდან და აღარ მინდა, ნაგვის ადგილზე დარჩენილი სიცარიელე ისევ ნა-

გავმა შეავსოს.

დილადამიან ვდგები და ცისკრის ლოცვას ვესწრები, მერე კელიებს ვაშენებთ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ჩემსავით შეჭირვებულები იქნებიან და მონასტერში იპოვიან შვებას.

„გახსოვს, ღმერთს რომ წერილი მივწერე? თურმე, ღმერთთან გასაგზავნი წერილი აღსარება და ლოცვა ყოფილა, რომელიც ამ უზარმაზარ უსასრულობაში ღმერთამდე ადვილად მიდის. გკოცნი, თეო, თავს გაუფრთხილდი და მიმიხედვ მაგ კაცს, მწუხარის ლოცვაზე შევდივარ და არ გეწყინოს, კაი?!“

თანდილას ბოლო უამი

— დაიწყო ისევ... — მურმურებს დარო, — დაიწყო და რაღა გააჩერებს, დღე ხო აღარა მაქ მოსვენება და ღამეც შემჭამა, გამამხრა, ეს რა ბედი მქონდა, ეს რა სიბერე მელოდა.

თანდილა შინდის არგანზე ჩამოყრდნობილა და ბაღს გასცემის. ეს ჯოხი ლამის არის ლოგინშიც ჩაიყოლოს, თავიდან არ იშორებს, უფროსმა ძმამ ილამ გაუკეთა. ილა ორი წელია, რაც წავიდა, რაც სულეთში გადასახლდა და თანდილას ძმის მაგივრობას ეს ჯოხი უწევს, ძმაც ხომ ძმის საყრდენია. და აი, ილას გამოთლილი შინდის ჯოხიც საყრდენათა აქვს, ორივე ხელით ჩემოეყრდნობა და ბაღს გასცემის. ილას გული დაეწვებოდა ხოლმე ძმის დანახვაზე, თანდილა ბარე რვა წლით უმცროსი იყო. ომიანობის დროს რაც ილას თავის ძმაზე ამაგი პქონდა, კაი მშობელს გაუჭირდებოდა. თავისთვის რო ენანებოდა ლუპმა, ძმას უნახავდა, მისი გამოზრდილი იყო და როცა ნაადრევად გატეხილ, ჩამობერებულ ძმას დაინახავდა, გული ჩაეთუთქებოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა. მე ესე ყოჩაღად უნდა ვიყო და ეს კიდევ ესეთ დღეში? - დანანებით ჩაილაპარაკებდა ხოლმე. ამ ცხოვრებას სამართალი არ აქვს, უშვილძირო კაცი ვარ, ხეზე რო ავიდე, ძირს არაფერი დამრჩება, მე დამმართვოდა ეგ ავანტყოფობა, მე შევეჭამე, რაღა ამ ჩემს

ძმას დაერია, თფუი! კბილებს გააკრაჭუნებდა ილა, რომელიც შესაშურ ჯავარზე იყო, რა ჯანი პქონდა ცხონებულს მკლავსა თუ მუხლში, ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა, ერთი კბილი არ აკლდა, არადა, ოთხმოცისთვის მიეკაცუნებინა, რვა ათეული ცოტა ხო არ არის. ისე, არც ბევრია, ჩვენთვის რო ვთქვათ, მაგრამ... თანდილა უცბად ჩამობერდა. რაღაც უკურნებელი სენი შეეყარა, რომელმაც მუხლში ძალა გამოაცალა, სხეული გამოუფიტა, უცბად დაჩიავდა და რძლის და ცოლის მოსავლელი გახდა. აღარავის ახსოვს ძველი დრო, ერთი ფოტოებს შეჰყინია, ხანდახან ალბომს გადმოიღებს თანდილა და ცრემლჩამდგარი თვალებით აცქერდება.

„ის დრო ჯობდა, თანდილ, როცა მთელი რუსეთი ვეხქვეშ გქონდა, სად აღარ იყავი, ხმელეთი გაქს შემოვლილი, როგორ ინახავდი ოჯახს, შენახვაც არის და შენახვაც, ცივ ნიავს არ აკარებდი, რა მოკლებია შენს შვილებს, არც არაფერი, შენნაირი მამა ხომ იშვიათია, შვილებს უმაღლესი დაამთავრებინე, ცხოვრების გზაზე დაიყენე, მაგრამ ტყუილი ყოფილა ყველაფერი, მართალს ამბობდა ხოლმე ცხონებული ნათლიაჩემი - პეტრე, ზედმეტი პატივი შვილსაც არ უნდა სცეო, მერე რა რო შვილია, ზედმედი პატივისცემა და სიკეთე ადამიანს აფუჭებს, თვალის ჩინს უკარგავსო“, - ფიქრობდა ბერიკაცი. ეხლა, როგორა ვთქვათ, რო არ უვლიან თანდილას, ცოლიც უვლის და

რძალიც, მაგრამ ის სითბო არ ახლავს ამ მოვლას, რასაც იმსახურებდა. ხანდახან მწარედ ჩაედიმება. „ამ ამბავს როგორ წარმოვიდგენდი. ეს რო ათიოდე წლის წინ ჩემებისთვის მეოქვა, სიცილს დამაყრიდნენ, ვინ იფიქრებდა, მე თუ ამ დღეში ჩავვარდებოდი. სამ თვეში ერთხელ მოდიან ჩემი გოგოები, მოვლენ, მომეფერებიან, პგონიათ, ბებერი მამისაოვის ესეც საკმარისია, თუმცა, ყველა დაბერდება და ამაზე ბევრი უნდა იფიქრონ ადამიანებმა“.

თითქმ გამოცდა მოუწყო თანდილას ოჯახს გამჩენმა, ახალგაზრდობაში რო ფეხქვეშ ეგებოდით და მაგის ნაშოვნი ქონება გინდოდათ, სიბერებში როგორ შეინახავთ.

გვ, რას არ იფიქრებს მოხუცი ადამიანი, რომელსაც ფიქრიც სხვანაირი აქვს, ღიმილიც, ძილიც და ტკიფილიც.

შინდის არგანზე ჩამოყრნობილა თანდილა და ცოლს ეჩეუბება.

— დალიე წამალი? — ეკითხება დარო.
— დავლიე, ოხრათ დარჩა ეგ წამალი, განა არ ვიცი, რატომაც გამააწერინეთ ექიმს, მალე მოგშორდებით და დაისვენებთ.

— აბა, რა უნდა გელაპარაკო? — გაწყრა დარო, — ტვინი გამოგეცალა, ყველას ეჭვის თვალით უყურებ, როგორ დაგპანკალებთ და შენ კიდევ, დაუნახავი კაცი ხარ.

— დაუნახავი ვარ... — ჩაიბუტბუტა, — ნეტავ როგორ უნდა ვხედავდე, რას მოელიან ჩემგან.

— არაფერს მოველით, მარტო ტკბილი სიტყვა თქვი. უგელა შენი ცხოვრებით ცხოვრობს ამ სახლში. ბავშვებიც ხომ ცოდონი არიან.

— ჰმ, ვიცი, როგორი ზედმეტიცა ვარ. კარგი იქნება მოვშორდებოდე, აემ არქ-მარეს რა ეშველება...

* * *

ხედავს, არ ეჩვენება, რა ქნას. ამბობს, არ უჯერებენ. ჯერ ბიჭს უთხრა, გაეცინა.

— აბა, რას ლაპარაკობ, მამა, სად ვინ არის კაცო, არც გზა გაუყვანიათ, არც „ხეტკა“ აუხსნიათ, არც საქონელი წაუსხამთ, რაღაცა მოგეჩვენა, იქნება სიზმარში ნახე და მერე ცხადშიც გამოყენა.

მერე ცოლსაც მოუყვა. მოუყვა იმას, რასაც ხედავდა. ხედავდა, როგორ მუშაობდა მის ბაღში ორი კაცი, როგორ მუყაოთად, გულმოდგინეო ახსნეს მავთულბადე, რომელიც ბარე ნახევარი საუკუნის წინ შემოევლო თანდილას. ჯერ ხო წვალებითა და დაგვით იყიდა და შეხედე, ვიღაც უცხო ადამიანები მის ნაწვალნადაგს ხსნიან. ახლა გზა, ვეება ტრაქტორი მოიყვანეს, შუაგულ ბაღში, ტონიანი ვაშლის ძირები ამოდდლიძეს და ხრეშის დაყრა დაიწყეს, გზა გაჲყავთ, ესეთი უპატრონობა გაგონილა? ეს ჩემი დოყლაპია ბიჭი, სად ასხია თვალები! ახლა საქონელი, მთელმა სოფელმა თანდილას ძროხები მოაშენა და საქონელიც წაასხეს.

დარომ ტირილით თავ-პირი დაიოსა. ეს რა დაემართა, ამნაირი გონების კაცს. წადი, შვილო, ექიმს შესჩივლე, იქნებ რამე ვუშველოთო. წავიდა ბიჭი ქალაქში, მივიდა ნაცნობ ექიმთან, სადაც ადრე დაჰყავდა ავადმყოფი მშობელი და შესჩივლა მამის გასაჭირი, მაგრამ მკურნალმა ვერაფერი საიმედო უთხრა. ეგაო, რაღაც მოჩვენებები რო დაეწყო, მაგ დაავადების გამოა და მკურნალობას არანაირი აზრი არ აქვსო. აზრი არ აქვს კარგია, როგორია, მშობელს ამ დღეში უკურო, თან იმის ჯავრი პქონდა ბიჭს, სოფელი რო გაიგებდა, რას იტყოდა. სირცხვილი წინასწარ სწვავდა.

* * *

ანდერძი? ანდერძი რა დავწერო, იმ იმედით ვცხოვრობდი, რო ოჯახი კარგი მყავდა, ბიჭი მეზრდებოდა, მომავლის იმედი მქონდა, რაც მე უბედურება მინახია ცხოვრებაში, სად აღარ ვყოფილვარ, ცხოვრება და ქონება რო მეშოვა, შემოვიარე მთელი ქვეყანა, მაგრამ რად გინდა, ესე მინიავებენ, ვიღაც უცხო ხალხს ატანენ ჩემს ნაწვალ-ნადაგსა! - ბურბუტებს თანდილა და თემოსკენ გაურბის მწყრალი თვალები, ამოდენა ბეხლერწი კაცია, მამულს ართმევენ, ეს კიდევა აინუნშიაც არ აგდებს.

თემო უურადდებას არ აქცევს და ბოლოს ვეღარ მოითმინა თანდილაშ.

- შენ გელაპარაკები, კაცო.

— რა გინდა, მამაჩემო, — აენთო თქმო, მაგრამ ცოლმა ანიშნა, მაგის ჭკუისა ხო არ გახდები, დაანებე თავი, გულს მოიოხებს და გაჩერდებაო. თქმოც მაშინვე გაჩუმდა.

— რა მინდა და აემაგ ხალხს მიხედე, ან კანონი არ არის ან სამართალი? აემ მარჯვენით მოპოვებულ ქონებას მართმევენ. დაგვიუპატრეს ამ ვერნებმა, ჯანი მაინც მომდევდეს, დედას ვუტირებდი, დედას.

თანდილას ჩხუბით იწყებოდა დღე და ისევ თანდილას ჩხუბით მთავრდებოდა.

— ოხ მე მაგისი!
— ვისი ადამიანო?
— ვალიკოსი.
— ვინ არის ვალიკო?

— გზა რო გაჰყავს. მეორე უარესი ტურაა,
ოხ, მე მაგათი!

— მეორე ვინდაა?
— მეორეს ავთოს პქვია.

გაგიჟებას არის დარო. სახელები საიდანდა შეურჩია, სახელები საიდანდა მოიგონა. ასეთი რამე, ქალი დაგბერდი, და არ მინახავს.

— ქალიც ეხმარებათ, ეგ უსინდისო ქალი, მაგას რაღა სინდისმა გაუჭრა, თმებით უნდა ითრიოს კაცმა.

— ქალი ვინდაა?
— არ ვიცი, მაგათ მოიყვანეს, ავთომ და ვალიკომ, სახელი არ ვიცი მაგ ქალისა, მაგრამ მაგ კაცებზე არაფრით არი ნაკლები, ისე მუ-

შაობს ბარზე, კაი ვაჟქაცი შემირცხვენია.

ასე თენდება და დამდება, თანდილას ჩხუბ-სა და ყაყანში. ამას წინათ თანდილას სანახა-ვად ნათესავები მოვიდნენ, შემოაბიჯეს თუ არა ეზოში, საწყალი ხმით შებდავლა ბერიკაცმა:

— მომეშველეთ, ხალხი არა ხართ, ნუ დაა-ჩაგვრინებთ ჩემს თავსაო!

თემომ თვალით ანიშნა თანდილას დისშვი-ლიშვილებს, ყურადღებას ნუ მიაქცევთო, მაგ-რამ თანდილა მაინც არ ეშვებოდა, ჩალით ხომ არ არის დახურული ეს ქვეყანა, ხალხია, ხა-მართალია, სად გაგონილა ასეთი რამე, კაცო.

* * *

უკვე ერთი კვირაა, ლოგინიდან აღარ ამდ-გარა. ძალა წაერთვა. დარო ხვდება, რომ მის ქმარს საამქვეყნო პირი აღარ აქვს. დადის, ნერვიულობს, ჩუმჩუმად ტირის, ნეტა ფეხზე იდგეს და მოვუვლი, როგორც იქნება, ჩხუბსაც ავიტან, გინებასაც, მოჩვენებებსაც. უდლის გამწევი რო ჩავარდა, უღელიც აყირავდა და დაროსაც არ დაადგება ხეირი, იცის ეს ქალმა. რძალი ეხმარება, ხელებში ვარდება დედამ-თილს. ურეცხავს, უსუფთავებს ავადმყოფს, მაგრამ დარო მაინც უბედური ქალია. ლო-გინში ჩაკარგულ ქმარს დახედავს და გული ეპუმშება, სადღად ის თანდილა, ძვალი და ტყავი დარჩა საცოდავი, ავადმყოფობამ შეჭამა, ხორცი გამოაცალა. რაც დაუყვირია, რაც დაუ-

ტევია ქმრისთვის, ჩურჩულით უბოდიშებს ქალი. ხო მაპატიებ? ეკითხება, მაგრამ თანდილა ხმას არ სცემს, უაზროდ იყურება, თითქო ანგელოზებს ხედავს და მათ ცქერაში გართულს დაროსათვის არ ეცალოს. ბოლო დამეს, ვიდრე თანდილა ჯერ კიდევ სააჭაოს იყო, თვალი გამოახილა, ღონე მოიკრიბა და დაროს დაელაპარაკა.

- დარო.
- პო, გენაცვალე, - დამჭკნარი ხელი გადაუსვა ქმარს ქალმა.
- მაინც თავისი გაიტანეს ჩემმა მტრებმა.
- ვინ მტრებმა?
- გალიკომ, ავთომ და იმ ქალმა.
- არ არსებობს ეგ ხალხი, შენ გეჩვენებოდა, ნურაფრის ჯავრი გაქვს.
- იმ ბავშვს შეაჭამე, რამე? - უაზროდ და-აჭყიტა თვალები თანდილამ.
- რომელ ბავშვს?
- აი, მაგათ რო მოიყვანეს, მართალია, მტრები არიან, მაგრამა, ბავშვმა რა დამიშავა, ცოდვაა, მშიერს ნუ დატოვებ.
- კარგი კარგი, შევაჭმევ, - ცრემლი ჩამოუგორდა დაროს.
- თემოც ატირდა, კარს უკან ატუზულიყო თანდილას ვაჟი და მამის უკანასკნელ სიტყვებს ისმენდა.

ქასაბიაანთ კოტეს ამბავი

სამოცს მიუკაცუნა ქასაბიაანთ კოტემ. რო შეხედო, უფრო მეტის გეგონება. თმა-წვერი ერთიანად ჩამოთეთრებული აქვს, სახე მზისგან ალანძულ-აპილპილებული, სხეული ბარზე და თოხზე მუშაობით გამოჯეკილი. კოტესნაირი გამრჯე კაცი იმ სოფელში მეორე არ მოიძებნება. მზეზე უფრო ყოჩადია კოტე, მზეს ისევ მოების უბეში სძინავს ხოლმე, როცა კოტე მოდლილია მუშაობით. დაისვენე, კოტე, დაისვენე, ჯანი დაასვენე, ეტყვიან მეზობლები, მაგრამ კოტე ყურს არავის უგდებს. ამ ჯანს მიწას როგორ შევაჭმევ, სანამ მკლავი და მუხლი მამდევს, მანამდე უნდა ვიმუშაო, უქმად ყოფნა მერეც მეყოფა, გულზე რო ხელებს დამიკრევავენ, ნიკაპს რო მარლით ამიკრავენ, მერე რადა ჩემ ფეხებს გავაკეთებ, უნდა ვიწვე და ვიწვე, ეხლავე გული მისკდება, იმისთვინ კი არა რო სიკვდილისა მეშინიან, რა საშიში ეგ არი. ბოლო-ბოლო ყველა კვდება. მთავარი რამ მადარდებს, უქმად ყოფნა რო მომიწევს. იწევი ეგრე გაშოტილი. ამიტომ სანამ ვარ, უნდა დავიხარჯო. აბა ზოგ-ზოგიერთები არიან, შობელძაღლები ეგენი, როგორ უქმად ატარებენ წუთისოფელს, ქონები ასკდებათ, მიწა გულაღმა უგდიათ, გაანძრიე ხელი შვილოსა, ჯანი გამოილიე, დაძაბუნებული სხეული მაინც აღარ დაგენანება. მოსავალი იმდენი აქვს ყოველ-

წელს, ჩაბინავებას ვერ აუდის. თავის სარდაფებს რო გაავსებს, მერე მეზობლებსა სთხოვს, რო დროებით დაალაგოს მოწეული ხილი თუ ბოსტნეული.

რაც ის არსახსენებელი ომი მოხდა, რაც გადამთიელებმა ქართული მიწა-წყალი დაისაპუთრეს, კოტეს საქმეც უკან-უკან წავიდა. ოსებმა ქართველებს ლიახვის ტოტი გადაუკეტეს და აგერ უკვე ორი წელი მოტრიალდა, მოურწყაობით გადახმა ბაღ-ვენახი. მერე როგორი გვალვიანი დღეები დაიჭირა. გული ზაფხულში ერთი წვეთი აღარ გაიმეტა ცამ, როგორმაგვალული მიწისთვის ცოტა სული მოეთქმევინა, იმოდენა ნაპრალები გაჩნდა, ფეხი ჩავარდებოდა. გამოკირული მიწა ძაღლივით იღრინებოდა. მარიამობისთვემდე მიატანა სული ბაღჩა-ბოსტანმა და მერე ხმობა იწყო. აგეტირებოდა ფოთოლაშუშული ხეხილის და გადახრუშული ბოსტნეულის დანახვაზე. საცოდავი კოტე წინ და უკან დარბოდა, მაგრამ რა უნდა ეშველა. ისე ჩაეკეტათ ოსებს ლიახვის ტოტი, რო ერთი წვეთი არ იპარებოდა.

* * *

— ესე რამ გაუციათ გული კაცო, გასაგებია, ომი მოხდა, ომმა ადამიანები შეიწირა, და ე გადაკიდებული ხალხი კიდევ უფრო დაგვაშორა, მაგრამა, - მხრებს იჩქავს კოტე, ასეთი რამე კაცო, წყალი ღმერთის ბოძებულია და მისი ჩა-

წყვეტა როგორ შეიძლება, უფალი როგორ გა-
პატიებს, თუმცა სადღაა მაგათვის უფალი.
რამოდენა წყალი ჩამოდიოდა, პატარა ლიახვის
ერთი ტოტი ამდენ სოფლებს არწყულებდა,
მოსავალს ჰქვებავდა. სად წაიყვანეს იმოდენა
წყალი მაგ უჯილაგოებმა! ბაღში შესვლა
აღარ მინდა, მშიერი შვილი რო შესტირებს
მშობელსა, აეგრე შემომტირიან ჩემი დაზრდი-
ლი ხეები, შემომტირიან და იმათ შემხედვარეს
მეც ტირილი მინდება. ორი წელიწადია, წყალი
არ უნახიათ. ჰაი, დედასა, ამაზე დიდი ცოდოო-
ბა რა არი, მიწები წაგვართვეს, ხალხი გამოგ-
ვირეკეს, იმოდენა სოფლები ცეცხლს მისცეს
და ახლა წყალს აღარ გვაძლევენ. თუმცა, ახია
ჩვენზე ყველაფერი, ახი. ჭკუას მაინც ვერ
ვისწავლით. უცბად გვავიწყდება ყველაფერი,
უცბად! მოდიოდნენ შვილოსა, პურ-მარილს ვა-
ხვედრებდით, მიდი-მოვდივარ, რაც მაგათ მამა-
ჩემმა ღვინო აცეცხლა და ციკნები უკლა... ოსი
ძმაცაცებიც ხო პყავდა, დაწურავდა და მაგათ-
თვისა, იმოდენა ღვინო რო დაგექცია, სოფელს
ურწყავებთან ჩაიტანდა, სულ მაგათ უთავდე-
ბოდათ, აეგეოები ვართ. ის კი არა, ახირებუ-
ლი ჰქონდა, ერთი ოსი ძმაკაცი ჰყავდა, ანტო-
ნა, იმისოთვის უნდა მოვენათვლინებინე, მერე
ანტონა იყო, თუ ვიღაც ჩემი ფეხები, გადმა გა-
ვიდა და აესე გადავრჩი, თორე რაც მე ნათლი-
ოს გინება მექნებოდა... მიხმებოდა ბაღები, ესე-
ნი კიდე, ეს უჯილაგოები, რომელი ამათაც გუ-

ლი აუზუყდებოდათ, ცოცხალი ადამიანები არ შეიძრალეს და ბაღ-ვენასებს შეგვიცოდებდნენ, ჯერ ტრაქტორებით ვუსხამდი წყალსა, ტირი-ფონადან მამქონდა და მამქონდა, ესეც ნიქო-ზის კაშხალმა ქნა, თორე ტირიფონა ვიდას ახ-სოვდა, ბაყაყების სამყოფი წყალიც აღარ იდგა. ვზიდე და ვზიდე, თუმცა, რამდენს დაუსხამ კაცო, რამდენს უნდა ამყოფინო, აქეთ ატამი შემოგტირის, იქით ვენახი, იმის იქით კიდე ვაშლები, კიდე იქითა, ბოსტანი თუ სიმინდი, ვეწვალე, რაც დასათესი იყო, დავთესე, რაც დასარგავი იყო დავრგე, ცხონებული მამაჩემი სულ მაგას არ მეუბნებოდა? არც ერთი წელი-წადი არ მააცდინო, შვილო, არც ერთი წე-ლიო, თუ არაფერი დარგე არაფერი გექნება, არც შენა და არც შენს შვილებსა. რაღაცნაი-რად ჩამებეჭდა მამაჩემის ნათქვამი. ის კი არა, იმ ცხონებულის სიტყვები და დარიგებანი სულ ყურში ჩამესმის, მე მგონი იქაც ვერ ის-ვენებს, ისევ პატარა ბიჭი ვარნივარ და მამის სული თან დამდევს. ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩამებეჭდა-მეთქი, ვრგავ და ვრგავ, რაც კი ხილია ჩვენში, ყველაფერი გავაშენე, მაგრამ რა გამოვიდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, სადაც ამ უჯი-შოებმა გადაკეტეს ლიახვის ტოტი, იქ ასვლა ძიებ საშიში იყო, მაგრამ ამ ჩემი ბაღ-ვენა-ხების ცოდო არ მაყენებდა, ბადრიას შევწივლე ჩემ მომიჯნავეს, იმასაც კაი თვალმახარა ბაღები აქ, მშრომელი ბიჭია, მარჯვენადალია-

ნი, წამო, რაც იქნება, იქნება, ბოლმით მოვკვდებით თუ ტყვიითა, რა აზრი აქვს-მეოქი. არ გამომყვა, ეს, ძია კოტე, შოშიებივით შემამცქურიან ბალდები, ბალების გულისთვინ როგორ დავაობლო, შიმშილით სული ამოხდებათო. ვერც გაამტკუნებ. პატარა ბიჭია, წერილშვილი ჰყამ, ე, ბიჭის ძებნაში აჩინეს და აჩინეს. ერთი სიტყვით, ბოლმა მახრჩობდა, სახლში რას ვიტყოდი, ხო ატეხავდნენ ჩემები ერთ ამბავსა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ერთ დამესაც წასვლა გადავწყვიტე. შუადამე იყო. იმ დროს წყალიც იძინებს. ავდექი, ჩავიცვი ბოტები, ავიღე ბარი, ვახსენე გამჩენი და წავედი ერედვის მინდვრებისკენ. უკან დამრჩა ჩემი სოფელი, ჩაძინებული, მაგრამ მაინც იგრძნობდი მის სიცოცხლეს, რაღაცა უცნაურ გულისძგერას ვგრძნობდი ჩემი სოფლისას. აი, წინ კი ერთ დროს რო გაჩახჩახებული ამოდენა გზა იყო, ბრდდვიალი რო გაუდიოდა და სუნთქავდა იქაურობა, მკვდარი იყო ყველაფერი, თითქო სასაფლაოზე მივდიოდი, ისეთი გრძნობა მქონდა. შიში ოხერია, ერთი ხანობა ვიფიქრე, ეხლა რო დაგიხვდნენ ოსები კოტე, წაგათრიონ, წაგიყვანონ, სად მიდიხარ, გიშველონ მერე ატმებმა, მაგათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდა. ცოცხლად შეჭამენ კაცსა, ცოცხლათა. მაგრამ გამახსენდებოდა თუ არა ჩემი გახრიოკებული ბაღები, ჩამომჭკნარი ხეხილი, გულს ვიმაგრებდი. ავედი ეგრე ჩუმ-ჩუმად, ბარი მხარზე ვერ

გავიდე, რა იცი, იქნება მთიდან დამინახონ და ე ბარი იარაღად არ მოტვენოთ, ეგრევე რაკ-ვანს გამადენენ-მეთქი. ქურდი ოსივით ავიპარე ბოგირებთან და წყლის ჩხიალი მომესმა. ისე-თი სიამოვნება ვიგრძენი ამ ჩახუთულ სიცხე-ში, ასე მეგონა, უკვე შეგდებული მქონდა წყა-ლი ბაღში და კვალ-კვალ მილიკლიკებდა. გავ-ჩერდი, წყლის ხმაურით დავტკბი მცირე ხანს, ცას ავხედე, კუნაპეტი დამე იყო, თითხ ვერ მიიტანდი თვალთან, პაპიროსი მინდოდა ისე, ისე, რო კბილები მიკაწკაწებდა, ლამის იყო ეგრე ჩამედეჭა, მაგრამ ცეცხლს ვერ ვანთები, დამინახავდნენ და ისე მომივიდა, ერთი ანდაზისა არ იყოს, შორს მაყურებელმა კაც-მაო ცხვირწინ ქვას წამოჰკრა ფეხიო. მივედი მივედი ახლოსა და ლაპარაკი მომესმა, ჯერ მეგონა, მომენვენა-მეთქი, შიშმა იცის ეგეთი რაღაცეები, რო ვთქვა არ შემშინებია-მეთქი, არ ვიქნები მართალი, თავისებურად მაინც მეშინოდა, ისევ მომესმა, წაგუგდე ყური, გული ამიჩქარდა, ბაგა-ბუგი დაიწრო, ჩავიცუცქე, გავტვრინდი, ბიჯოს, ქართული ლაპარაკი მო-მესმა ისევ, ევჭ, ქასაბიანთ კოტე, სულ დაკარ-გე ჭეუა, ამ ომმა სულ გამოგათაყვანა, ესენი თუ ჩემი თანასოფლელები არ იყვნენ, თავი მომა-ჭერი-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, მიტრაანთ უბნიდან იქნებიან ამოპარულები, ჩემსავით ალ-ბათ წყალი აქედან გადაპყავთ, მივედი ახლოს და ვინ მიტრაანი, რა მიტრაანი, რუსი სალდა-

თები შემრჩნენ ხელში. დავიბენი, ენა ჩამივარდა, ნერწყვი გამიშრა, წამოხტნენ რუსები, ბეჭრები, ისე მივედი, ვერაფერი გაიგეს იმ გამოქლიავებულებმა, როგორ მომეტვენა ქართული ლაპარაკი, ჩემს თავზე გავბრაზდი. ავტომატი მომიშვირეს.

— არ მესროლოთ-მეთქი, — ბარი დავაგდე და ხელები მაღლა ავწიე.

ვიდრე ერთს ავტომატი ჰქონდა მოშვერილი, მეორემ დურბინდი მოიმარჯვა და მიდამო მოათვალმზერა, რა ეგონა იმ შტერსა, ბატალიონით ხო არ ვიქნებოდი მისული.

— არ მესროლოთ-მეთქი, — კიდევ ვთხოვე, თან რაღაცა მომეცო ყელზე, ხმა წამერთვა, ბოლმის გორგალი იყო, ჩემს მიწაზე რუსს ვეხვენები, რო არ მომკლას, ამის დედა ვატირე, ნერვი არ გინდა კაცსა?

— ვინ ხარო? — მკითხა რუსმა, რანაირი სიფათისა იყო, სიბნელეში რას გავარჩევდი.

— აქაური კაცი ვარ, სარწყავ წყალზე ამოვედი-მეთქი.

— მერე არ იცი რო აქ უძვე რუსეთის ტერიტორიაა, სად მოდიოდი რო მოდიოდი, საზღვრის უკანონო დარღვევის გამო ექვს წელს რო ხეხავ, მეორედ აღარ ამოხვალო.

უარესად ჩამივარდა ხმა, რუსეთის ტერიტორია, აგვშენებია ქოხი, ერიპაა, ამათ როგორ გაიჯეჯილეს, ამ წუნკლებმა, მართლა თავიანთი მიწა პგონიათ-მეთქი და ლამის ვუთხარი

თქვენი შაბან-ყუბანაა, მეტი არაფერი მეოქი, ხელბორკიდი დამადეს.

— რას მიშვრებით კაცო, ღმერთი არა გწამო-მეოქი. რუსი და ღმერთი? წამო, წამო, იქ გა-ვარკვევთ ყველაფერსაო, გამიგდეს წინ და ერ-თი-ორი პანდურიც მითავაზეს, ბარიც იქ დამრჩა, თვალი გამექცა და მერე ჩემს თავზე ბრაზი მომივიდა რა გებარება, შვილო, ორი ქვა უნდა გეჭიროს ხელში. წავიბუტბუტე, რა თქვიო, - ჩამაჩემდა რუსი, - ჩემს თავს ვაგინებ-მეოქი.

როგორ თუ შენს თავს აგინებო. აეგრე მინ-და და ვაგინებ. ესე უთავბოლოდ რო მოვდი-ოდი და ხათაბალაში გავეხვიე-მეოქი.

აღარც მახსოვდა, როგორი იყო ცხინვალი.

აბა, როგორ უნდა მხსომებოდა, იმხელა დრო გავიდა მას შემდეგა, თაობები წავიდა და წამოვიდა, ბუნდოვნადდა ჩამრჩენდა, მეორე არეულობა ვიდრე დაიწყებოდა, ბოლოს მაშინ ვიყა, მიტრანთ ჯემოს გავყე. ხარები წა-მოიყვანა გასაყიდად. ორ-ორი აზაფერი მიჰყიდა ჯაველ ოსებს. აი მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ვასრკვლავი მოწყდა ცის კაბა-დონს, სიზმრებსდა შემორჩა ცხინვალი. აბა, ამას რა მომაფიქრებდა, კაცო, სარწყავში წა-სულს რუსები დამიჭერდნენ და ეგრევე ცხინ-ვალში წამაპანწიალებდნენ. დაეტიქ შვილოსაო, იტყვიან, ალბათ, ჩემი სოფლელები, რამ წაიყ-ვანაო, ამოდენა კაცს ჭკუა სად დაუფანტაო, ექვს

წელს მაინც მიარჭობენ თაყაანთ ბიჭივითა, რომელიც ეხლაც ცხინვალის ციხეში ზისო, იტყვიან, აბა არ იტყვიან? ახალი ამბავი გაგუ- ჩინე ჩემს სოფელს, სოფელს რო ახალი ამბავი აქვს, ახალი საკბილო, ცოცხალია მაშინ სოფ- ელი. ერთი სიტყვით, მცირე ხნით გამოვაცოცხ- ლე სალაყბო. ზოგს შევეცოდები, ზოგსა კიდევ ვისაც ჩემი ბაღ-ვენახის შური ჰკლამდა, ზემი ექნება, არიან ეგეთებიცა და რა ჩემი ბრალია. ერთი სიტყვით ბევრი რო არ ვიყბედო, ჩავე- დით ცხინვალში, ვეხვეწებოდი გზაშია რუს სალდათებს, არაფერი დამიშავებია, ერთი გლე- ხი კაცი ვარ, სად მიგყევართ რო მიგყევართ- მეთქი. რას მომისმენდნენ, ცოლ-შვილზე უფრო ვდარდობდი, იმათ უგონათ, რო სარწყავში ვიყა და ამ დროს ცხინვალში მოვადინე ფხაჭანი. ეჭ, კოტე, კოტე, შე მართლა კოტე, რამდენი ხანი მოგიწევს ცხინვალის ციხეში ყურყუტი, ვინ იცის. ჩავედით, პირი მიშრებოდა. კარგა მოთენდა, ცრიატი დღე ჩანდა, უგულოდ დასც- ქეროდა ზაფხულის მზე ცხინვალს, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ნაცნობი ქუჩები დავ- ლანდე, რამდენი მივლია აქეთა, რა დრო იყო... ეხლა კიდევ ტუსალი ვიყავი და მივყებოდი ეგ- რე ხბოსავით. ჩემი ცოლ-შვილი კიდევა, წარ- მომედგინა, რა დღეში ჩავარდებოდნენ. რუსებ- მა თავიანთ უფროსობასთან ჩამიყვანეს. ჯერ და- კითხვა დამიწევს და, რაც კი რუსული მქონდა ნასწავლი ჯარში, ერთი სიტყვა აღარ დამრჩა,

სულ დავხარჯე. ამხედეს-ჩამხედეს, რატომ გა-
დახვედი რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთისა
ჩინჩორაა-მეთქი. შტო ტაკოი ჩინჩორაო. არა,
არაფერი ჩინჩორა მიწა კარგი რამეა და თქვე-
ნი იყვეს-მეთქი. შემატყვეს რო ერთი ჩვეუ-
ლებრივი გლეხი კაცი ვიყა, ხეხილის მოურწყა-
ვობით გაბოროტებულ-გულსამსალიანი. რატო
არ უშვებთ წყალსა, თქვე დალოცვილებო, ე
წყალი ხომ უფალმა მოგვცა-მეთქი.

როცა ჭარუაზე მოხვალთ, მერე მოგცემთო,
ცოტა გონება გაანძრიეთ და წყალიც გაქნებათ
და ღვინოცაო. რუსის დასარიგებელიც რო
გავხდით. ერთი, რომელიც ასაკით ჩემზე უმც-
როსი იქნებოდა, ჩემს საუბარს იწერდა, ბოლოს
მითხრა, ხელი მოაწერეთ აქაო. დავხედე გაკ-
რული ხელით ნაწერ რუსულს რა ჯანდაბას
გაგუგებდი. რას მიპირებო-მეთქი, არაფერი არ
უთქვამთ. მოაწერეო, ახლა უკვე ბრძანების
ტონით მითხრა. თან გვერდით მჯდომსაც გა-
დახედა. ვატყობდი, რო ვერ იყო საქმე კარგად.
თაყაანთ ბიჭის ბედი მელოდა. ამ დროს გაიღო
კარი და შემოაბიჯა რუსმა მაიორმა, ბუდიო-
ნივით გადაეკალმა ულვაშები. თვალები ჩა-
სისხლიანებული ჰქონდა, ხმა ოდნავ ჩახლე-
ჩილი, სახე ასწითლებოდა. მოვიდა, დაჯდა. სი-
გარეტი გააბოლდა. იქ მყოფი რუსები ყველანი
ფეხზე წამოდგნენ. მოსულს ჯერ არც შეეხედა
ჩემთვის. ერთმა ანგარიში ჩააბარა. მაიორმა ამ-
ხედ-ჩამხედა. მეც დავაკვირდი. შევათვალმზე-

რეთ ერთიმეორე და ორივეს ერთდროულად
გაგვეცინა.

- აქტაი არა ხარ? - ვკითხე გაოცებულმა.
- აქტაი ვარ, შენ კოტე არ ხარ?
- კოტე ვარ, კოტე, თუმცა აღარც კი ვიცი
ვინ ვარ.

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, დმერთო
ჩემო, სად შემახვედრა, ზღაპარში მეგონა თა-
ვი. საიდან სადაო, ჩემი ჩერქეზი ჯარის ძმაკა-
ცი. ერთად ვიმსახურეთ, ერთად გავატარეთ
ჯარის წლები. მერე კი დრომ გაწყვიტა ჩვენი
კავშირი, ჯარის დასრულების შემდეგ ერთი
ხანობა გვქონდა ურთიერთობა, წერილებს გუგ-
ზავნიდით ერთიმეორეს, მერე კი აღარაფერი
გამიგია, მას შემდეგ ბარე ოცდასამი წელიწა-
დი გავიდა. როგორც აღმოჩნდა, აქტაის რუსის
ჯარში გაუგრძელებია მსახური და აი, სად შე-
გვახვედრა განგებამ. თვალებს არ ვუჯერებდი.
წარბოლი ისევ აჩნდა ნაიარევი, ის არის, ის
არის, ვეუბნებოდი ჩემს თავს. ოდონდ მერე
ვეღარ დავმალე ჩემი გულისწყრომა, როგორ
გიყვარდა ქართველები და ასეთ უსულო ადა-
მიანებთან როგორ მუშაობ, რა დღეში ჩაგ-
ვაგდეს, აგვიკლეს ამ უკილაგოებმა-მეთქი. სა-
ხე უარესად წამოუხურდა, მერე ჩემს მზერას
ვეღარ გაუძლო და თავი ჩაღუნა, მე აღარაფე-
რი მითქვამს.

* * *

- უკაცრავად, როგორ მოხდა თქვენი გან-
თავისუფლება?
 - აქტაიმ მიშველა.
 - ვინ არის აქტაი?
 - ჩერქეზია, ჩემი ჯარის ძმაკაცი...
- მივდივარ და მომდევენ უურნალისტები, რე-
ზინის ბოტებზე შემხმარი ტალახი გზადაგზა
მცვივდება. მივდივარ, მეტრიანი ნაბიჯებით მი-
ვაბოტებ.
- უკაცრავად, სულ ერთი წუთით!
 - თავი დამანებეთ, შვილო, ჩემი უბედურე-
ბაც მეყოფა.

ნაძვი

— ცისანა დეიდა, ცისანა დეიდა... — უნდა დაეყვირა, მაგრამ ენაზე იქინა, თოხა კბილები დააჭირა ენას და ლამის სისხლი გამოიდინა. უნდა ეთქვა ნაძვსა ჭრიანო, მაგრამ უცბად გაასხენდა, რო ცისანა, რომელიც მოელი თავისი ცხოვრება სოფლის საბჭოში მდივნად მუშაობდა, კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. ეს ნაძვი ვინ იცის რამდენ ხანს ითვლიდა, მისი ასაკი მიახლოებით თუ იცოდნენ, როცა სოფლის საბჭოს ალაგზე, იქ, სადაც მოუნათლავი ბალდების სასაფლაო იყო და ძელის სალოცავი იდგა, ღვთისმშობლის მიძინების სალოცავი, კომუნისტებმა საბჭოს შენობის აგება დაიწყეს, ნაძვიც სავარაუდოდ მაშინ დარგეს. ის დალოცვილი ხე, სავარაუდოდ, ორსართულიანი საბჭოს შენობაზე დაბალი უნდა გაზრდილიყო, ასე ვარაუდობდნენ კომუნისტები, მაგრამ ბუნებას რას გაუგებს ადამის მოდგმა, აიყარა და აიყარა ტანი, მიპქონდა და მიპქონდა კენწერო მაღლა, ბოლოს იმდენა გახდა, საბჭოს შენობას მაღლიდან მოექცა და როცა სახურავზე ჩარჭობილ წითელ ნამგლიან-უროიან დროშასაც გაუსწრო, ზრდა შეწყვიტა, თითქო ჯიბრზე აკეთებდა. წყალი იმას არ უდგებოდა და არაფერი, რამ გაზარდა ამხელა, ვინ გაუგებდა. მას შემდეგ იდგა და იდგა. რამდენი საბჭოს თავმჯდომარის გამოცვლას მოესწრო ეს ნაძვი,

ვინ მოსთვლის, რამდენი აყალმაყალი და შეხლა-შემოხლა უნახავს. იდგა, დასცქეროდა ეგრე არხეინად ადამიანებს, რომლებიც წითელ დროშაზე და ლენინის სურათზე ლოცულობდნენ. საბჭოც ამ ნაძვის გარეშე თითქო ვერვის წარმოედგინა. რაღაცნაირად ავსებდა იქაურობას, ერთი-ორ თავქარიან კომუნისტს კი მოუარა თავში მაშინ, რა მოხელეა კაცოო, აქაურობა გირჩითა და წიწვებით ივსება, საწყალი ჩვენი დამლაგებლები აქეთ აღარ არიანო, ავდგეთ და მოვჭრათო, ფანჯრებს ცალკე ეფხატება, არაფერი არ ჩანს ხეირიანად, ის კი არა გრიგალი რო ამოვარდეს და დააცემინოს, სახურავი თავზე ჩამოგვექცევაო, მაგრამ ნაძვის ხეს უმალ გამოუწინენ დამცველები და მეტი-ჩარა კომუნისტებს ხმა ჩააკმენდინეს.

მაინც იდგა მას შემდეგ. იდგა და აკვირდებოდა ადამიანებს. რომლებმაც უთვალავი თავმჯდომარე გამოიცვალეს, აკვირდებოდა და ეცინებოდა. ადამიანების ცხოვრება აოცებდა. ერთ ციდა, ორმოცვომლიან სოფელში როგორ სძულდათ ერთიმეორე ამ ცოდვის შვილებს, როგორ ასმენდნენ, როგორ ლანძღავდნენ, ორი გოჯი მიწის გამო იმეტებდა მეზობელი მეზობელს. ბევრს რამეს მოესწრო. იდგა და ასცქეროდა ცას, უკვირდა არსთა გამრიგის ასეთი გადაწყვეტილება, რა ძალა ადგა იმ დალოცვილს, რატომ შექმნა ადამიანი, შეექმნა სულ ხეები და რამდენ ცოდვას აიცილებდა დედამი-

წა. თუმცა... „აბა მე რა ჯანდაბა ვიცი, ერთი უბრალო მარტოხე ვარ, ჩემი თავისა ვერაფერი გამიგია, აქ საიდან გავჩნდი, ვინ დამახარა, ვინ დაიდო ჩემი ცოდვა, უფლის საიდუმლოს როგორ ჩავწედები?“

წითელი დროშა ფრიალებდა, საბჭოს შენობაში კრემლის ბინადართა ვეება სურათები იცვლებოდა. ცისანა იჯდა კაბინეტში და ჩაპკირკიტებდა სოფლის მცხოვრებთა სარეგისტრაციო სიებს.

ერთ მშენიერ დღეს წითელი დროშა ჩამოხსნეს. თვალებდაძაგრული უმზერდა ნაძვი, როგორ გამოძრა ორი ყოჩადი ბიჭი საყვავედან, თუნუქის დაქანგებულ სახურავზე ბარტყაბურტყით გაიარეს და გახუნებული, მზისგან ფერშეცვლილი დროშა თვალის დახამხამებაში ჩამოგლიჯეს. რაღაცნაირად თვალში დააკლდა წითელი ქსოვილი იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება მას უმზერდა. სახურავიდან ყიუინით გადმოუძახეს დროშა ბიჭებმა, უხაროდათ, ეზოში შეკრებილ ხალხს ხელს უქნევდნენ. ეგეც თქვენი კომუნისტები, მოგჭამეს ჭირი თუ არაო! ეზოში შეკრებილებმა ქორწილის ხილაბანდივით ნაცუწ-ნაკუწებად აქციეს დროშა, სისხლით მოპოვებული დროშა, ნამგლით და ურთითი დამშვენებული...

რაღაცა რო შეიცვალა, მიხვდა ნაძვი, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა მის ცხოვრებაში. ისევ ცას აჰყურებდა. დაბლა ცქერას ცაში

ცქერა ერჩია... მარტო ცა არ შეცვლილიყო, ისევ ისეთი იყო, როგორიც ახსოვდა, ნამურ-დისფრად კრთოდა, ალაგ-ალაგ თივთიკივით ეკიდა ქათქათა ღრუბლები. ცაში ცხოვრებას არაფერი ჯობდა, მაგრამ იცოდა ნაძვმა, ხეები ცაში ვერ ხარობდნენ, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეეძლოთ ადამიანთა სულებივით, კვამლად ქცეულებს ეფრინათ ცაში და ეგებ ღმერთისთვისაც მოკრათ თვალი, ღმერთის ნახვის სურვილი, როგორც ყველა მოკვდავს, ხმობაში წასულ ნაძვსაც ჰქონდა.

* * *

— აქეთ დასწიოთ, ბიჯო, — გასძახა თოკსდაბ-დაუჭებულ ბიჭებს თემიამ, — აქეთა-მეთქი, ეკ, რამ გამოგაშტერათ, მარჯვენა მხარესა, — მაინც ვერ გაიგეს ბენზინზე მორახრახე ხერ-ხის გამაყრუებელ ხმაურში, ხერხვას თავი მიანება და ბიჭებთან ახლოს მივიდა, — დაყ-რუვდით კაცო? გახედეთ მაინცა, ლავრენტას თავი მააქ? ემაგ მესერს ერთიანად ჩაიტანს. საბჭოს მომიჯნავე მეზობლის რკინის ღობის-ქენ მიანიშნა თემიამ. — აქეთ გამოიწიეთ.

ისევ მიადგა მამისეული ხერხით ხმობაში წასულ ნაძვს მხერხავი. ხე თითქო უკანასკნელ ძალას იკრებდა, ხერხს გაუძალიანდა, რომელ-საც თითქო ძალა ეცლებოდა და ნაძვთან ბრძოლაში ვერას ხდებოდა, მაგრამ მაინც მო-იწევდა ხის გულისაკენ.

თედო შორიახლო იდგა და ნაძვს მისეულ
ბიჭებს გულმოკლული გასცქეროდა. ხედავდა,
ძარღვებგადაჭრილ ხეს როგორ ექაჩებოდნენ
კენწეროზე გამობმული თოკით, მისი ბავშვო-
ბისდროინდელი სოფლიდან თითქო ეს ხედა
დარჩენილიყო, ცოტა ხანში ტოტებგამხმარი
ზღართანით დაეცემოდა მიწაზე და დაცარი-
ელდებოდა იქაურობა, მისი ბავშვობა თითქო
ამ ხის არსებობას გაეგრძელებინა. ნახევარი
წუთისოფელი გაევლო და ეს ხე რაღაცნაირად
აკავშირებდა ყრმობასთან, ახლა კი მთავრ-
დებოდა, მთავრდებოდა. ალბათ, უნდა დამთავ-
რებულიყო კიდეც, რადგან შემთხვევით არც
თემია გაეჩინა გამჩენს და არც მისი ხერხი.

ნილოსის ნიანგები

მართლა ნიანგებზე არ ეგონოს ვინმეს ეს მოთხოვობა, მკითხველს წარმოსახვაში უკვე გაუჩნდა ეგვიპტის დედამდინარიდან თავამოყოფილი მტაცებლები. სად მე და სად ეგვიპტე, ან ეგვიპტური ნიანგები. გაუკვირდება კაცს, მაგრამ შემოქმედი ხან ეგვიპტეშია და ხან ჯერაც უცნობ ადგილებში, სადაც ფეხიც არ დაუდგამს ადამის ძეს. ათასი ამბავი ამოგიტივტივდება, ათასი არსება დახტის ტვინის ხვეულებში, ზოგი ცხოვრებაში ნანახი, ზოგიც დასიზმრებული. ეხლაც სულ შიშხინაანთ ბიჭის ბრალია, ტვინი გამიწყალა, მოსვენებას არ მაძლევს. სულ იმისი ხითხითი ჩამესმის უკრში, თან როგორი საოცარი, განსხვავებული სიცილი აქვს, თუ ერთხელ მაინც წაუყურადე, აგეპვიატება და ვედარც მოიშორებ.

- დაწერე რამე, კაცი არა ხარ?
- რა დავწერო, შე ჩემი ცოდვით სავსე.
- ჩემზე უკეთესზე ვისზე უნდა დაწერო, მე იცი ვინა ვარ? შიშხინაანთ გიგოს შთამომავალი. გაგიგია? რო გკითხოს კაცმა, ისტორიკონი ვაარო, ეს ვიცი, ის ვიციო, არაფერი შენ არ იცი. მეოცე საუკუნის დასაწყისის ისტორია შიშხინაანთ გიგოს გარეშე წარმოუდგენელია. გიგო იყო პაპაჩემის პაპა, სანდრო კანდელაკი მაინც არ გაგიგია? ეჭვ, დამლა ხარ, მცხეთაში ძეგლი დაუდგეს სანდროსა, ჭედილასა ჭამდა

ერთ შეჯმაზეო, აიმ სანდროს ქმაკაცი იყო შიშხინაანთ გიგო, ერთად ყოფილან დაზრდილები. სანდროს ტოლს არ უდებდა პაპაჩემი, ერთხელ დაეჭიდნენ კიდევა, თურმე, და გიგო მორევია, მაგრამ ეს ამბავი არ გაუხმოვანებიათ, ერთი სიტყვით, შეიძლებოდა, რომ პაპაჩემ გიგოსთვისაც დაედგათ ძეგლი და ეგრე აღარ დამიწყებდი ცქერას. არადა, ჩვენც ხო ერთად დავიზარდენით, ერთად გავატარეთ მწარე სტუდენტობა, ჯიბის ფული გვენატრებოდა, პაპიროსს ვმათხოვობდით, მაგრამ მაინც კაცურად გავატარეთ. ისე, რო ერთმანეთისა ერთი პატარა ხინჯიც არ დაგვრჩენია. ხო ეგრეა?

— ეგრეა, — თავი დაგუქნიე, — პოდა ეგრე, ისევ ჩაიხითხითა გულიანად. ჩემზე თუ არა, ჩვენს სამთხე დაწერე მაინცა. შენ რას იტყვიო? გიოც იქვე იჯდა, შიშხინაანთ ბიჭის ლაპარაკზე ეცინებოდა, თაფლა თვალები ალალი სიცილით ანთებოდა.

— გითხრა ეს ეხლა რაზე ფიქრობს? ეს „ჭამის მინისტრი“ ესა, სუ თხილის შამფურზე აგებული მწვადები უტრიალებს თვალწინ, შენ რაღას გაჩუმებულხარ ბიჯო, ახლა ლექსოს მიმართა, წელიწადი ისე მოტრიალდება, ხმას არ ამოიღებს, შეთქმული ხომ არა გაქ, შვილოსა, თქვი რამე ან ამ მთისა, იმ მთისა.

— რა უნდა ვთქვა? — მხრები აიჩენა ლექსომ,
— აი, სუფრაზე რო ვიყოთ, გეტყოდი. სუფრის

ხსენებაზე გაჩუმდა შიშხინაანთ ბიჭი და უც-
ბათ თემას გადაუხვია.

— ისე, ხუმრობა იქით იყოს და რამდენი
ხანია არ გვიქეიფია, ლუკმა არ გაგვიტეხია.
მოდი, მოვიფიქროთ რამე!

— მოვიფიქროთ, — დაეთანხმა გიო.
— კაი მწვადი შევწვათ, იფ, იფ, იფ, წალამ-
ზე დავყაროთ.

— შენ რას იტყვი?
— დავყაროთ. ახალიც დაღვინდა, დადგა, ჩა-
უწდა, შეიძლება უკვე უკ, თან როგორია, შიშ-
ხინაანთ ლვინოს კი არა პგავს. ბარე თოხი
კასრი გააპილთუმეს ბიჭებმა, თუმცა რა გამო-
გოდა... დავფიქრდი, ძალით დაგსერიოზულდი.

— რა იგულისხმე, — ჩამაცივდა გიო.
— რა ვიგულისხმე და... ძალაზე გავაჯანჯ-
ლე საოქმელი, ათჯერ რო ამოხვიდეთ, ეგ არი
და უგა.

— როგორ თუ ათჯერა? — გაუკვირდა შიშ-
ხინაანთ ბიჭს.

— ათ ამოსვლაზე გეყოფათ.
— უხ, შენ რა გითხარი, შენა! — ხმა ამოილო
ლექსომ.

შიშხინაანთ ბიჭი კი ისევ ხითხითებდა, არ
იღლებოდა.

* * *

ანდრეიც გამოჩნდა მოთხრობაში. გიო თამა-
დობდა სუფრაზე. საგერისთო ტაბლა აიგნის

ქვეშ გამაშლევინა შიშხინაანთ ბიჭმა, დაბლა ჯობია, სუფთა პაერზეო, აქ უფრო ეშხი ექნებაო. მივუსხედით საგერისთო პურ-მარილს. რა-დაც სხვანაირი მადლი აქვს ამ დღეს. არ ვიცი, როდიდან დაწესდა ეს დღესასწაული, რომე-ლიც გერს უკავშირდება, უფრო სწორად, გე-რის სალოცავს. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა იმ დალოცვილი ტაძრის კარზე, ვისაც ერთ-ხელ მაინც გაუთვია წმინდა გიორგის მოსა-ლოცად ასულს დამე, არასოდეს დავიწყდება. იქიდან წამოყოლილი მადლი სულის საგზალი-ვით თან დაგყვება. როგორც არ უნდა უჭირ-დეთ აქაურებს, უკანასკნელ გროშს გაიდგენ და გერისთობის დღესასწაულს მაინც აღნიშ-ნავენ. ის იყო ოდნავ შეპერანგდა ჩვენი სუფ-რიონი, რო ჭიშკარი გაიღო და ჩემი მეგობარი ზურა გამოჩნდა, ვიდაც უცხო კაცთან ერთად. ეს უცხო კაცი სლოვაკი უურნალისტი აღმოჩნ-და, რომელიც აქაური ხალხის ყოფით იყო დაინტერესებული. მაგრამ გვიან მიხვდა ანდ-რეი, სად მოხვდა. ზურამ მცირე ხანი დაჰყო სუფრასთან, მერე სლოვაკი სტუმარი დაგვიტო-ვა და წავიდა, თან სული ყელში ჩამიბერა, შე-ნი ჭირიმე, გიორგი, რაღაცები აინტერესებს ამ კაცს, რუსეთ-საქართველოს ომის თემით არის დაინტერესებული და იქნებ აქაურ ხალხს შეახვედროო.

ასე შემოგვრჩა პატივცემული ანდრეი გე-რისთობის სუფრაზე. შიშხინაანთ ბიჭის, გიოს,

ლექსოს და კიდევ ჩემი ნათესავების გვერდით. იქნებოდა ორმოც წლამდე, ყვავილნახადი, წითელი სახით, მაღალ-მაღალი, ოდნავ მოხრილი, ჩამოზრდილი ქერა თმითა და ცოცხალი, სხარტად მოძრავი ცისფერი თვალებით. თავიდან ცოტა მორცხვობდა, ქართულ კერძებს მორიდებით მიირთმევდა, მაგრამ მერე გაგვიშინაურდა. უფრო სწორად შიშინაანთ ბიჭმა მოაშინაურა, საცა ერთი რუსული სიტყვა იცოდა, ყველაფერი სლოვაკ ანდრეის „შესწირა“, ენა გაისისხლიანა.

— შენაო, არ ვიცი, ჯიგარო, რა ინფორმაციასა ფლობ ქათველებზეო, მაგრამ ჩვენისთანა გულიანი ხალხი დუნიაზე მეორე არ არისო. აი, ჩვენა, ვინც აქა ვსხედვართ, ყველანი ტრუსიკის ძმაკაცები ვართ და ერთმანეთის გარეშე ლუკმას არა ვდეჭავთო, ხო ეგრეა მუნჯოო, - მუჯლუგუნი მიჰკრა გვერდით მჯდომ ლექსოს, რომელიც ენაგადაყლაპულივით იჯდა და შიშინაანთ ბიჭის რუსულს უსმენდა.

— ეგრეაო, იმანაც თავი დაუქნია.

გიო (იგივე მიწათმოქმედი) ფეხზე წამოდგა, შიშინაანთ ბიჭს თვალი ჩაუკრა, შიშინაანათ ბიჭმაც არ დააყოვნა და თიხის ჯამი დვინით გააპილთუმა, თამადას მიაწოდა. ანდრეიმ ფოტოაპარატი მოიმარჯვა. ერიჳაა, ძლივს ამოიდგა ენა ლექსომ, როგორ გაოცებული გვიყურებს ეს კაცი, გეგონება დვინის დამლევი ხალხი პირველათა ნახა, ამან რო ყოველდღე

გვდიოს ქაცოო.

თამადამ თიხის ჯამი გაშლილ მტევანზე დაიღგა და საქართველო დალოცა. ანდრეი ერთი ხანობა დვინის დალევას უარობდა, მაგრამ შიშხინაანთ ბიჭი რო ვინმეს შეუჩნდებოდა... თავიდან ცოტა დაიჯდანა სლოვაკი სტუმარი, მაგრამ მერე და მერე ისე მოეწონა ჩემი დვინო, მიწათმოქმედი რო ჭიქას აწევდა, პირველი ის უჭახუნებდა. დღე ახალი შემონაზვნებული იყო, ჩვენმა სტუმარმა სოფელში გასვლა დაპირა, მაგრამ ვინ გაუშვებდა.

— მოიცა ჯიგაროო! — ხან გიო გადაუდგა, ხან ლექსო, ხან შიშხინაანთ ბიჭი, სადღევრძელოები დაგვრჩა სათქმელიო. სად გაიქცევა კ, სოფელი, კაცო, ან ეს ხალხიო. ჩაიხითხითა შიშხინაანთ ბიჭმა, ომის დროს არ გაქცეულან, სისხლის წვიმები აწვიმდათ და აბა, შენ რა იცი, ისე, უნდა დაგიჯდე და მოგიყვე, ეგ ფოტოაპარატი რას უშველის საქმეს, აი, ჩვენ რო მოგიყვებით, იმდენი რამე დაგიგროვდება, იმდენი, რო...

— აბა მარო, — გასძახა ნათლიდედას შიშხინაანთ ბიჭმა, — ერთი ჩემი მოტანილი ქვევრი გამამიტანეო.

— რა ქვევრიო, ეს რა დამთხვეულივითა ლაპარაკობსო, თვალები დააჭყიტეს სტუმრებმა, ქვევრი როგორდა უნდა გამოიტანოსო. ცოტა ხანში გამოჩნდა ჩემი ცოლი და მართლა გამოიტანა ორი პაწია ქვევრი, თითო ლიტრა ჩადი-

ოდა. ანდრეის ბახუსის ლიბრი გადაჲკროდა თვალებზე, ცოტაც და ბრაგვანს მოადენდა სუფრაზე. გულში, ალბათ, ზურას თათხავდა და დაახლოებით გხვდებოდი, რას ფიქრობდა: აქ სად წამოვედი კაცო, ვისთან დამტოვა ამ ჩემი ცოდვით სავსემ, თვალები ელამივით გაუხდა. ის ქვევრიც ჩამოატარეს, ომში დაღუპული ბიჭები მოიგონეს, მაგრამ ანდრეიმ ნახევარიც ვერ დაცალა, სკამიდან ქვევრიანად გადავარდა, ამ დროს დედაჩემის მტუქსავი ხმაც გაისმა:

— რა იყოთ, შვილო, რა თქვენი უბედურებაა, ნარდად ხო არა გაქვთ ეგ ოხერა ლვინო აღებულიო. ძლივს ავიტანეთ სტუმარი მეორე სართულზე, დავაწვინეთ, უფრო სწორად, კუნძივით დავდეთ ლოგინზე. მთელი დამე ვუთიე, ხან მაჯას ვუსინჯავდი, ხან სუნთქვაზე ვაკვირდებოდი, აბა შვილოსა, შიშხინაანთ ბიჭს რო კაცი აჲყვება, იმას ხეირი დაადგება? ისევ ნაცნობი ხითხითი ჩამესმოდა. მესაწოლე ბერივით დავბორიალობდი ანდრეის ოთახში, უფრო სწორად, ჩემს ოთახში.

* * *

ძვირფასო გიორგი, მართალია წერილის მოწერა დამაგვიანდა, მაგრამ ბოდიში უნდა მოგიხადო, ჩემი სამსახურის გადამკიდემ ძლივს მოვახერხე. საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე თქვენმა ქვეყანამ და განსაკუთრებით თქვენ-

მა სოფელში. ჭირგამძლე, ომგადახდილი, მაგრამ მაინც უტეხი, მხიარული და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს, მალიან მომეწონა თქვენი დღესასწაული, რომელიც წმინდა გორგის უკავშირდება, მივხვდი, რატომ სცემთ გეორგიანელები განსაკუთრებულ პატივს წმინდა გიორგის. აქ ყველას ვაჩვენე ქართული სუფრის ფოტოები. ქართული სუფრა ყველაზე უკეთესად წარმოაჩენს თქვენს ხასიათს. გიგზავნით ფოტოებს, კიდევ უფრო ბევრი რამის გადაღება შეიძლებოდა, მაგრამ იმდენი დვინო დამალევინეს...

და კიდევ კინაღამ დამავიწყდა, თქვენი მეგობრების მოკითხვა, რომლებიც არ ვიცი, რას შევადარო, ნილოსის ნიანგებს? ჰა, ჰა, ჰა, არ ეწყინებათ, ალბათ, და ყველას გულითადი მოკითხვა გადაეცით, უსათუოდ გნახავთ, როდესაც საქართველოში ჩამოვალ...

ანდრეი.

- არ ეწყინებათო.
- ვის ეწყინება, - ხითხითებს და ხითხითებს შიშხინაანთ ბიჭი, გორს კეთილად ეღიმება, ლექსოც იცინის, ნიკაპი უთახთახებს, თვალები ეჭუტება და ეს არის მისი სიცილი.

ეგაც თქვენა, ნილოსის ნიანგებო!

გზის დასაწყისში

— ზამთარი ამასა და ჯანდაბა, რა არი კაცო ესა, საცოდავი ხალხი რა დღეში ჩააგდო, დაიხოცებიან სიცივით, ცოტა ხანი რო მოეთმინა, რა იქნებოდა! შეშას მოიმარაგებდნენ. გახედე, ქალი დავბერდი და ესეთი გიორგობის-თვე არ მახსოვს, თოვლი როგორ არ მოსულა ამ დროსა, მაგრამ მერე უცბად აუღია, უცბად ამხვალა და ისევ მზეს გამოუნათებია, სიმინდი მოსაჭრელი დარჩა, ნიორი დასათები!.. — ასცემრის ცას ქეთო ბაბო გაგულისებული, ფანტელები კი თითქო მის ჯიბრზე, მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ, ან რა გამოლევდა, უსასრულო ციდან ბარაქიანად მოდიოდა სპეტაკი ფივქები. ქეთოს დარჩენილი სიმინდი და დასარგავი ნიორი კი ვის ადარდებდა. უბნის ბავშვების ქრიამულს მიპქონდა ყურთასმენა. იმათვის ყველაზე ბედნიერი დღე გათვენებულიყო. იცინოდნენ, კისკისებდნენ, ფანტელებს ეთამაშებოდნენ. გავცექეროდი და მეც მეღიმებოდა, ხანდახან სახეს შევუშვერდი ცას და ჩემს შუბლ-დაწვებზე ამთავრებდნენ სიცოცხლეს ფიფქები, რომლებიც ძალიან შორიდან მოდიოდნენ, ალბათ, იქიდან, სადაც ადამიანთა სულები ბინადრობენ. ვინ იცის, რა საიდუმლოს ინახავდა თითოეული ფანტელი, იქნებ სულეთის ბინადრების წერილებიც იყო, სააქაოში გამოგზავნილი წერილები, რას გვწერდ-

ნენ გარდაცვლილი ახლობლები, ვინ იცის, ჩვენ ამას ვერ ვკითხულობდით, არადა, როგორ ვაკვირდებოდი, თვალებგაფაციცებული ვაშტერდებოდი, მაგრამ რა გამოვიდა, ფაფუ, უცბად ქრებოდნენ, ისევ მიწიერ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ წყლად ქცეულები. მეც მახსენდებოდა ჩემი ბავშვობა. ყველაზე საუკეთესო წლები, იმ წლებზე უხილავი ძაფით ვართ გამობმულნი მიწიერი არსებანი. ქეთო ბაბო იდგა და ისევ ჯავრობდა. ჯავრობდა, როგორ მოპარა ნაადრევმა ზამთარმა სოფელს გიორგობისთვის მზე და დარჩა ხალხს მოსავალი გარეთ. მაგრამ ბუნება არც ქეთო ბაბოს ჭკუაზე დადის, არც ჩემი და არც...

მერე მე მომადგა.

— ე, დგომა კარგია, შვილო, გატყობ, შენც იმ ბავშვებივით გიხარია თოვლის მოსვლა, აი, აი, აი, — თან თავი გააქნია. ერთი ნაკოდალი შეშა რო არა გვაქ, რა უნდა ვქნაოთ, კაცო, ე, მამაშენი სანამ ქალაქიდან ჩამოვა, ჩვენ ჩვენი დაგვემართება, გავითოშებით და მერე გინდა იყიდე და გინდა არა. ან როგორ იყიდი, მამასისხლად ჰყიდიან, მარჩენალი ძროხა უნდა გაყიდო, რო ერთი მანქანა შეშა მოგივიდეს. გაყიდი, მერე რა უნდა ჭამო გაზაფხულზე. ხაჭაპურს რო მიაძღვები ხოლმე.

— ჰო, კაი, კაი, ნუ ამომადინე შენი ხაჭაპური, ვეტყვი ბიჭებს და რაღაცას მოვიფიქრებ, სიცივით არ მოგპლავ.

- რას, მოიფიქრებ?
- ტყეში წავალ, ბაბო.
- სად ტყეში, შე გამოშტერებულო!
- სად ტყეში და ტყეში, საიდანაც ჩამოგვ-
ქონდა ხოლმე შეშა. თუ თსები დამიჭერენ, ვე-
ტყვი, რო ქეთოს შვილიშვილი ვარ და გამო-
მიშვებენ, - ჩავიქირებილე და უარესად გაგუ-
ლისდა ქეთო. მე კი ის დრო გამასხენდა, როცა
პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან შეა-
ზამთარში მარხილებით ჩამოჰქონდათ შეშა
გასაყიდად. მაშინ პატარა ბიჭი ვიქნებოდი, ასე
ცხრა-ათი წლის, მაგრამ კანთიელად მახსოვდა
მემარხილები: კოლა, ჯუგო; ერთს წითელი
ხარები, პყავდა, მეორეს - თაფლისფერი. ხარები
ქშენა-ქშენით მოიწევდნენ სოფლის შარაზე,
ორთქლის სვეტებს ყრიდნენ ნესტოებიდან, კო-
ლას და ჯუგოს მარხილზე დადებული რცხი-
ლის თუ წითელის შეშა საგულდაგულოდ შე-
ეკრათ. წინ ვეება ნაგაზები მოუძღვნენ ხა-
რებს. უბნის ძაღლები ერთ ამბავს ტეხდნენ
უცხო სტუმრების დანახვაზე, მაგრამ ამოდენა
მეტოქებთან შებმას ერიდებოდნენ, მარტო ლო-
ბებიდან უყავყავებოდნენ. მთის ნაგაზები ერ-
თი-ორს შეედრენდნენ და ამით აგრძნობინებდ-
ნენ, რო ხმაჩაკმენდილები ყოფილიყვნენ. ერთი
სიტყვით, ვინც უშეშოდ იყო დარჩენილი, მიე-
სეოდნენ კოლას და ჯუგოს, შეევაჭრებოდნენ,
მერე მორიგდებოდნენ და ვიდრე ზამთრის მოკ-
ლე დღე შემონაზვნდებოდა, კოლა და ჯუგო

ცარიელი მარხილებით გაუყვებოდნენ ხეობის-კენ მიმავალ გზას. უმეტესობა ზაფხულში იმარაგებდა შეშას. სატვირთო მანქანებით მიღიოდნენ სარაბუკის, თლიიაყანის თუ ზონკრის ტყებში და იქიდან ჩამოჰქონდათ. მეც არაერთხელ კურფილგარ მეზობლის მანქანით, მეგობრები წამიყვანია და ლიახვის ხეობის კორომებში გვიკაფია რცხილა თუ წიფელი, თელა თუ ნეკერჩხალი.

ახლა აღარავინ გასცექრის იმ გზას, ხეობისაკენ მიმავალ გზას. თვალი გადაეჩვია, რახანია იმ გზაზე ძებორციელს არ გაუჭაჭანებია, აღარც მემარხილები გამოჩენილან, არც შეშით დატვირთული მანქანები. არის ის გზა ეგრე მდუმარედ, გზამაც იცის მოწყენა, როცა აღარავის სჭირდება, როცა აღარავინ დააბიჯებს, არის მიგდებული და უცნაური სევდა მოგეძალება მის დანახვაზე.

მეჩეუბება ქეთო ბაბო, არადა, მართალია ჩემთანაც და ზამთართანაც, ის სხვანაირი ქალია. ერთავად ანდაზებით გელაპარაკება, ხალხურ სიბრძნეს გახსენებს. თან მუდამ ამას დააყოლებს ხოლმე, ის ხალხი, ვინც ეს თქვა თუ დაწერა, გიუქბი კი არ იყვნენ, ტვინი და ჭკუა კი არ აკლდათო, შენისთანებისთვის დაწერეს, რო ცხოვრება ისწავლოთო. ერთი სიტყვით, მოგვადგა ეს ტიალი ზამთარი და გვიღრენს. გამხდარი, გალეული ხელის მტევნები მიუშვერია ორიოდე წლის წინ ნაყიდი დუმელისათ-

ვის ქეთოს, ბებერ ძვლებში აჟიჟინებს.

ავდექი და წამოვლალე ბიჭები. პეტას უმც-როსმა ვაჟმა ამოპქოქა ბენზინზე მორახოახე ხერხი, რომელიც ბარე ხუთჯერ ჩაუქრა და ვასო უმალ გინებაზე გადავიდა.

— აეგ არის რა, უარს ეტყვი, ცხვირს ჩამოუშევებენ, ათხოვებ და აპა, დედა აქ ნატირები, ხათრიანი კაცი არ უნდა იბადებოდეს. ჩემ საქმისთვინ ვეღარ გამამიყენებია. მე ამათი, უმისამართოთ შეიგინა, არავინ დაუსახელებია, სანთელი მოხსნა, კარგა ხანს უკირკიტა, ბოლოს გამოჰკრა და ხერხმაც ღრიალი დაიწყო. ყველაზე უფრო ხანდაზმულ ვაშლის ხეს მივაღებით. დაგვცემროდა ტოტებგაშლილი სინაფი წყრომით, რაღა მე ამომარჩიეთ ამოდენა ბაღში, თქვე დმერთგამწყრალებო, თქვენაო, ბოლომდე ვერც დაასრულა საყვედურის გამოთქმა, ზღართანი გაადინა, უზარმაზარი ტოტებით დაენარცხა და ნახევარსაუკუნოვანი წუთისოფელი უმალ დაასრულა... ბიჭები მაშინვე დაესიგნენ წაქცეულ ხეს, ზოგი წალდით, ზოგი ნაჯახით, ადგილი იყო მოჭრილ ხესთან შებმა. სიმწვანე შერჩენოდა თოვლშეეინულ ფოთლებს, ეტყობოდა ხეს, რო არც ზამთრისთვის იყო მზად და არც სიკვდილისთვის. მივიხედე და ქეთო ბაბო ტიროდა.

— რა გატირებს, ბაბო?

სმა არ გამცა, თავშლის კუთხით მოიწმინდა დანაოჭებულ სახეზე დაგორებული ცრემლი.

— რა გატირებს, ადამიანო? — ახლოს მივე-
დი. ჩაცვენილ ცრემლიან თვალებში ჩავხედე
და მივხვდი მისი გულისაჩუქების მიზეზს.
წარმოსახვაში გაჩნდა ნახევარი საუკუნის წი-
ნანდელი ამბავი, ახალგაზრდა ქეთო გვერდით
უდგა თავის მეუღლეს, რომელსაც ორმო ამო-
ეთხარა და ნამყენს რგავდა, რამდენიმე წლის
შემდეგ ნამყენს ნაყოფი უნდა მოესხა, ხოლო
უფრო დიდი ხნის შემდეგ, ვასოს ხერხის წერა
უნდა გამხდარიყო. ასეთი ბედისწერა პქონდა
ვალურ საძირეზე დანამყნებულ ვაშლის ხეს.

* * *

უფრო მოუხშირა თოვამ. თანდათან ბინდი
ჩამოიშალა, მაგრამ თოვლის სითეთრე ჯაბნი-
და დაისღამეს. მოდიოდა და მოდიოდა სულე-
თიდან ფანტელებად გამოგზავნილი წერილები.
მერე ქარიც ამოვარდა. ვაშლის ნაკოდლებით
გაწითლებულ ღუმელს ეფიცხებოდა ქეთო.
თვალები მიელულა, თვლებაში წასულიყო. ქა-
რაშოტმა დაიკივლა სარტყელთან, ისეთი ხმით
დაიკივლა, იტყოდი სუდარაგადაფარებულ დუ-
დამიწას აპატიოსნებსო. გორგობისთვის ქარის
კივილს ძაღლის ყმული მოჰყვა და უცბად გა-
მახსენდა ლომა - ჩემი ბებერი ძაღლი, რომელ-
საც თანდათან ჩამოეცალა ძაღლური წუთი-
სოფლის ხვიმირა. ძლივსდა დაბარბაცებდა,
ხეირიანად დაყეფების თავიც აღარ პქონდა,
მაგრამ მაინც ისე მიყვარდა, როგორც მაშინ,

როცა სულ ერთ ციცქნა ლეკვს უბეში ჩავის-
ვამდი და ისე დავატარებდი. მახსოვს, ცხონე-
ბული ბიძაჩემის მოყვანილმა ბუგნა ძაღლმა
როგორ დაყარა ლეკვები, ზოგი ვინ წაიყვანა,
ზოგი ვინ, ძაღლს არავინ არაფერს ეკითხებო-
და. წემუტუნ-წკავწკავით გამოხატავდა შეიღ-
ბის წართმევით გამოწვეულ უბედურებას. ლო-
მა მე დავიტოვე და ისე გავზარდე, ცივი ნიავი
არ მიმიკარებია. ბევრი რამ ნახა ლომამ, ავიც
და კარგიც, ომსაც მოესწრო და ბოლოს და-
ბერდა, ისევე როგორც ყველა სულიერი არსება.

— სად არის ძაღლი? — უცბად წამოვიძახე
და ქეთომ ძილგამფრთხალი თვალებით შემომ-
ხედა.

— რა მოგივიდა?
— არა, არაფერი, ძაღლი გამახსენდა. ამ
ქარბუქსა და ქვისტეხვაში, სად უნდა შეეფა-
როს. ბუნაგიც არ გამიკეთებია.

— ოი, ჯანდაბა მაგის თავს, ბოსლის წინ
მყუდროა, მაგრამ ფეხს არ აკარებს, ეგეთი
ჯიუტი ძაღლი არ მინახია, რაც ჩვენ ძაღლები
გვყოლია, მაგრამ ესეთი...

კარი გავაღე და სახეში შემომაყარა ნამქერ-
მა. ბინდი უფრო გაძლიერებულიყო. ასეთ
ამინდზე იტყვიან, ძაღლი არ გაიგდებაო. თოვ-
ლის კორიანტელი ტრიალებდა.

— ლომა, ლომა! — რამდენჯერმე გავძახე.
საიდანდაც მოლასლასდა, ერთიანად თოვლში
ამოგანგლული. ამომხედა მისთვის ჩვეული

მზერით, კუდი ააქიცინა, შეციება არც შეიტყო. მაგიდის ქვეშ ძველი ტომრები გავუფინე, ხის ყუთები მივახუხელავე და სახელდახელო ბუნაგი ავუწყე.

ამ დროს ქეთოც გამოვიდა.

— რას ეწვალები, ბაბო გენაცვალოს!

ქეთოს ყურადღება არ მივაქციე.

— ტყუილა აკეთებ, შვილო, მაინც არ შევა.

— რატო არ შევა?

— აი, ნახავ თუ შევა.

ტომრები საგულდაგულოდ შემოვაკარი ყუთებს. მერე ძაღლს ხელი მოვკიდე და ვცალე შიგნით შემეუვანა. ხმელი პურიც დავუგდე, მაგრამ ფეხი არ შეაკარა.

— ხო, გითხარი, ეგ ისეთი სამგლე რამეა, — თქვა ქეთომ.

— ლომა, ლომა! — მოვეფერე, მაგრამ ძაღლმა საბოლოოდ უარი თქვა ბუნაგზე და ისევ იქით წალასლასდა, საიდანაც წელან მოვიდა, სიბნელეში, ქარბუქში, სადაც ძაღლი არ გაიგდებოდა. მე კი ვიდექი და გავცეროდი მუხლამდე თოვლში ჩემი ბებერი მეგობრისგან გაკალულ ბილიქს, რომელიც ბაღისკენ მიდიოდა. ბაღისკენ, სადაც რამდენიმე საათის წინ ვევბა ვაშლის ხე მოვჭერით მე და ჩემმა თანაუბნელებმა, პაპაჩემის მიერ დარგული ხე. ნეტა საით წავიდა ან რატომ წავიდა, - ვბუტბუტებდი ჩემთვის.

ერეპლეს სახსოვარი

ჯალალ-ედინმა ხელი წამომართვა და გამოღიმა. ოქტომბერის კბილები უელავდა და ნაცრისფერ თვალებში ბარე ათასი ეშმაკი დაუხტოდა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ჩემ წინ იდგა საუკუნეების წინ ქურთების მიერ მოკლული და ახლა მკვდრეთით აღმდგარი საქართველოს მოსისხლე მტერი და მას ვართმევდი ხელს. ძარღვებში თითქო სისხლი გაიყინა და უსულებულო არსებად გადავიქმეცი. ერთად დამეუფლა ზიზღი და შიში. მინდოდა წიხლის ქვეშ გამეგდო ეს შავგუხა ხუჭუჭომიანი კაცი და მეცემა მანამდე, სანამ სულს არ ამოვხდიდი.

ჯალალ-ედინი. ტანი დამესუსხა. სხეულზე დაჭინჭრულივით დამაყარა ბუსუსებმა. ცოტაც, სულ ცოტაც და... მაგრამ თავი მოვთოკე, უმალ გავიხსენე, რო იდგა არა მეცამეტე საუკუნე, როცა ხვარაზმშაპის პირსისხლიანი ძე მოგვადგა და მიგვიღეწე-მოგვიღეწე-მოგვიღეწე კარ-ბანი, არამედ ოცდამეერთე საუკუნე, ოცდამეერთე...

საზიზღარი სახელია ჯალალ-ედინი, რადა მაინცდამაინც ჯალალ-ედინი ერქვა ჩემს სტუმარს, რომელიც ჩემმა სოფლელმა კიაზომ მოიყვანა ჩვენთან. იღიმებოდა.

— აი ეს არის ის კაცი, — თქვა კიაზომ და ჯალალ-ედინს მხარზე დაადო ხელი. ის ჯალალ-ედინი კი არ გეგონოს კაცო, თუმცა მე

რადა მომივიდა, კეხიანი წითელი ცხვირი მოისრისა ჩემმა მეზობელმა, – იმ თქვენს ფიალაზე რო ვუთხარი, გულმა ვედარ მოუთმინა და წამომყვა. აჩვენე, პაპაშენსაც დაელაპარაკე და... ეს ისეთი კაცია... წუწურაქი ვაჭარი არ გეგონოს ვინმე, თუ მოეწონა, კაი თანხას მოცემს. მერე იმ ჩემს უცხო სტუმარს თავის ენაზე გადაულაპარაკა, ისე კი არა, უცხოეთში ახლად ენაგატეხილები რო წაიჯლიყინებენ ხოლმე, არა, კიაზო გასხვილი ლაპარაკობდა ჩემთვის უცხო ენაზე, გაკვირვებისაგან პირი დავაღე.

ვაჭარ კიაზოს „გაქექილს“ ეძახდნენ ჩემი სოფლელები. მიტრაანთ უბანში მამისული სახლი ედგა, სადაც მისი დაკუტებული დედა ცხოვრობდა. ვენახი გაეყიდა და აქეთ-იქით დაწანწალებდა, ხან რა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ხან რას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, საზღვრები რო გაიხსნა, კიაზო პირველი გაიჭრა გარეთ. სიძველეთა მოყვარული ჯალალ-ედინი ორიოდე თვის წინ გაეცნო, რომელმაც ჩვენს სოფელში თუ კი რამ ძველი ნივთი მოიპოვებოდა, ყველაფერი იყიდა.

კიაზო ეშმაკურად მიღიმოდა.

- ფული ხო გინდა, ელიზბარის ბიჭო, ჰა!
- ფული როგორ არ მინდა.
- პოდა, აჩვენე მერე ამ კაცს ის შენი ვერცხლის თასი და თუ მოეწონა...

— ეხლა ვერ ვაჩვენებ, ეხლა პაპაჩემია სახლში და რო გაიგოს? — ვთქვი და თვალი მოვატარე ეხოს, მართალია, პაპაჩემი ეხოში არ ჩანდა, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, რო იქ იყო სადღაც და ზალიკოს ხასიათი რო ვიცოდი, კიაზოს თავის სტუმრიანად გააპანდურებდა.

— მაშ როდის აჩვენებ? — მკითხა კიაზომ.
— საღამოთი ზალიკო ვენახში აპირებს წავლას და მაშინ შემიძლია.

— უტვინო კაცია პაპაშენი, — თქვა კიაზომ და ჯალალ-ედინს თავის ენაზე რაღაც გადაულაპარაკა. სტუმარს სახე შეეცვალა, წელანდელი მიამიტური ლიმილი გაუქრა, მოიღუშა.

— „ამ სასმისითა ცაში დმერთს გაუმარჯოს, მთაში და ბარში ჩვენს სალოცავებსა, მიწის ზევით ჩვენ გვადღეგრძელოს უფალმა და მიწის ქვეშ კიდევ ჩვენი წინაპრები გაგვინათლოს, ჩვენი სულმზიანი წინაპრები...“ ეს სადღეგრძელო უყვარდა განსაკუთრებით პაპაჩემ ზალიკოს, ვერცხლის ძველთაძველ თასს რო თავანკარა ლომიაურით გააპილთუმებდა, ისე დაილოცებოდა, მთელ გულ-მუცელს ამოაყოლებდა ხოლმე. მერე გამოცლილ ვერცხლის თასს ეამბორებოდა და სხვას გადააწოდებდა. ხმარებისაგან გვერდები გადასცვეთოდა ვერცხლის ჯამს, მაგრამ გამოსახულებები მაინც ეტყობოდა, ერთ მხარეს წმინდა გიორგი იყო ამოტვიფრული, მეორე მხარეს - ბაგრატოვანთა გერბი.

საიდან სადაო, იკითხავთ, სად პაპაჩემი ზალიკო კვირიკაშვილი და სად კიდე ბაგრატიონები... ყველა სტუმარს უყვებოდა ზალიკო ამ თასის ისტორიას, როგორ მოხვდა ჩვენს ჭერქვეშო ერეკლე მეფის ნაქონი ფიალა.

პაპაჩემის პაპის პაპისთვის უჩუქებია პატარა კახს. ლეკებთან ბრძოლაში თავი უსახელებია ქიტესა კვირიკაშვილს, გაოცებულა ერეკლე მეფე მისი გულოვნებით, თვალებანთებული შესცემოდა, როგორ სხვადა ქიტესა კვირიკაშვილი მომხდურს. მეფის სიახლოვეს ერთი ლეგიც არ მიუშვა თურმე, შები რო შემოემზრა, ხმლით დარწევია გადამთიელებს და ბარეოცი ურჯულოსათვის მოუკვეთია თავი. ვინ არის ეს კაციო, უკითხავს მხლებლებისთვის ერეკლეს.

ქიტესა კვირიკაშვილიო, — უთქვამო და გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ნადიმზე დაუპატიჟია ჩემი წინაპარი პატარა კახს.

ბრძოლაში ხომ თავი უსახელებია და ბრძოლით დაღლილს იმდენი დვინო უსვამს, გაოცებულა ქართლ-კახეთის გვირგვინოსანი. ახლოს მისულა ქიტესასთან, მხარზე ხელი მოუთათუნებია. ღმერთმა მიმრავლოს სამეფოში შენისთანა ქართველებიო და თავისი გერცხლის თასი და ერთი ქისა ოქრო უჩუქებია.

გაჭირვებული კაცი ყოფილა ქიტესა და იმ ოქროთი მოუდგამს სული, ხარ-კამეჩი და სამი დღიური მიწა უყიდია. ქიტესამ თავის შვილს

გადასცა ერეკლესეული თასი, ქიტესას შვილს თანდილა რქმევია, თანდილას თავისი ვაჟისთვის – ტიტესთვის გადაუცია და ეგრე მიაღწია ზალიკომდე. ახლა ზალიკოს როგორ უყვარდა დიდი პაპის სახსოვარი. უიმისოდ დვინოს არ დალევდა. აი წედან რო კოქვი, იმ სადლევრ-ძელოს ამბობდა ქიტესა პვირიკაშვილისეული ვერცხლის თასით. მე ვიყავი ათიოდე წლის ბავშვი და არც კი ვიცოდი ფასი იმ სიძველისა, ჩვენს ჭერქვეშ რო ინახებოდა. ამიტომ შემეძლო, უყოფმანოდ, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გამომეტანა და მიმეყიდა კიაზოს მოყვანილი სტუმრისათვის, ერეკლეს ნაქონი ნივთი უკგალოდ ჩაიყლაპებოდა. მერე პაპაჩემი? წარმომედგინა ზალიკოს გაფითრებული სახე. რო გაიგებდა, რა მოხდა, მისმა ნანინანატრმა შვილიშვილმა როგორ მოპარა ერეკლე მეფის ნაქონი ვერცხლის ფიალა და ვიდაც უცხო კაცს მიჰყიდა. რას იზამდა ზალიკო? არ ვიცი, არ ვიცი. შეიძლება მოვეკალი. არა, შვილიშვილს როგორ გაიმეტებდა. თუმცა, რო წარმომედგინა ზალიკოს თვალები, ნაღვერდლიანი მზერა, სიკვდილზე უარესი იყო.

იმ დამეს ოფლში ვიწურებოდი. ვნახე საშინელი სიზმარი - კიაზო ფულს მაჩეჩებდა ხელში, ოდონდ მე...

პაპაჩემი უნდა მომეკლა.

ზალიკო თავის მამაპაპურ ტახტზე გულადმა იწვა და ხვრინავდა. ვენახში დაღლილი ბე-

რიკაცი თავის ბებრულ სიზმრებში დაფრინავდა. მე ვიდექი და ვგრძნობდი. აქეთ-იქით მითრევდა ორი უჩინარი არსება. ერთი იყო უხსენებელი, მეორე ჩემი მფარველი ანგელოზი. ავიღე ნაჯახი და შევედი პაპაჩემის ოთახში. მოვათვალმზერე იქაურობა. ბაბუაჩემის სურათი მომხვდა თვალში, მემუდარებოდა სალომე ბაბო, არ ჩაიდინო ეგ ცოდვა, სული არ წაიწყმიდოო. მე მაინც ჯიუტი ნაბიჯებით მივუახლოვდი მძინარე ზალიკოს. თავთით ედო ვერცხლის ფიალა, რომელიც მაცდურად მიმზერდა და ვერცხლის ფიალაზე წმინდა გიორგის გამოსახულების ნაცვლად ჯალალ-ედინი ეხატა. უშფოთველად ეძინა პაპაჩემს. ჯალათივით დავადექი, დასარტყამი ალაგი ამოვიდე მიზანში და დავუქნიე ნაჯახი...

ოფლში გახვითქულს გამომეღვიძა.

გული გადმოვარდნას მქონდა.

სარკმლიდან გავხედე ეზოს. პაპაჩემს საარა-ეგ ქვაბი შემოედგა ზედადგარზე, ხმელი ნაკოდლებით ცეცხლს აძლიერებდა. გამეხარდა, ზალიკო რო ცოცხალი დავინახე და რო საშინელი ცოდვა არ მეღო კისერზე.

უშმური განცდა ამყვა და მთელი დღე ნაგვემივით ვიყავი.

ცაში ღმერთს გაუმარჯოსო, მთაში და ბარში ჩვენს სალოცავებსო... ვედარასოდეს დაილოცებდა ზალიკო, თუ იმ ფიალას კიაზოს სტუმარს მივყიდდი. ჩვენი სახლის ეზოდან მთა

მოჩანდა, კორტოხმოლოპრილი მთა, რომლის წვერზე წმინდა გიორგის ძველისძველი სალოცავი იდგა, პირჯვარი გადაგიწერება, სული გამითბა.

— ელიზბარის ბიჭო, მოდი აქეთ, — ხელი დამიქნია კიაზომ.

ჩვენი მარნის გვერდით, ბებერი თელის ძირში ლანდივით გამომეცხადა.

მივედი და ხელით მანიშნა, ჩაიცუცქეო.

— ეხლა ცდის დრო აღარ არი, ეს კაცი წასვლას აპირებს, მაგ ჯამის გულისთვინ მთელი თვე ხო არ დარჩება, თუ ფული გინდა, დროზე პქენი ეგ საქმე, პაპაშენის წასვლა-წამოსვლას გედარ დაველოდებით, აპა ფული, წინდაწინ მოგცემ თუ გინდა. გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

ავდექი. ფული წინდაში ჩავიდე და სახლში შევიძურწე. თითქმი მიწა მენგრეოდა ფეხქვეშ, იტყოდი, წინდაში ფულის ნაცვლად გადვივებული ნაღვერდალი მეოდ. კოჭი მეწვოდა.

შევიზუზე პაპაჩემის ოთახში. უმალ ბაბუა-ჩემის სურათი ამებდანდა და როგორც სიზ-მარში, აქაც ისეთივე ხვეწნა-მუდარით სავსე მზერით შემომხედა. — რას აკეთებ, ბაბო გენაცვალოს, პაპაშენს ცოცხლად მარხავ? მიგუახლოვდი ვერცხლის თასს, ხელები ამიცახცახდა, მუხლებში ძალა წამერთვა. ხელი შევახე ერეკლეს ნაქონ სასმისს.

— აქ რას აკეთებ, შვილო? — ზალიკოს ხმა

მომესმა და თითქო მდუდარე წყალი გადმო-
მასხა ვინძებ.

— არაფერს, პაპავ, ისე შემოვედი-მეთქი.

მოვიდა. ნაცრიანი ჰქონდა ხელები, დაიხარა
და შუბლზე მაკოცა... ეს თასი, შვილო, ჩვენი
გვარის კუთვნილებაა, დრო მოვა და შენი
შვილიშვილებიც ამით დაილოცებიან, წადი
ეხლა და გაუტა ეგ ფული, წადი...

რა ეწერა ერთაოზის წერილში?

ალაგაზებულ, აქა-იქ ქვანარევ მიწას ისე გულიანად თხრიდნენ, რო მუშაობა მოგწყურდებოდა. თენგიზას ბარი ეპყრა, კაკოს ნიჩაბი და შეუქაქანებლად ყრიდნენ სველ მიწას. ტალახობდა. მთელი კვირა იწვიმა და იავდარა. სველი დღეები უსაშველოდ გაგრძელდა, გავიდა ზამთარი, ჭირვეული მირკანიც დაადგა მოუსავლეთის გზასავალს, მერე აპრილმაც გამოანათა ზურმუხტისფერი თვალებით და ნახრანისფერი სამოსით შემოსა ტყემალი თუ ჭერამი, გარგალი თუ ვენახის ატამი, მიწის სურნელით გაბრუვდა ნაზამთრალი ზეცისქვეშეთი, მაგრამ... ახლა ნახესხებიო.

ორი დღის წინ კი გამოიკარა და ღრუბელგაცენილ ცაზე ღურდურა მზე დაეკიდა, მიწა მაინც სველი იყო, წვიმას კარგა ღრმად ჩაეტანა და ორი დღის სითბომ ვერ უშველა. თენგიზა ბელტებს იღებდა, ჯარიდან ჩამოყოლილი ჩექმები ეცვა და სატერფულს გამეტებით ურტყამდა. თენგიზას სიძე – კაკო შედარებით დინჯად მუშაობდა, ორმოში დაგროვილ მიწას პირწაცვეთილი ნიჩბით მაღლა ყრიდა და თხრილის გეერდით აგროვებდა. თენგიზა დროდადრო ადგილს შეითვალმზერებდა, „ეს ადგილია, წესით აქ უნდა იყვნეს ჩამარხული, როგორც დაწერა, ზუსტად ისე ვთხრი, აპა, ვირგლა მსხალიც აქვეა, ორი მეტრის მოშორებით,

ზღმარტლიც გვერდითა დგასო, არა, არა, არ უნდა მეშლებოდეს, როგორც მიმანიშნა მამა-ჩემა, ეს ადგილია, აქ არის ჩამარხულიო. – ფიქრობდა ერთაოზის ერთადერთი ბიჭი.

სელთუპყარი იყო თენგიზა, მამამისს არაფ-რით ჰგავდა. ერთაოზს რა არ ეხერხებოდა, ლესვა გინძოდა, შენება, დურგლობა, ბალ-ვენა-ხის საქმეებს ხომ ნუდარ იტყვი, ისე ჰქონდა დამასმასებული ნაკვეთები, ცქერით ვერ გაძ-ლებოდი. თენგიზას კიდევ მამამისისა არაფერი ეცხო, დედის ჯიშზე წავიდაო, იტყვოდა ხოლმე შვილის მოუქნელობით ხასიათწამხდარი კაცი და თვალწინ დაუდგებოდა ზარმაცი ცოლის ძმა. ომიანობის დროს, ხალხი რო ლობიოს ძენმში მარცვლებს დაეძებდა და სათითაოდ აგროვებდა, კოლმეურნეობის ბრიგადირი, ელ-იზბარაანთ კარლო გახუმრებია ტატეს, ფერ-მიდან სკოლამდე გაიქცი და ერთ ტომარა სი-მინდს მოგცემო, ერთაოზის ცოლის ძმას კუჭი შიმშილით უხმებოდა, მაგრამ ადგილიდან მა-ინც არ მოუცვლია ფეხი, თქვენაო, დაეჩვევით და მერე კიდე გამაქცევთ, არ მინდა ეგეთი მო-ცემული სიმინდიო.

მწარედ ეცინებოდა ერთაოზს, შიმშილით მისაგათებული ოჯახის გადასარჩენად გაქცევა კი არა, ფეხით დაკიდულს გავძლებდი და ის კიდევა... ჰოდა, თენგიზასაც იმათ ამგვანებდა, იმათ ჯიშზე წავიდაო. დედის წიაღიდან გამოპ-ყვა ეს მოუქნელობა, თორე ჩემი შვილი ეგეთი

არ უნდა გამოსულიყოთ. გაიზრდება, დავაუკაცება და საქმესაც გულს დაუნდობსო, – ცოლმა დაამშვიდა.

მოთმინებით ელოდა შვილის გაზრდას და დავაუკაცებას, მოთმინების ძაფმა დიდხანს გაძლო. გაიზარდა, დავაუკაცდა, მთასავით კაცი გახდა, ჯმუხი, მხარ-ბეჭიანი, მოზევერს კისერზე დაისვამდა, მაგრამ რა გამოვიდა, საქმე არ ეხერხებოდა.

მერე ერთხელაც გამოუცხადა მშობლებს, რო ცოლის მოყვანა უნდოდა. იმედის ნაპერწკალი წამოუღვივდა სულში ერთაოზს, იქნება ცოლმა მოახედოს, იქნებ ოჯახმა და წვრილ-შვილმა გამოაფხიზლოს და შეაყვაროს საქმეო. ცოლიც ერთი უჯიათი ვინმე გამოადგა, მოსვლის დღიდან ქალაქში ცხოვრება აიხირა. საიდან შეახტა ეშმაკი, ჯერ სულ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო, თენგიზაზე იყო ნათქვამი. აჟყვა ცოლის ტლიკინს და ერთავად იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეყიდა კარ-მიდამო და ქალაქისაკენ გაექუსდა. ტალახიანი ორდობის ცქერა ეგლში პქრინდა ამოსული. ეგონა, რა წამს ქალაქში ჩავიდოდა, ფუფუნებაში დაიწყებდა ცხოვრებას და მდიდარი კაცი გახდებოდა. „ვაი თქვენ პატრონსაო!“ – სიმწრისაგან კბილებს აკრაჭუნებდა ერთაოზი და ცოლს აგინებდა, – სულ შენი ბრალია, შენ მიაჩვიე მუქთახორობას, შენი პატრონი დედა ვატირეო! მარუსა ხმას არ იღებდა. ხვდებოდა, რო დღეს

თუ ხვალ მათ სახლ-კარს გაყიდვა მოუწევდა,
ხვდებოდა და ბოდმით უსივდებოდა გული.

იმ გაზაფხულზე მეორედ დაარტყა ერთა-
ოზს წევამ.

ადრე ხო ცალი მხარე ჰქონდა გაშეშებული,
ახლა ენაც წაერთვა, საცოდავად ლულლდებ-
და. მეზობელი სოფლიდან მოუყვანეს ექიმი,
რომელმაც წამლები კი გამოუწერა, მაგრამ შე-
ატყო, რო ავადმყოფს სააქაო პირი არ უჩანდა.

ერთაოზმაც იგრძნო სიკვდილის მოახლოე-
ბა, ხვდებოდა, რო მიქელ-გაბრიელი ახლოს
იდგა მის სახლთან, ცრემლი ჩამოუგორდა
თვალებიდან, გაახსენდა ქელების დამკვრელე-
ბის სიმღერა, ქალაქელი მეღუდუკის ბოხი ხმა,
„ის მშობელი არა კვდება, ვისაც კარგი შვილი
რჩება“, ზიზღით გახედა რძალს, რომელიც
მომაკვდავის ოთახში, სარკმელთან იდგა და
ეზოს გადაჰყურებდა.

ძალა მოიკრიბა, უღონო, ნაჯაფარი მკლავე-
ბით სცადა წამოწევა, მაგრამ ხელები არ დაე-
მორჩილა. მარჯსას ანიშნა, კალამი და ფურცე-
ლი მომიტანეო. მარჯვენა ხელში ვაივაგლახით
დაიჭირა საწერ-კალამი, თვალები ელამივით გა-
აცეცა, თითქო სულთამბუთავის ჩუმად უნდა
დაეწერა რამე და ეშინოდა, იმ არასახსენებელ-
მა, ემანდ არსაიდან შემამჩნიოს. ვაი, იმ და-
წერას, ბატისფეხურით ჩამოუყვა, მთავარი იყო
რო გაერკვიათ, ანკი როგორ შექლო, როგორ
დაემორჩილა თითები, მაგრამ გაჭირვებამ... მა-

მის წერილმა გული აუნთო თენგიზას, თვალები შუბლზე აუგიდა, ერთაოზის ნაწერს ჩასცექროდა და თავი სიზმარში ეგონა, მერე მამის ოთახში აღარც შეუხედავს, ბიძაშვილის ქმარი – კაკო გაიყოლა, ბარ-ნიჩაბი აიღო და ბაღისაპერ მიმავალ ბილიკს დაადგა.

– ამას რა მომაფიქრებდა, ფული ჰქონია შენახული, კაცო, აი თურმე სად აგროვებდა, რამდენი გაჭირვება გამოვიარე და ამას კიდე, ამ... ზღმარტლისა და ვირგლა მსხლის გვერდით რო ჩალის კლერტოების ნამწვავები ეყარა, იქ შედგა თენგიზა. წერილს კიდევ ერთხელ ჩახედა და თხრა დაიწყო. თხრიდა გულიანად, ყამირ ბელტებს ლონივრად ისროდა. კაკო ორმოში ჩაყრილ მიწას ასუფთავებდა.

„რა ღმერთი გაუწყრება კაცო, ცოტა რაღაცას ხო მაინც შემახვედრებს, ჰა!“ – ფიქრობდა კაკო და თვალწინ ფულით სავსე ქილა უტრიალებდა, ოცდახუთმანეთიანები, ხუთუმნიანები, ასიანები... ბელადის თავები, იასამნისფერი, მომწვანო, მოყავისფრო-მოყვითალო. თენგიზა კი იმას ნატრობდა, ნეტა კაკო რო წავიდოდა სალამოთი, მერე დამეწყო გათხრა, ეხლა ამასაც ხო რაღაც უნდა ვარგუნო, სულსწრაფი კაცი ვარო...“

ვიდრე თხრას მორჩებოდნენ, ერთაოზის მეზობელმა – ვანიჩკამ გამოიარა თენგიზას ბაღთან და მთხრელებთან მცირე ხანს შეჩერდა.

– რას აკეთებთ, კაცო?! განდი ხო არაფერი იპოვეთ ჰა?! – დამცინავად ჰკითხა ცნობისმოყ-

ვარე მეზობელმა.

— წყლის მიღს ვეძებთ, — იცრუა თენგიზამ
და სველი მიწის ამოყრა გააგრძელა.

თენგიზას ცოლი — თამრო ქანდაკებასავით
იდგა და ორმოს ჩასცექეროდა.

აქამდე როგორ სიტყვა არ დასცდა! — ბრა-
ზი მოსდიოდა მამამთილზე. უკვე წარმოედგინა
თამროს, როგორ სახლს იყიდდა ქალაქში,
მერე როგორ მოაწყობდა.

ბარი რადაცას წამოედო და ღრჭიალის ხმა
გამოიდო, თვალები სამივემ ერთდროულად და-
აჭყიტა.

— აი, გამოჩნდა! — წამოიძახა თენგიზამ და
ანთებული თვალებით ცოლს შეხედა, მერე ბა-
რი გვერდით გაისროლა და ორმოში ჩახტა,
ტალახიან მიწას ხელით დაუწყო ამოყრა... და...
ქილის ნაცვლად ცელოფანის პარკში შეხვეუ-
ლი გრძელი საგანი აღმოაჩინა. მიწისაგან და-
ნოტივებული პარკი მოუთმენლად გახსნა და
პო, საკვირველებავ, ფულით სავსე ქილის ნა-
ცვლად, კამეჩის ვეჟბა, დაუმუშავებელი რქა
შერჩა ხელში. დიდხანს ატრიალა, დაბნეულო-
ბისაგან ნერწყვი გაუშრა, იქნებ ადგილი შემე-
შალაო, გაიფიქრა თენგიზამ, ის იყო რქის გა-
დაგდება დაპირა, რო მასში ოთხად დაბაცი-
ლი წერილი იპოვა. კამეჩის რქა გვერდით მი-
აგდო და ფურცელი მოუთმენლად გაშალა...

საინტერესოა, რა ეწერა ერთაოზის წერილ-
ში.

მოგონება ჩვენი უბნის ბინადარზე

რამ გამახსენა ის ძაღლი, არ ვიცი, მას შემდეგ ბარე თხუთმეტი წელი გავიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, ჩვენი უბნის საამაყო ძაღლიც დავიწყების ზღვაში ჩაიძირა, ისევე როგორც ბევრი მაშინდელი ამბავი. ადამიანები ერთომეორეს ივიწყებენ და რა გასაკვირია, რო ძაღლი ადარ გახსოვდეს. მურა ერქვა იმ საოცარ ძაღლს, რომელიც ჩვენს უბანში ბინადრობდა, ბუნავი იმას არ ჰქონდა და არაფერი, ხან ჩვენს ეზოში რო თივის ზვინი იდგა, იქ ათევდა დამეს, ხან ჯანანთ ელიზბარის კიბის ქვეშ ემინა, ხან კოტეანთ საბძელში უცდიდა რიურაჟს. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რო ეს ძაღლი ადამიანივით აზროვნებდა. ბებიაჩემისაგან გამიგონია, ადამიანი რო კვდება, მისი სული რომელიმე ცხოველში ან ფრინველში იწყებს ბინადრობას. არ ვიცი, ამას ვერავინ გაიგებს, სხეულიდან ამოსვლის შემდეგ ადამიანის სული სად განაგრძობს არსებობას. იქნებ მართალიც იყო პელა ბაბო. ყოველ შემთხვევაში, მურას ქცევებს რო ვაკვირდებოდი, ხანდახან შემიპყრობდა უცნაური აზრი, ვინ უწყის, იქნებ რომელიმე ახლობელი შემომცეკეროდა ერთგული ძაღლის თვინიერი, ჰკვიანი და თან სევდით სავსე თვალებით. რამდენჯერ დაიკარგა მურა, თვალსა და ხელს შეა გაქრა, თითქო ცამ ჩაყლაპა, მთელი უბანი

მურას ხევნებაში იყო, გვეგონა, რო მაწანწალა ძაღლებმა დაგლიჯეს და საღმე უპატრონოდ მოკვდა სხეულდაფლეთილი, ანდა წამალი შეაჭამა ვინმებ და საღმე სოფლის გარეთ გადაბარგდა ძაღლურ საიქიოში, მაგრამ დილით რო გავიგონებდით მურას ყეფას, ყველას თვალებში ღიმილი გაკრთებოდა.

— აქ არის!

— აქა ყოფილა.

— რა მაიმუნი ძაღლია, ეს სამგლე ესა!

მოვიდოდა და ხან კოტეს გაუგორდებოდა ფეხებში, ხან ელიზბარს მიელაქუცებოდა, ხან მე დამიწყებდა ფეხების ლოკვას, ერთი სიტყვით, გვაგრძნობინებდა, რო ყველა ვუყვარდით. მერე იდგა და რიგრიგობით ყარაულობდა ჩვენი უბნელების ეზოებს და ისინიც არ იშურებდნენ ძაღლურ ლუკმას. შებინდებისას, ვახშმობას რო მოვრჩებოდი და ბუხართან მიმჯდარი, წერას შევუდგებოდი, კარზე ფხაჭუნს გავიგონებდი.

— ის არის, — იტყოდა დედაჩემი, შევიდოდა სამზარეულოში და გამოუტანდა ძვლებსა და პურის ნარჩენებს, გაუდებდა კარს და კეთილი თვალებით შემოიჭყიტებოდა ოთახში ძაღლი, ისეთი თვალებით, რო ადამიანებისთვის სანატრელი იყო ასეთი კეთილი გამოხედვა. მშიერი რო მომკვდარიყო და მაგიდაზე ხორაგი დაგელაგებინა ცხვირწინ, პირს არ დააკარებდა.

დია ოთახში ხორცის ნაჭრები რო დაგევარა, ჩარჩოს აქეთ ფეხს არ გადოდგამდა.

— საოცარი ძაღლია, — იტყოდა დედა, — ძაღლები ისე არიან გაწუწაქებულები, რო კვერცხს არ აჩერებენ საქათმეში, ეს ძაღლი კიდე... — უშურველად დაუკრიდა ნაგაზს საჭმლის ნარჩენებს. მურა მაღლიერებით სავსე თვალებით შეხედავდა დედაჩემს, თითქო მზერით ეუბნებოდა: „ღმერთმა გიშველოს, კეთილო ქალოო“ და მერე თვალის დახამხამებაში მოასუფთავებდა ულუფას.

თხუთმეტიოდე წლისა ვიყავი, როცა მურა გამოჩნდა ჩვენს უბანში, ლიახვის ხეობიდან ხარებით შეშაფიჩხი ჩამოიტანეს ხეობელმა ბერიკაცებმა გასაყიდად და მაშინ დავინახე ჩალისფერი ნაგაზი, რომელიც ძუნძულით მოსდევდა ურემს, ეფხორცებოდნენ ჩვენი უბნელების ძაღლები, უცხო ძაღლის დანახვაზე გაღიზიანებულები, მაგრამ მურა არად აგდებდა, ხან ერთს შეუყეფდა, ხან მეორეს. ბოლოს შაქროს ძაღლთან მაინც არ ასცდა ჩხუბი, ყურებდაჭრილი ქოფაკი სწვდა ლიახველ ნაგაზს, მაგრამ მურა არ დაბნეულა. ათიოდე წუთს იჩხუბეს, ხან შაქროს ქოფაკი იყო ზევიდან, ხან მურა, ბოლოს მურას პატრონი მივიდა მოჩხუბარ ძაღლებთან, მურას ჯოხი გადაარტყა და ძაღლები ისე გააშველა, შაქროს ქოფაკს დრუნხი ჰქონდა გაგლეჯილი, ნაგაზს კი უური დასისხლიანებოდა, ხარუმიანი ბერიკაცები-

საგან კოტემ იყიდა ფიჩხი, შეიყვანა, პური შეაჭამა, თითო ჭიქით დაალოცა, გამოვიდნენ, აუშვეს ჭიშკრის გვერდით ღობეზე გამობმული ხარები და ფაფუ ძაღლი, ხან უსტვინეს, ხან უყვირეს, მაგრამ მურა არსად ჩანდა. კოტეს შვილიშვილმა ზურიკომ მთელი უბანი მოიარა, თუმცა ვერაფერი გააწყო, ძაღლი მაინც ვერ მოძებნა. გამოუყვნენ ხეობის გზას მეურმები, მურა სადამოხანზე გამოჩნდა, კოტეს სახლთან აიტუზა, იქ სადაც ხარები და პატრონი ეგულვოდა, მაგრამ არც პატრონი დახვდა და არც ურემი, მიწაზე მარტო ჩალის ნარჩენები ეყარა.

- რა ვუყოთ, პაპა? – ჰკითხა ზურიკომ.
- რა უნდა ვუყოთ, გასწევს და წაგა, ძაღლს გზა როგორ დაეკარგება, ძაღლი ისეთია, თვალები რო აუკრა, მაინც მიაგნებს.

თუმცა, რა მოუკიდა თაგში აზრად ხეობელების ნაგაზს, არ ვიცი, მოეწონა ჩვენი უბანი და დარჩა და დარჩა. ყველაზე მეტად ზურიკოს უხაროდა. ერთი ხანობა საყელო შეაბა, რამანა პაპას ნაჩუქარი საყელო, მაგრამ იმ დამეს ყმუილ-ყმუილში გაათენა მურამ. თავისუფლებას იყო მიჩვეული ძაღლი და ერჩია მშიერს ეწანწალა, ვიდრე კოტეს ეზოში ხუთკილოიანი ჯაჭვი ეთრია. აუშვა ზურიკომ და მურა უბნის ძაღლი გახდა.

- კიდე ჩამოვლენ ფიჩხის გასაყიდათა და გაყვებაო, – ამბობდა კოტე, თუმცა რამდენი

წელი გავიდა და ის ბერიკაცები ჩვენს სოფელში აღარ გამოჩენილან.

გადიოდა დრო და მურამ ყველას შეაყვარა თავი. ელიზბარის საქაომექს შეჩვეულ კვერნას ვერც ერთმა ხაფანგმა მოუღო ბოლო მურას გარდა, ჩაუსაფრდა და დედლების წასაყვანად მოსულ მღრღნელს სული გააფრთხობინა. კოტეს სარდაფში ვირთხებმა ვაშლი გააჩანაგეს, ვისი კატა აღარ მოიყვანა კოტემ, მაგრამ ვერაფერი, მერე ადგა და ნაგაზი შეუშვა, გენახაო, რა ამბავი ატეხა მურამ, ვირთხების სოროს მიაგნო და დედალ-მამალ ვირთაგვას სიცოცხლე მოუსწრაფა.

ნახირი იყო და ვისაც არ უნდა წაესხა, ყველას დაჰყვებოდა. კარგი მწევმსივით უვლიდა უბნის ძროხებს, გაფანტულ საქონელს ყევით მოაქუჩებდა, ნათესებში გადასვლის საშუალებას არ აძლევდა.

რამდენჯერ შუალამისას მივსულვარ სახლში და თითქო ჭიშკართან ჩასაფრებული მელოდებოდა, გამომეგებებოდა კუდის ქიცინით და ალერსიანი წერტუნით ფეხქვეშ გაგებული მაგრძნობინებდა თავის სითბოს. ოთახის კარამდე მიმყვებოდა და მერე სიბნელეში გაუჩინარდებოდა.

მერე ერთ დღისითაც ხმა დაირხა უბანში - მურა მოკლესო, გამოვეფინეთ გარეთ. თოფის ხმა კი გავიგონეთ, მაგრამ მაგას როგორ მოვიფიქრებდით, რო ამისთანა ძაღლს ვინმე თოვს

ესროდა.

— ვინ მოკლა, მე იმის ასე და ისე, — გაგულისებული იგინებოდა კოტქ, — გამაგებინა ერთი და მე ვიცი მერე რასაც ვუზამო.

ისევ თავისმა შვილიშვილმა ზურიკომ უთხრა, ჯიქურაანთ თენგიზას მოუკლავსო.

— ოხ, მე მაგის... — დაიღრიალა კოტქმ, წითერი სახე უფრო უარესად გაუგენთდა და თენგიზაანთკენ დაიძრა. ჩვენც უკან მივყეთ...

თენგიზას მოკლული ძაღლისთვის ფეხზე მავთული გამოება და ფშანისაკენ მიათროკიალებდა. ახალ მოთოვლილზე მურას სისხლის კვალი რჩებოდა.

ტანში გამაურჟოლა, სიკედილთან სიახლოევ ვიგრძენი და თან ერთი საშინელი სიტყვა ამომიტივტივდა: „ჩაძაღლდა“, რა საშინელი სიტყვაა. ძაღლის სიკვდილის გამომხატველი, ხანდახან ადამიანები ერთიმეორეს „შესამკობად“ რო იყენებენ ხოლმე.

ხავუვარდით შუაში კოტქსა და ჯიქურაანთ თენგიზას. თენგიზა ჯეელი იყო, კოტქ ჭარმაგი, მაგრამ თენგიზასნაირებს კი მოერეოდა კოტქ. ძველი მოჭიდავე, მკლავმაგარი. ერთიორი გაჲკრა კოტქმ. განზე გაუხტა თენგიზა, ზოგი თენგიზას იჭერდა, ზოგი კოტქს...

— რა დაგიშავა, რისთვის ესროლე, შე ოჯახაფეთქებულო, ამნაირი ძაღლი უბანში მეორე არ იყოო, რატო ხელი არ მოგტყდაო...

თენგიზა კიდევ იმით იმართლებდა თავს, რო

მურას სამზარეულოში შევუსწარი, ჩემი თვალით ვნახე, როგორ სვლეპავდა ქვაბიდან საჭმელსო. ქათმებიც შემიჭამაო, კვერცხებზე ხოლაპარაკი აღარ მინდაო. ყველამ იცოდა, როცრუობდა თენგიზა. მურას მოპარული არც ქათამი ენახა ვინმექს, არც კვერცხი... სხვა ძალლებმა გაუჩანაგეს საქათმე თენგიზას და სხვისთვის განკუთვნილმა უაკანმა მურას მოუსწრაფა სიცოცხლე.

ტირილი მინდოდა, მაგრამ მრცხვენოდა. კიდევ, იცით, რა მინდოდა? თენგიზას ცემა, მაგრამ... პატარა ვიყავი.

თენგიზას აღარ დავანებეთ, მურა მე და კოტეს შვილიშვილმა – ზურიკომ დაგმარხეთ მდინარის პირას.

ერთი სიცოცხლე დააკლდა ჩვენს უბანს.

მერცხლების საუფლო

— რა ხარ, ბიჯო ამისთანა, პა! დააყენე ე ჩიტი, კაცი არა ხარ? ვააკ, რა შეუბრალებელი ბავშვები იზრდებიან კაცო, ჩიტის წყევლა არ გაგიგია მაინცა? არ გეცოდება? ეგეც ხო ღვითსშვილია, ეგეც ხო გამჩენმა გააჩინა, რათ უნგრევ ოჯახს, აბა შენ დაგინგრიოს სახლი ვინძემ, მოაყენოს ბულდოზერი და აგიქარმტვეროს ეზო-კარი, რა დღეში ჩავარდები...

ტყუილა არიგებდა ვაჩე. ვაჩემდე სხვასაც არაერთს დაურიგებია, შენიშვნა მიუცია, მაგრამ ლალიკოს ხო ორი ყური ჰქონდა, იმ ყურში ცარიელი გვირაბი გადიოდა და როგორც შედიოდა დარიგება, ისე გადიოდა.

იდგა და მსუნაგი, მოშიებული კატის თვალებით ასცქეროდა ღოღნაშოს კენწეროზე ხმელი ბალახითა და კიწაწებით მიხუხულავებულ სტვენიას ბუდეს.

ვაჩე რო წავიდა (ძროხები საძოვარზე მიჰყავდა), ხელებზე დაიფურთხა და უშნოდ აყაყულ ხეზე, დაბლა რო წამლად ერთი ტოტი არა ჰქონდა, მარდად აძვრა. პირველი ხო არ იყო, ამ საქმეში ჰქონდა ჭიპი მოჭრილი, ღოღნაშოს ხორკლიანმა კანმა ხელისგულები დაუსერა, მაგრამ არაფრად ჩააგდო, გაძვრა, გამოძვრა ალაგ-ალაგ წამხმარ ტოტებში და კენწეროზე მოსკუპდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიხედებოდა ბუდეში, რო რამე აღმოეჩი-

ნა, ან კვერცხები, ან ბარტყები. ჩაიხედა, მაგრამ ფაფუ! ერთი ლაყე კვერცხი არ ჭაჭანებდა. ბუდე კაი სნის მიტოვებული იყო.

— ევჰ, — გუნება წაუხდა და ვაჩეს ერთი-ორჯერ გვარიანად შეაგინა, — სულ მაგ ბებერის ბრალია, დამთარსა, ვინ გეკიოთხება შვილოსა, მე რას გავაკეთებ, ამის შიშით ხეზე ვეღარ უნდა ავიდე? არამკითხე მოამბე, გამომივიდა მეორე ოჩოპინტრე.

ჩამოსვლა უფრო გაუჭირდა, ჩამოხტომისას ფეხიც იტკინა, შარვალი ჩამოიბერტყა და ფქაკვანჭილებული წავიდა...

* * *

„ჩიტიბუდე“ შეარქვეს. ბუდის დანახვაზე ქრუანტელი უვლიდა, რო დაინახავდა, რამსიმაღლეზეც არ უნდა ყოფილიყო, აძვრებოდა და... „ჩიტიბუდე“ ბესომ შეარქვა. ბესო ლადიკოს კლასელი იყო და ზედმეტსახელების დოდოსტატად ითვლებოდა. სოფლის რვაწლიან სკოლაში, დამლაგებლიდან დაწყებული დირექტორამდე, ყვალდა ბესოს შერქმეულ მეტსახელს დაატარებდა.

— „ჩიტიბუდე“! — რო დაუძახებდა, ლადიკოს სახე აეჭინჭრებოდა, გამოეკიდებოდა, მაგრამ ვერ იჭერდა.

— თუ სადმე მოგიხელოთე, ხო იცი რაც მოგელის, ცხვირ-პირი უნდა ამოგინაჭყო.

— ფეხებს მომჭამ! — დაეჭყანა ბესო, — „ჩი-

ტიბუდეზე“ გაგიგია? — თქვა და ლექს-სიმღერა
დაიწყო:

„ამ ჩვენს ჩიტის ბუდეს
ოთხი კვერცხი უდევს,
მეხუთეს რო დადებს,
გამოჩეკავს ბარტყებს“.

ლადიკო უარესად გაბრაზდა, კიდე გამოეკი-
და, სდია, სდია, მაგრამ ბესოს დაჭერა ეგრე
ოოლი არ იყო. სირბილში ხუთიანს ტყუილა
არ უწერდა ფიზკულტურის მასწავლებელი.

— უხ შენი! — მუშტი დაუქნია ლადიკომ...

* * *

— ლადოო!

— ჰოო!

— მოდი შვილო აქა! — დედა ეძახდა.

აივნის ბოძთან იდგა დედა და მერცხლის
ბუდეს ასცექორდა.

— შეხედე! — დედამ ბუდიდან თავგამოყოფი-
ლი, პირდაღებული ბარტყები დაანახვა, — გა-
მოუჩეკიათ ჩვენს მერცხლებს, — უხაროდა დედას.

— გეხვეწები ვნახავ, — შეეხვეწა ლადიკო
და ბოძზე აფოფხებდა დააპირა.

— უი, რას ამბობ?! — შეიცხადა ქალმა, —
მერცხალმა ისეთი წყვევლა იცის, ისეთი რო...
თუ ერთი აწყენინე, წავლენ და ჩვენს სახლში
ფეხს აღარ მოაკარებენ. უმერცხლო სახლი კი-
დე რა სახლია.

დედა რო ეზოში ჩავიდა, ერთხანს იდგა და

ბუდეს ასცქეროდა.

— როგორ გამომეპარა, — თავის თავს გაუწყრა.

მერე გულმა ვედარ მოუთმინა, სკამი მიიღება და ბუდიდან სამ-სამი შეუბუმბლავი მერცხლის ბარტყი ამოსვა...

ის დღე იყო და ის დღე, ისე ჩამოინგრა აიგნის ბოძიდან მერცხლის ბუდე, ლადიკოანთ სახლში მერცხალს აღარ დაუჭიკჭიკია. წავიდა და წავიდა შვილების დაკარგვით გულმოკლული მერცხალი, ვინ უწყის, ეგებ აღარც დაბრუნდა თბილი ქვეყნიდან...

* * *

— „ჩიტიბუდე?“

— გაგაჩიტიბუდებ, — მარცხენა ხელი მოუღერა ლადიკომ, თან ჩაეცინა.

— გახსოვს, როგორ გწყინდა? „ამ ჩვენ ჩიტიბუდეს, ოთხი კვერცხი უდევს“... — გაედიმა ბესოს, — ამ სახელის დაძახებაზე გიჟდებოდი ხოლმე... როგორ გიყვარდა ბუდეების მოშლა... ჩიტების მტერი იყავო.

ლადიკო ორიოდე წელი იყო, რაც დაბრუნებულიყო რუსეთიდან, ჯარში რო წაიყვანეს, რუსის ჯარში, იქაური ქალი შეირთო, დარჩა და დარჩა. აღარც აპირებდა ჩამოსვლას, რო არა დედა... დედის გარდაცვალებამ ჩამოიყვანა, უკანასკნელ გზაზე გააცილა მშობელი.

— მალე მიდიხარ? — პკითხა ბესომ.

— მალე, იმ კვირაში წავალ, — თქვა ლადიკომ.

— მერე სახლი?

— დავკეტავ! მაშ რა ვქნა, რო არ წავიდე არ გამოდის, სამსახურიდან ხომ არ წამოვალ. ზაფხულში ისევ ჩამოვალ, შვებულებას ავიღებ. ცოლ-შვილსაც ჩამოვიყვან. ჩემი ბიჭის სურათი ხო გაჩვენე.

ბესომ თავი დაუქნია.

— ალი-კვალი ცხონებული მამაჩემია, მარტო სახით კი არა, ხასიათებითაც პგავს, ის რო გაბრაზდება, მორჩა... ეგ არი ქართული არ იცის კარგა, მაგრამ ვასწავლი.

ოქროსქანდიანი უსიცოცხლო ფოთლებით მოფენილ ორდობეს მიუყვებოდნენ ბესო და ლალიკო, ზამთრის ხანგრძლივ ძილ-თვალემისათვის ემზადებოდა გაძარცვული ბუნება, ჭალიდან თოფის ხმა ისმოდა.

— ზალიკოა, შინ ვერ გააჩერებ ამ შობელ-ძალლს, — თავის ბიჭზე თქვა ბესომ, — რა ეშ-მაკად ვუყიდე თოფი. ჩხართვები მოფრინდნენ ჭალაში და რო დააბა კიდეც, სახლში გაგოჩერდება?

ბებერ, გალოპრილ იფანზე, ფიჩხებითა და ხმელი ბალახ-ბულახით შეკოწიწებული კაჭკაჭის ბუდე შეამჩნია ლადიოკომ.

— ნახე, ბესო!

— რა იყო!

— ბავშვობაში რამდენჯერ ჩამომიშლია ამ იფანზე ბუდე...

— მახსოვს, კაჭკაჭის ბუდეა, — დაასკვნა ბე-

სომ.

- მეც ვიცი რო კაჭკაჭის ბუდეა.
- უნდა ავიდე! – თქვა ლადიკომ.
- სად უნდა ახვიდე, კაცო, ამხელა კაცი,
შენ ისევ პატარა ბიჭი ხო აღარ გგონია თავი.
გბერდებით ლადიკო. წუწყია სიბერე, წუწყი.
- ლადიკო ისე ჟინიანად ასცქეროდა კაჭკაჭის
მიტოვებულ ბუდეს, როგორც ბავშვობაში სჩვე-
ოდა ხოლმე.
- რას უყურებ, კაცო? – ჩაეცინა ბესოს, –
მაინც არ ემვები „ჩიტიბუდეობას“.
- ლადიკომ ხელისგულზე დაიფურთხა და
იფანზე ავიდა, ავიდა წვალებით, ერთი-ორჯერ
ფეხი აუცურდა.
- ეე, შენი გამოსწორება არ იქნება, – ჩაი-
ქირქილა ბესომ.
- ნეტა ეხლა ვაჩე გააცოცხლა და შენი თა-
ვი დაანახვა.
- ლადიკომ ამოცარიელებულ ბუდეში ჩაიხე-
და, მერე ბავშვობიდან გამოყოლილი ვნება რო
ჩაიცხო, ბებერი, ხმობაში წასული ხიდან
ნელ-ნელა ჩამოფოფხდა, მაგრამ ტოტზე ფეხი
აუსხლტა და მიწაზე ბრაგვანი მოაღინა.
- ეე, ფათერაკი ხარ! – წამოიძახა ბესომ და
მეგობარს მიგარდა, – რამ აგიყვანა ამხელა
კაცი.
- არაფერია, – თქვა ლადიკომ და ვაი-ვაგ-
ლახით წამოდგა, კოჭლობით გაიარა.
- გადარჩი, – თქვა ბესომ.

— ეგ არაფერი, — ხელი ჩაიქნია ლადიკომ, — ბავშვობა გავიხსენე. ისე მომიარა ჟინმა, ისე, ისე, რო...

* * *

ერთხანს დედის სურათთან იდგა, თითქმ ბოდიშს უხდიდა მშობელს, რო აქაურობას ტოვებდა და უცხო ქვეყანაში მიდიოდა. „ნუ გეშინია, სულ არ დაგტოვებ, ჩამოვიყვან ცოლშვილს და ჩამოვალ. შენ გგონია კერას გაგიციებ? არა, არა, არ შეგეშინდეს“.

დაცარიელებული სახლის კარი გამოიკეტა და აიგნის შეა ბოძზე დიდი ხნის წინ ჩამოშლილი მერცხლის ბუდის ნარჩენებს შესცემროდა. რამდენი წელი გასულიყო მას შემდეგ... მერცხალს რო ბარტყები ამოუსხა... „უმერცხლო სახლი რა სახლია, შვილო“, — გაახსენდა დედის სიტყვები. მართლა ხო არ ამიხდა იმ მერცხლის წყველა, - გაიფიქრა ლადიკომ, ჩემი სახლიც როგორ გამოცარიელდა. აიგნის ბოძს, სადაც ერთ დროს მერცხლების საუფლო იყო, კიდევ ერთხელ ახედა დასევდიანებულმა „რას გაუგებ ამ ცხოვრებას!“

კაცუნა

ხეების დანახვაზევე იგრძნობდი, რო ძილ-თვლება მორეოდა დედაბუნებას. იდგნენ უწუმ-რად, უღიმდამოდ, გალოპრილი, ტანშიშველი კოპიტები და თვალსევდიანები ასცქეროდნენ ლეგა ღრუბლებით გულისპირშემოსილ ცას, სათოვლე პირი რო უჩანდა, ჩიტები გაფრენი-ლიყვნენ შორს, უზამთრო ქვეყანაში.

ახალი ნაჟინელი იყო, ცეცხლისფერი სვე-ლი ფოთლებით მოფენილ ბილიკს მივუყვა-ბოდი. ასეთი რამ ჩემი ხასიათის განუყოფელი ნაწილია, ვარამი რო შემომაწვება, სულში რო ადამიანური სევდა ჩაგუბდება, მარტო დავხე-ტიალობ, დავდივარ უმისამართოდ, ფიქრებდა-ლავებული და ცრემლებმოწოლილი, ტირილი მინდება, მგონია რო საკმარისია ავქვითინდე, დასჯილი ბალდივით ავზლუქუნდე და გულს მოვიოხებ...

ქალაქის გარეუბანში ერთი მომცრო გორაა. გორაზე კიდევ ხელოვნური ტყეა ნახევრად გა-კაფული, აქა-იქ თუ შერჩა დაქირავებული მე-ბალების მიერ მოვლილი ხეები, კოპიტები, ნე-კერჩხლები, ცაცხვები.

მივდიოდი სველი ფოთლებით მოფენილ მი-წაზე და უცებ მომესმა ნაცნობი ხმა. მივიხედ-მოვიხედე, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, გაძარც-ვულ ცაცხვის წვერზე ყვავები ისხდნენ და ჩხაოდნენ, ჩხაოდნენ უაზროდ, არ ვიცი, იქნებ

აზრიანადაც, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მო-
მეჩვენა.

გავაგრძელე გზა და ისევ მომექმა ხმა. გან-
წირული კაცის ხმას პგავდა, საშველად მიხ-
მობდა, ნაცნობი ხმა იყო, მეცნო აშკარად, ად-
რეც ბევრჯერ მსმენია.

ნაბიჯი გადავდგი და კინაღამ... კინაღამ...
გაგსრისე. სიზმარში მეგონა თავი, ასეთი რამ
ზღაპარშიც არსად წამეჭითხა, რო ლოკოვინის-
ხელა ადამიანი არსებობდა ზეცისქვეშეთში,
ქონდრისკაცები კი მინახავს, მაგრამ ასეთი
რამ... სველი, უსიცოცხლო ფოთლებიდან გამო-
გევო თავი და საცოდავი იერით მიმზერდი,
თითქო ჩემზე იყო დამოკიდებული შენი ბედ-
იღბალი. გავოცდი, ჩავიცუცქე და დაგაკვირდი,
ციებაშეყრილივით ცახცახებდი, გიორგობისთ-
ვის ჟინევლას დაელტე, თუმცა შენოვის ის
კოკისპირული წვიმა იყო. კბილს კბილზე გა-
ცემინებდა, თმა გაგწეწოდა, პირიდან ეპილეფ-
სიანივით გდიოდა დუჟი.

რამდენი ხანია აღარ მენახე, თვალს მოეფა-
რე თითქო და რაღაცით გათავისუფლდა ქა-
ლაქი.

რაღაცნაირად, წარმოსახვაში ჩნდებოდა ამ-
ბავი კაცზე, რომელმაც წუთისოფლის სცენაზე
ამ ასწლიან თუ თოხმოწლიან ტრაგი-კომედია-
ში ვერ იპოვა თავისი ადგილი და სცენიდან
ჩამოგდებული, გამხეცებული აპირებდა სპექ-
ტაკლის ჩაშლას.

ცოცხალი ყოფილხარ... გდიხარ ფოთლებ-ქვეშ, ლოკოკინისხელა არსება და ვერავინ გამჩნევს, შეიძლება ფეხი დაგადგან, შეიძლება ზედაც დაგაფსან და ნიაღვარმა წაგლეკოს.

— მიშველე, გეხვეწები! — ხმაც აღარ გაქვს, საღაცაა მუნჯივით დამიწებ შენი პაწია ხე-ლებით მინიშნებებს.

— მე რა გიშველო?
— წამიყვანე, შენთან წამიყვანე, იქნებ ისევ გადავიქცე ჩვეულებრივ ადამიანად.

— სად წაგიყვანო?
— ოღონდაც აქედან წამიყვანე! ოუნდაც შენს მოთხრობაში.

— რომელი ილია ჭავჭავაძე მე ვარ, ლუარ-საბივით მოთხრობაში გამოგვიმო, რო შენი თავი ქვეყანას გავაცნო. მე თითებზე ჩამოსათვ-ლელი მკითხველი მყავს და რადა შენისთანა არსებით შევაწუხო.

— „დაადგი ფეხი, - ვიღაცამ ჩამჩურჩულა, — დედამიწას ტვირთს ცოტათი მაინც შეუმსუ-ბუქებ, ცოდოა ამისთანები რო ამძიმებენ, მარ-თალია პატარაა, ხელისგულზე დაეტევა, მაგ-რამ მძიმეა. მიყურებ საწყალი, უმწეო თვა-ლებით...“

მერე გაგაგრძელე გზა, გაძარცულ, სველ ხე-ებს ვაკვირდებოდი, საიდანაც დიდი სევდა იკითხებოდა. თითქო ამ ხეებსაც ხეტიალი უნ-დოდათ ჩემსავით, მაგრამ არ შეეძლოთ...

— მოიცა, არ წახვიდე! — ფეხის წვერებზე
შემდგარი მიხმობდი, მაგრამ მე ადარ მომი-
ხედავს...

სიკეთე და ბოროტება, ტკბილი და მწარე,
სიყვარული და სიძულვილი, დღე და ღამე.
გვინდა თუ არ გვინდა, ასეა, მას ასე უნდა.

ზღვის პირას...

ირმას და მარიკას

— გაავდარდება, — თქვა ბათომ და ცას აპხედა. ვეება ხომალდივით მოირწეოდა აღმოსავლეთიდან ლეგა ღრუბელი, მკათათვის მნათობი თანდათან კარგავდა მცხენვარებას.

— შენ რა იცი, რო გაავდარდება? — ჰკიოთხა ალამ და ზღვიდან ამოსულ ბათოს სველ მკერდზე მიეხუტა.

— თოლიებმა მითხოეს, — ჩაიცინა ბათომ, — დამელაპარაკა თოლია და მითხრა იწვიმებსო. თოლიების მარტო მე მესმის, მათ საუბარს მხოლოდ მე ვიგებ.

ზღვა მოელამუნა ფეხებზე ალას, მზემიუკარებელ წვივებზე ვნებიანად მიეფერა, ერთხელ, ორჯერ, მერე თანდათან მაღლა-მაღლა წამოვიდა, უფრო გაბედულად, უფრო თამამად, როგორც მამაკაცი გაუშინაურდება ქალს, ზღვაც ისე იქცეოდა. ალა წამოდგა და ოდნავ ზევით აიწია. ბათო ჰორიზონტს გაპყურებდა. გაპყურებდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქო ეს-ეს იყო დამთავრებულიყო წარდგნის გაუთავებელი წვიმები და დედამიწა წყლით დატბორილიყო. სოდომ-გომორა მიწას მლაშე წყალი ფარავდა და ზეცისქვეშეთში მარტო ორი ადამიანი სუნთქავდა - ბათო და ალა. კაცობრიობა უზარმაზარ სტიქიონს შთაენთქა. უკვალოდ გამქრალიყვნენ ადამიანები. დედამიწა ცოდვის

ჭუჭყისაგან გაწმედილიყო, მაგრამ რა... ახლა
ბათოს და ალას შთამომავლები წაბილწავდნენ
ყველაფერს. ადამის ძეს რა გააჩერებდა. წარ-
მოიღინა ბათომ, ამხელა სანაპიროზე უიველი
რო გაუდიოდათ ადამიანებს, არავინ ჭაჭანებდა
და ცოტა არ იყოს შეეშინდა, ედირება ასეთი
სიცოცხლე? - ჰკითხა საკუთარ თავს და თვი-
თონვე იპოვა პასუხი, არა, არ ეღირება, არა
მგონია, რო ისეთი ეშხი ჰქონდეს, როგორიც
ახლა აქვს. ხმაურიანი სიცოცხლე ჯობია. მერე
ცოლს მიუბრუნდა და თავისი ფიქრი გაანდო
ორიოდე თვის წინ შერთულ თანამეცხედრეს.

- სიმარტოვე გირჩევნია თუ ხმაურიანი
ცხოვრება?

ალამ თვალი გაახილა და მეუღლეს შეღი-
მილებული მზერით უპასუხა.

- ჰა, მითხარი?

- შენ როგორიც მოგწონს. გინდა სიმარტო-
ვეში, გინდა ხმაურსა და დრიანცელში. მთავა-
რია, რო შენ მყავდე.

ბათო ცოლის გვერდით წამოკოტრიალდა
ქვიშაზე. მზით გამთბარი სილის შეხებამ სია-
მოვნების ბუსუსები დააყარა. მეუღლეს შიშ-
ველ სხეულზე მიეფერა, თეთრი, ქათქათა თე-
ძოებიდან ქვიშის ნამცეცები გააცალა. მერე კი
თავი მკერდზე დაადო. თვალები დახუჭა და გაი-
რინდა. ტვინის ხვეულებიდან ბავშვობა ამო-
ტივტივდა. სოხუმში ზღვის პირას გატარებული
დღეები გაახსენდა. რამდენი დღე დაჲყო, ითვ-

ლის ბათო და კარგად ვეღარ იხსენებს. მგონი ოთხი, პო ოთხი, თავი წამოსწია, ზღვას გახედა, რომელსაც მოლურჯო-მომწვანე ფერი დაკრავდა, ერთმანეთში შეზავებულიყო ორივე ფერი, ალბათ, სხვა ფერებიც ერია, ვერ გაარჩევდი ხეირიანად, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი იყო, რო ზღვა ძალიან ლამაზი იყო და მაშინაც ეს ფერი პქონდა, ასეთი ფერი ჩარჩენილიყო ბათოს მეხსიერებაში.

— სოხუმი... ეჰ, სოხუმი, — ჩაილაპარაკა და ალას დახედა, — რა დრო იყო. დანანებით გაიქნია თავი. ცხონებული მამაჩემიც ცოცხალი მყავდა, როგორი ხმაურიანი და ხალისიანი ოჯახი გაქონდა, იცი? მე და ჩემმა დამ მამაჩემს „ნატვრის თვალი“ დავარქვით. ნატვრის თვალი ხომ იცი, დაიდებ ასე ხელისგულზე და რაც გინდა სთხოვე, უმალ გაჩნდება ყველაფერი, ზღაპრებში არ წაგიკითხავს?

— წამიკითხავს. — თავი წამოსწია ალამ.

— პოდა ზუსტად ეგეთი იყო მამაჩემი, ყველა ოცნება აუსრულებია ჩემთვის, მაგრამ ერთხელ თურმე ნამეტანი მოვინდომე, — ჩაეცინა ბათოს.

— როგორ?

— როგორ და ავტყდი, გინდა თუ არა, მთვარე ჩამომიტანე ციდან-მეთქი, მეგონა რო მთვარის ყიდვაც შეეძლო მამაჩემს, რა არის ბავშვი, ხო იცი.

— მერე? — ჩაიკისკისა ალამ.

— რა მერე, საიდან მომიტანდა მთვარეს, მე

კიდევ ვიდექი და ვსკდებოდი ღრიალით. მაგარი კაცი იყო... ლიმილში სევდა გაერია ბათოს. პო, ოთხი დღე ვიყავი სოხუმში, მამაჩემის ბიძაშვილი იყო გათხოვილი ვიღაც აფხაზ კაცზე, მერე აფხაზეთის ომი რო დაიწყო, ისევ აფხაზებმა მოკლეს. რამდენიმე ქართველი შეიფარა იმ უბედურმა და მაგიტო. ჩემი და ისვენებდა და ჩემი დის წამოსაყვანად რო ჩავედით, ოთხი დღე დავრჩით. სურათებიც მაქვს გადაღებული. სოხუმის პლაჟზე ვდგავარ ასე არსეინად, - დოინჯი შემოიდო ბათომ, მაგარია ბავშვობა. ისე, წლები კი მიდის, მაგრამ რა ასაკისაც არ უნდა იყოს კაცი, მაინც ბავშვივით ხარ. ის ხასიათები, ის ჩვევები... იქ გავიცანი ჩემი თანატოლი გოგო, ლუდა ერქვა, მე მგონი აფხაზი იყო, კარგად არ ვიცი, მაშინ ვიყავი, - ჩაფიქრდა, მეშვიდე კლასში. მამიდაჩემის მეზობლად ცხოვრობდა, დახრჩობას გადავრჩით ორივე.

- როგორ? - პკითხა ალამ.
- როგორ და მკითხა: ცურვა იციო?
- მეც იხტიბარი არ გავიტეხე, რა თქმა უნდა, ვიცი-მეთქი. შევედით, ამაზე უფრო წენარი ზღვა იყო, შევყეთ, შევყეთ, ჩვენებმა ეტყობა ყურადღება მოადუნეს, თორემ მამაჩემს ნანინატრი ბიჭი ვყავდი და რას შემიშვებდა ამოდენა წყალში, მერე როგორც იცის ზღვამ, ხო წარმოგიდგენია, უცბად გეცლება ფეხქვეშ, აქ როა ეგეთი სანაპირო არსად არის. აქ შორსაც

რო შეხვიდე, თხელი წყალია. იქ კიდევ, უპ. — დაიჯდანა ბათო, — ძაან ცუდად მასესენდება, მაშინ მეორედ დავიბადე, თუმცა ბევრჯერ ვარ ხელახლა დაბადებული და ეს, აღბათ, შემთხვევითი არ არის, განგების ხელი ურევია. ჯერ იმ გოგოსი მომეხათრა, ვერაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ მარილიანი წყალი მაყლაპა და მიგხვდი, რო ვერ იყო კარგად საქმე, ავასხმარტალე ვეხები და ხელები, უფრო დაბლა-დაბლა წავედი, მლაშე წყალი სასულეში წამივიდა, სუნთქვა მეკვროდა, სადაც იყო დაბნელდებოდა. მოხვდა ის გოგო, რო ვიხრჩობოდი, მთელი ძალით ჩამებდაუჭა, ცალი ხელით მოუსვა, მაგრამ ვერ დამძალა და მერე განწირული ხმით დაიწიოკა, ის ხმა, სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს არ გავა ჩემი მეხსიერებიდან.

— პამაგიტეეე! პამაგიტეეე! — და მთელი პლიაჟი დაიძრა, ასეთ მომენტში მიხვდები, რისთვის გააჩინა ადამიანები უფალმა, არა, კარგად ვერ ვთქვი, ერთმანეთისთვის რო გააჩინა, ის უნდა მეთქვა. რამდენი ეროვნების ადამიანი ადარ ეფიცენტოდა ჭრელი კენჭებით მოფენილ ნაპირზე აფხაზეთის დალოცვილ მზეს, მაგრამ აქ ერთი რამ იყო მთავარი - ადამიანი უნდა გადაერჩინათ. რუსის ქალები მომცვივდნენ, მაგრამ დაპანიკებულ ხალხში უცბად გავარჩიე მამაჩემის შეშლილი სახე, თმებში მტაცა ხელი და ნაპირისკენ წამათრია.

— მერე? — პკითხა ალამ.

— რა მერე, პირველად ვნახე, როგორ ტიროდა მამაჩემი. დაპალუპით ჩამოსდიოდა ამხელა მთასავით კაცს ცრემლები. ხალხი შემოგვევოდა, აქეთ მამას ამშვიდებდნენ, იქით გულწასულ დედაჩემს ასულიერებდნენ. მაგრამ დამშვიდდი კაია...

ალა წამოჯდა და ბათოს აკოცა.

— ერთი სიტყვით, გადამირჩი.

— ჰო, ეგრეა. გადავრჩი, კარგია გადარჩენა, გადარჩენის მერე უფრო სხვანაირი ხდება ყველაფერი, მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ სიცოცხლე კიდევ უფრო უნდა შემყვარებოდა, ცაც სხვანაირად დავინახე, მზეც. სიცოცხლე ყველაზე დიდი ნარკოტიკია, რომელსაც სიკვდილამდე ვერ ელევა ადამიანი, წამები, წუთები, საათები, დღეები, წლები ამ ნარკოტიკის შემადგენელი ნაწილებია, თუმცა... ამ ნარკოტიკის მიღება არ არის ცოდვა... ვბოდავ, ისე როგორ შეიძლება სიცოცხლეზე ასეთი რამის თქმა, სიცოცხლე გაგრძნობინებს დმურთის არსებობას. კარგი რამეა...

— რა არის კარგი რამ.

— სიცოცხლე, შენს გვერდით უოფნა ჩემთვის რას ნიშნავს, შენ შეიძლება ვერც კი გაიგო, აი, წაუგდე ჭური და ზღვა გეტყვის. ტალღები უფრო მაღლა-მაღლა წამოვიდა, წვივები ჩამობანა ორივეს, ალა აღარ განძრეულა, ზღვის შეხება ესიამოვნა, ურუანტელმა დაუარა. — შეხედე. — თითო გაიშვირა ბათომ. ნაპი-

რიდან ნელ-ნელა დაიძრა ლურჯი კატერი, რო-
მელსაც ვეგბა თოკებით პქონდა გამობმული
პარაშუტი. კატერი ზღვაში შეიჭრა, თოკები
გაიჭიმა, წვიმიან ნაპირზე გაშლილი პარაშუტი
გაიძერა, გაიძერა, ბოლოს აიწია და ცისკენ
წავიდა. მიჰქროდა ზღვის შუაგულისაკენ კატე-
რი და მიჰყვებოდა ტაატით ცისკენ წასული
პარაშუტი, რომელზეც გოგო და ბიჭი იყვნენ
ჩამოკონწიალებულები. ალა წამოჯდა, ხელი
მოიჩრდილა და ხან კატერს გასცემოდა, ხან
პარაშუტს და თითქო ყურში ჩაესმოდა პარა-
შუტზე ჩამოკიდებული ახალგაზრდა მგზავრე-
ბის კისკისი. უუუუ, ჰეეე, ჰეეე, აეეე, რა
მაგარიააა, ხელებს იქნევდნენ, სანაპიროზე ბუ-
ზისტოლად მოჩანან ადამიანები, ციდან სხვა-
ნაირად ჩანს ყველაფერი, სხვანაირად.

სანაპიროზე ატყდა ჩოჩქოლი. ვიდაც სომეხი
ქალი გამორბის, ხელებს იქნევს და ყვირის
განწირული ხმით, ჯერ არავინ აქცევს ყურად-
ღებას, მზეს მიფიცხებული დამსვენებლები
თვალებმილული წვანან. უმეტესობა ზღვაშია
შესული. არის ყურისწამლები აურზაური. თან-
დათან ჩაუეჩდა სანაპირო, იმ ქალის განწი-
რულმა ხმამ ჩააყუჩა. წამოიშალნენ, იყურებიან
ზღვისკენ. ვიდაც იხრჩობა. ზღვაში ჩანს შავი
წერტილი.

- მიშველეთ! – ღრიალებს ქალი და თავში
იცემს ხელებს.
- სად არიან მაშველები, მაშველები! – ხალ-

ხი აქეთ-იქით იყურება უაზროდ.

მაშველები არსად ჩანან. ადამიანი იხრჩობა, ადამიანი იხრჩობა, ყვირიან. ბათო წამოიჭრა და ზღვისკენ გაქანდა. ბათო, ბათო, - ალას ხმა არ გაუგია, ღონივრად მოუსვა მკლავები, მი-ცურავს და ახსენდება სოხუმში გატარებული დღეები, როგორ იხრჩობოდა, წარმოიდგინა ის ადამიანი, რომელიც სანაპიროს გამოსცეკერის და შველას ითხოვს. არც თვითონ არის დიდი მოცურავე, მაგრამ უნდა გადაარჩინოს, დმერთ-მა ერთმანეთისთვის შექმნა ადამიანები, სხვა რა მიზანი ჰქონდა ადამის მოდგმის გაჩენას. ბოროტება, შური, უბედურება, სიძულვილი. დმერთს არც ერთი არ მოუგონია. რა ძალა გვადგა, რა ძალა გვადგა, ჯოჯოხეთიც ჩვენ მოვიგონეთ, მოვიგონეთ და ერთმანეთისათვის რო სატანჯველი მოგვეწყო, საიქიოს აღარ დაველოდეთ, აქვე მოვუწყეთ ერთმანეთს სასაკლაო. როდესაც ადამიანი იხრჩობა და მეორე ადამიანი მისკენ ესწრაფვის, ეს არი პირველ-ყოფილი ინსტინქტი, ადამის ძის მთავარი მისის გამოხატულება და ეს არის ის, რაც ბედნიერებას განიჭებს. ცოტა დაიდალა, გახედა, მიუახლოვდა იმ შავ წერტილს, თუმცა შავი წერტილი ნაპირიდან ჩანდა, აქედან ალბათ ორმოცდაათიოდე ნაბიჯიდა იქნებოდა და კან-თიელად გაარჩია შუა ხნის კაცი, დაღლილი, მისავათებული მზერით, ზღვის წყალნაყლაპი, მკლავების მოქნევის თავი რო აღარ ჰქონდა,

მხოლოდ ხმას გამოსცემდა.

— პამაგიტე, პამაგიტე.

მთელი ნაპირი მოსჩერებოდა ახლა ამ კაცს და ბათოს, ვერასოდეს იფიქრებდა ის კაცი, რო მისი გადამრჩენელი იქნებოდა უცხო ახ-ალგაზრდა კაცი, სწორედ ამაში იყო ადამის ადამიანისთვის შექმნის საიდუმლო. დაიდალა ბათო. მცირე ხანს სული მოითქვა, კაცს გახდა. რომელსაც ტალღამ გადაუარა და წამიერად გაუჩინარდა.

— ნუ გეშინია.

— ბათო, ბათო, ბათო! — ალას ხმა მოესმა, რას მოაღწევდა ალას ხმა ნაპირიდან აქამდე, მაგრამ ბათოს მაინც მოესმა ორიოდე თვის წინ მოყვანილი მეუღლის სასოწარკვეთილი ხმა. ალას გაფითრებული სახე დაუდგა თვალწინ. ისევ მოუსვა. ცოტა, სულ ცოტადა აშორებდა, მოახლოებული მშველელი დაინახა ზღვის ტყეობაში მყოფმა კაცმა, უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, მომჩვარული, ძალაგაცლილი ხელები აამოძრავა, გადაფითრებულ სახეზე იმედის სხივი აუთამაშდა. ბათომ უფრო ძლიერად მოუსვა მკლავები. ორიოდე წუთში უკვე იქ იყო, მაგრამ ზღვამ თითქო მათ ჯიბრზე აშალა ტალღები, თითქო მსხვერპლს ითხოვდა და არაფრით ანებებდა დასახრჩობად განწირულ კაცს მშველელად გამოცხადებულ ბათოს. მარილიანი წყალი აყლაპა, ტალღამ გადაუარა, კიდევ დააშორა კაცს, მაგრამ წყალს

მაინც არ შეგპუა, ტალღას ზემოდან მოექცა,
მარჯვედ მოუსვა და როგორც იქნა ხელი
ჩაავლო...

სანაპიროზე თითქო გაქვავებულიყო ხალხი.
გაყინული მზერით მიშტერებოდა ორ ადამიანს,
რომლებიც ტაატით, მძიმე-მძიმედ მიწევდნენ
იქით, სადაც ქვიშიან მიწას ვნებიანი ტალღე-
ბით ეფერებოდა მოლურჯო სტიქიონი.

* * *

— ნუდარ ტირიხარ. გეხმის? ნუდარ ტირი-
ხარ, კაი, გეყოფა, ხომ კარგად დამთავრდა
ყველაფერი. დაცრემლილ ლოგაზე აკოცა
ალას. მერე ცას ახედა, მძიმედ სუნთქავდა,
ვერაფრით მოითქვა სული, მაგრამ ამას აღარ
ჩიოდა.

— რომ დამხრჩალიყავი? — წამოისლუპუნა
ალამ.

— დავმხრჩალიყავი არა, ეგღა გვაკლია! —
ჩაიცინა ბათომ, — მაგას არ დაუშვებდა, -
თითი აიშვირა ცისკენ.

— რა უცნაური ხარ. — ცრემლიანი თვალუ-
ბით შეხედა ალამ.

ხდვამ უფრო მოუმატა დელვას.

ძველი სახლი

რაღაც უცნაური იდუმალება იდგრებოდა მისი ძველისძველი კედლებიდან, სადაც მთელი უბნის ბედურები ბუდობდნენ. იტყოდი, მიტოვებული სახლიაო, დაფუტუროებული ხის ღობე აქა-იქ გადანგრეულიყო, ისე რო გზიდან ეზოს მოთვალმზერება არ გაგიჭირდებოდა. ლიახვის რიყედან მოზიდული ქვით ნაშენებ კედლებს, რომელთაც ზოლად გასდევდა ქართული აგური, კუთხეებში კი ტანას ხევიდან ჩამოტანილი ნათალი ტინი იყო ჩაყოლებული, ნაპრალები გასხენოდა. სახურავზე ჯერ კრამიტი ეფარა, მაგრამ კრამიტმა რო ვერ გაძლო, გასული საუკუნის 30-იან წლებში იმ ძველი სახლის სახურავზე თუნუქი გადააკრეს. თუმცა, მალე ის თუნუქიც მოძველდა, ქანგმა გადაუარა. ხის აიგანმა დაიწია, გაშავდა, ჭია გაუჩნდა, შუშაბანდი ქარ-წვიმამ შეიწირა, მინები თანდათან ჩაიმსხვრა და ქარაშოტი დრიალით უვარდებოდა შიგნით ამ სახლის ბინადარს. ეზო ერთ დროს ალბათ მწვანედ ხასხასებდა, ზურმუხტისფრად ლელავდა ბალახი, მაგრამ ახლა ღორების ნათხარსა ჰგავდა, ერთიანად ატლა-პეტულიყო, როგორც გინდა გეცადნა, სუფთა ფეხებით ვერ შეხვიდოდი. შორიდან რო შეგეხდა, მიხვდებოდი, რო ეს სახლი უკვე უშნოდ იდგა უბანში, სადაც წინა საუკუნის ალიზის და ქვის სახლები თანდათან დაანგრიეს და

ახალი საცხოვრებლები წამოჭიმეს. მზეზე ლაპლაპებდნენ ვერცხლისფერი თუნუქის სახურავები, მარტო ეს სახლი იდგა ასე, ჩამუქებულად, თითქო მზე ვერც ხედავდა. კუნძულივით იყო. აქეთ მიდიოდა გზა „ლომისებისკენ“, ასე ეძახდნენ ლომის წმინდა გიორგის ნიშს აქაურები. ბაღ-ვენახებში მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ ამ სახლისკენ არავინ იხედებოდა, თითქო ვერ ამჩნევდნენ, ან ვიდაცას აეკრძალოს მათ-თვის ამ სახლისკენ გახედვა. ვერც ვიფიქრებდი, თუ ამ ძველ სახლში ვინმე ცხოვრობდა. რამდენჯერმე ბავშვური ცნობისწადილით შევავლე თვალი და დედახემს ვაითხე, ეს სახლი ვისია, ან ვინ ცხოვრობს-მეთქი.

ამ სახლში „ცოდვიანი“ ბესა ცხოვრობსო.

- რატოა ცოდვიანი-მეთქი?
- ცოდვიანი ყველა ვართ, შვილო, თუმცა შენ არა, შენ უცოდველი ხარ, დედა გენაცვალოს, ჩემო ანგელოზო.

თუ ყველა ცოდვიანები ხართ, მარტო ბესას რატო ჰქვია „ცოდვიანი“, დედა?

- მაგდენი არ ვიცი, ალბათ ეგ ჩვენზე უფრო ცოდვიანია და მაგიტომ, რაკი ერთი და-ერქვა, ჰქვია და ჰქვია. ერთი რო შეერქმევა ადამიანს სახელი, რაღას გადაარქმევ მერქ-აეგრე მოუვიდა ალბათ მაგ ჩემი ცოდვით სავსე ბესას. ისე საიდან აიკვიატე ბესა, რამ გაგახსენა. მაგ კაცთან არავინ შედის, რაღაც-ნაირად სძულს სოფელს ეგ კაცი.

- სულ მარტოა?
- მარტოა, ეგრე მარტოკინა ცხოვრობს. არც არავინ შედის მასთან და არც ეგ აღებს მეზობლების კარს. შენოდენა რო ვიყა, მეც მაინტერესებდა ბესას ამბავი, – ჩაიცინა დედა-ჩემა, – მეც შენისთანა ცნობისმოყვარე ვიყავი, მაგრამ, რაც მე გითხარი, ის მითხრა იმ ცხონებულმა მამაჩემმა, ერთი ეგ გამიგია, რო ბესა ბატონების ჩამომავალია. ბესას შენახული პქონდა თავისი წინაპარი თავადების ნაქონი ნივთები, რომლებიც მეზობელმა ბავშვებმა და-პარეს. ისე რა მაგის პასუხია და მე დავბერ-დი, ბესა კი ისევ ცოცხალია, ბავშვობაში რო-გორიც მახსოვეს, ისევ ისეთია, მაშინაც თეთრი წვერი პქონდა... თუმცა ნათქვამია, ყველა თა-ვის სამარეს ამოავსებსო. ჩვენ რას გვიშლის. ღმერთს ალბათ ეგეთებიც სჭირდება.

დედაჩემის პასუხმა რო ვერ დააკმაყოფილა ბავშვური ცნობისმოყვარეობა, ჩემს თანასოფ-ლელებს ვკითხე, რატო პქვია ბებერ ბესას ცოდვიანი-მეთქი, მაგრამ ყველა ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა, ცოდვიანია და მაგი-ტოო, ცოდვიანები თქვენც ხო ხართ მეთქი, არა, ეგ სხვანაირი ცოდვიანიაო, როგორ სხვა-ნაირი? სხვანაირი და მორჩა. ეგ იყო პასუხი. რა ჩაიდინა მაგ კაცმა ასეთი, რა დააშავა, რო სოფლისგან ასე იყო გარიყელი, რას გულისხ-მობდა ბესას ცოდვებში ხალხი, ვერ ვიგებდი. არადა, რამდენჯერაც ავივლიდი და ჩავივლიდი

ბესას ძველისძველ სახლთან, თვალი გამირბოდა ეზოში, მინდოდა, რო როგორმე დამენახა, თვალი მაინც მომექრა, მაგრამ ბესა გარეთ არ გამოდიოდა, იმისთანა თვალმახარა, მზიან დღებშიც ცხვირს არ ყოფდა გარეთ. მერე ერთხელაც მამახემმა სათიბში წაიყვანა უბნის ბიჭები, წყალი შემოაკლდათ, წყაროზე გამგზავნეს, წყარო ბესას სახლთან ახლოს იყო. ის იყო ცივ-ცივ წყალს სურა შევუდგი, რო ძველთაძველი სახლის ვება ეზოში ტოტებშემარი თუთის ქვეშ მოხუცი კაცი დავინახე, რომელიც სამფეხაზე ჩამომჯდარიყო, თვალები დაეხუჭა და მზისთვის მიერგირა პაპანაქება სიცხეში სახე „ცოდვიანი ბესა”, - გამიელვა, წყლით საჭხე სურა იქვე დავდგი და ბესასთან ახლოს მივედი, რო ბერიკაცი კარგად დამენახა. თითქო ჩემს მიახლოებას ელოდა, თვალი გამოახილა, ფიცრებაყრილ ღობესთან შემამჩნია, ჯერ კარგა ხანს მიყურა, უაზროდ მიყურა, მერე ჩაახველა, სამფეხაზე გასწორდა და ხელი დამიქნია. ერთი ხანობა გაქცევა დავაპირე, ვაითუ რამე დამიშაოს-მეთქი, მაგრამ ბოლოს დავდლიე შიში, შევატყე, წამოდგომა და სიარული უჭირდა ბერიკაცს და ჩემთვის რა ზიანი უნდა მოეყენებინა.

- ვისი ხარ? – მკითხა, ხელი მოიჩრდილა და სახეზე დამაკვირდა.
- გოგიბერაანთ გიორგის შვილიშვილი ვარ.
- ვისი? – ყურმა უმტყუნა ბესას.

— გოგიბერაანთ გიორგის.

არაფერი უთქვამს, თითქო მისთვის სულ ერთი იყო, ვისი შთამომავალი ვიქნებოდი.

— კანფეტი რო არა მაქ. — მითხრა და გამხდარ ფოსოებში ჩაკარგულ ნაცრისფერ თვალებში ღიმილი გაუკრთა. უკბილო, ულვაშამოფხატულ მოლურჯო ბაგეზე ხელი გაისვა.

— არ მიყვარს კანფეტი, — ბესას უხერხულება რო მომეხსნა, უფრო მაგიტომ ვთქვი.

— ჩირი, ჩირი ხო გიყვარს, ჩირს გაჭმევ, ბესა წამოდგა, დაუძლურებული, გამხდარი სხეული ძლივს ასწია. წამო, ხელით მანიშნა. ისევ გამიქრთა შიში, არავინ არ შემოდის ამ სახლში და რაღა მაინცდამაინც მე აღმოგწნდი, დედაჩემმა რო გაიგოს ან მამაჩემმა, მომკლავენ. ერთი ხანობა არ ვაპირებდი შეყოლას. გრძნეულივით მიხვდა ჩემი შეყოვნების მიზეზს. მომიტრიალდა. შენც ჩაგაგონეს? აი, აი, აი, რა ხალხია კაცო, ბალდებს რაღას ერჩიან. თფუ. რა გითხრეს, ფეხი არ შეაკაროო, ცოდვიანიაო, ცოცხლად შეგჭამსო. უცბად რაღაცნაირად გაიყინა თითქო ჩემს წინ უცნაური სურათი, ძველისძველი, კედლებდახეთქილი სახლი, დაწეული შუშაბანდჩამსხევრეული აივანი, ტალახიანი ეზო, მინგრეულ-მონგრეული დობე და ეზოში შინდის ჯოხზე ჩამოყრდნობილი მარტოხელა მოხუცი, რომელიც ისეთი სახით შემომცქროდა, ისეთი სახით, ტირილი მოგინდებოდა და ყველაზე მეტად ამ სურათის ხილვაზე იგრძ-

ნობდი ამქვეყნიური ცხოვრების სიგლახეს. პა, პა, რამდენიმე თვე და უფრო დაცარიელდებოდა ისედაც დაცარიელებული სახლი, რომლის კედლებში მთელი უბნის ბეღურები ბუდობდნენ, ჟივეივი გაუდიოდათ. ციცქა გამოქვაბულებით მოჩანდა გზიდან ბეღურების საცხოვრებლები. მარტო ჩიტებს არ მიეტოვებინათ ბესა. რაღაცნაირად აგრძნობინებდნენ კაცს, რო მარტო არ იყო და მის არე-მარეზე სიცოცხლე არსებობდა. ბეღურების ჟივეივი ასულდგმულებდა ბერიკაცს, რომელსაც მთელი სოფელი ნათავადარ ცოდვიანს ეძახდა, მაგრამ რატომ ეძახდა, ან რატომ აიბუა, ვერავისგან შევიტყვებესას მსგავსად ბეგრი კითხვა იყო სოფელში პასუხბაუცემელი. ხმელი ხელებით ორომზე გაფენილი ჭანჭურის ჩირი აკრიფა ბესამ და ჯიბეში ჩამიყარა. მერე თვალებში შემომაცექერდა.

— კიდე გეშინია? — ჩაიცინა და თავზე გადამისვა ხელი, — რა გქვია?

— გიორგი.

— დიდი კაცი გაგზარდოს, ორი ჩემი ხნისა მოგყაროს დმერთმა. ეს, რა კარგი რამეა ბაგშვობა, დალოცვილი, მე რო შენი ტოლა ვიყა... ასე მგონია გუშინ იყო, თვალსა და ხელს შუა შემჭამა სიბერეგმ, გამამხრა, სიბერე ვერანი რამე ყოფილა, ნელ-ნელა ამზადებს ადამიანს მიწისთვის, მიწა კი ელოდება და ელოდება ხალხს, სულ ელოდება, არსად ეჩქარება მიწას. იცდის. მაინც იქ უნდა მივიდეს ყველა, სხვაგან

წასასვლელი ვის სადა აქვს. ასე მეგონა, არა-სოდეს დაგტერდებოდი, მზეს ხელითა ვწვდებო-დი, მაგრამ... მთელი ცხოვრება მიწასა ვტკუ-ნით და ბოლოს ერთიანად მიწა გვტკეპნის ყვე-ლას. გვჭამს და ისე გადაგვატარებს ბალახსა, ვითომ არცა ყვოფილიყათ.

არ მიყურებდა ბესა, თავისთვისა ბუტბუტებ-და, თავის გულის ჭიას იკლავდა. წამოსვლა დავაპირე. ჩირისთვის მადლობა გადავუხადე. ისეთი სევდიანი თვალები გამომაყოლა, ისეთი, რადაცნაირად დამნაშავედ ვიგრძენი თავი. ბე-სას მოცემული ჩირი არც შემიჭამია, არც გა-დამიყრია, სახლში წავიღე და როცა დედახემმა მკითხა, საიდან მოიტანეო, ყველაფერი ვჟოხა-რი. თუმცა დედახემმი არ გაბრაზებულა, რა-დაცნაირად გააქნია თავი და მერე ლოფაზე მაკოცა.

— ვინ აჭმევს მაგ კაცს? — მოულოდნელად დავუხვი კითხვა დედახემს.

დედახემმა მხრები აიჩება.

— არ ვიცი, ალბათ, თვითონ იკეთებს საჭ-მელს. ან მეზობლები... — უნდოდა ეთქვა, რო მეზობლები აჭმევენო, მაგრამ მერე გაახსენდა, რო იქ არავინ შედიოდა. მე ერთი რამ მაოცებ-და, ას წელს მიტანებულიყო ის საცოდავი მოხუცი, ბეღურების მასპინძელი ბესა, რამდენი თაობა წავიდ-წამოვიდა, მაგრამ მის მიმართ მა-ინც არ შეცვლილიყო სოფლის დამოკიდებუ-ლება. განა რა ცოდვა პქონდა ამ კაცს, ან მის

ოჯახს ჩადენილი ისეთი, რო ერთ ადამიანს მაიც არ მოულბა გული, ერთ ადამიანს მაიც არ გაუჩნდა მისთვის ცოდვების შენდობის სურვილი. ამოდენა სოფელში კუნძულივით იყო მისი სახლი, კედლებდახეთქილი, ჟანგიანი სახურავით, ეზოგაპარტახებული. სიძველის წერტილივით აჩნდა სოფელს და იმ უბანს, სადაც ახალი სახლები აშენებულიყო და ბესა თავის სახლიანად რაღაცხაირად ხელს უშლიდა ყველას. ბესას გვერდით აგურის ვეება სახლი წამოჭიმა ერთმა ჩემმა თანასოფლელმა, ბესას სახლი უშნოდ ჩამოხინცულიყო, რამდენჯერმე მივიდა და ფული შესთავაზა მოხუცს, ფულთან ერთად ერთი პატარა ოთახის გამოყოფასაც შეპირდა ორსართულიანი აგურის სახლის გვერდით, სადაც სათავსოები აეშენებინა, მაგრამ ბესამ ცივი უარით გამოისტუმრა. თან გულში სიმწრით ედიმებოდა, დრო იყო და ბესაანთ ნასუფრალზე იკვებებოდნენ, ეხლა კიდე... იცოდა, რო მისი სიკვდილის შემდეგ ბესას პაპის, ანთიმოზის მიერ აშენებულ სახლს მაიც დანგრევა ელოდა, სახლი, რომელიც ერთ დროს მედიდურად გადასცექროდა უბნის ქოხმახებს, შუშაბანდიანი აივნით ახლა იმავე უბნის სიმახინჯედ ქცეულიყო. მაგრამ ვერაფრით დაუშვებდა, რო მის სიცოცხლეშივე დაენგრიათ თაქთაქიანთ სასახლე და ბედურებისათვის ბუდე მოეშალათ. წარმოედგინა ბუდის გარეშე დარჩენილი ჩიტების ბედი.

სულ რამდენიმე თვე იყო გასული და ბესას სულიც მიიბარა ღმერთმა. მასსოვს მისი დაკრძალვა. კოლმეურნეობამ გაიღო მცირედი ხარჯი, რო ასი წლის მოხუცის გახრწილ ცხედარს არ შეეწუხებინა სოფელი. რამდენიმე დღეში ჩეუბის ხმაზე ჩავედი ბესას სახლთან, ნათვადარების ძველმანებზე დაკა-დაკა გაემართათ მეზობლებს. ზოგი ძველისძველ რკინის საწოლს მიათროკიალებდა, ზოგს თაქთაქიაანთ ზანდუკი შეხვედროდა, ერთს ის ორომი ამოედლიავებინა, სადაც ჩემთვის მოცემული ჩირი პქონდა გაფენილი ბესას. როდესაც სახლი გამოცარიელდა, მერე დობეზე გადავიდნენ და ფუტუროდქცეულ ფიცრებსაც კი მიარბენინებდნენ. ვიდრე აგურის ორსართულიანი სახლის მეპატრონე არ მოიჭრა და მეზობლები არ დაიფრინა.

როგორც აღმოჩნდა, განცხადება შეეტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლზე და ბესას სახლის შესყიდვას ითხოვდა.

* * *

ექსკავატორის ციცხვი საშინელ ხრჭიალის ხმას გამოსცემდა. XIX საუკუნეში აშენებულ კედელთან თითქო ვერაფერს ხდებოდა ეს უცნაური ქმნილება, რომელსაც ერთი ჩვენებური კაცი – ანდრო მართავდა. გზაზე უბნის კაცები მოგროვილიყვნენ და თაქთაქიანთ სახლის დანგრევას უყურებდნენ. ბედურების ბუდემ ვეღარ

გაუძლო რკინისხელიანი ტრაქტორის შემოტევას, გრიალის ხმა გაისმა, რომელიც ადამიანის გმინგას უფრო წააგავდა და ეზოში საშინელი მტვერი დადგა, ჩამონგრეული კედლის მტვერი. დენის მავთულზე ჩამომსხდარი ბეღურები საცოდავად მობუზულიყვნენ. ინგრეოდა ბესას სახლი და ინგრეოდა მათი ბუდეც. ჩვენებურები ბეღურებს შინაურ ჩიტებს ეძახდნენ, მაგრამ შინაურ ფრთოსნებს შინ აღარ დაედგომებოდათ.

მარანი

- ჰე, ჰე, ჰე, ჰე!.. – ღრიალებდა ბათირა.
- რა გაყვირებს! – გასძახა ფელომ.
- ჰე, ჰეეე, ეეე! – გიუგიოთ ღრიალებდა კვლავ ბათირა. ფელოს სიტყვები თითქო არც გაუგია, გამარჯვების ყიუინასა სცემდა.
- რა გაყვირებს-მეთქი! – თვალები დაუბრიალა ფელომ და მუშტი მოუღერა: ამხელა კაცი ხარ, ჭკუა ვერ ისწავლე, აემანდ არიან და ჩემს ფეხებს გაგატანენ, იდრიალე მერე რამდენიც გინდა.
- ვინ არიან? – უცბად შეწყვიტა ღრიალუინა წვერგაუპარსაგმა ბეჭდერწმა ოსმა და ფელოს მიაჩერდა.
- ვინ არიან და „დიკის ხალხი“, ეგენი რამეს გაგატანენ? მგლებივით არიან, გაზიდეს ყველაფერი.
- ფეხებს მომჭამენ, – ჩაილაპარაკა ბათირამ, თუმცა დიკის ხალხის ხსენებაზე დასერიოზულდა და ადარ დაუყვირია. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა.
- რაღაცნაირად მომიარა, დაყვირება მომინდა, გულის ჭია მოვიკალი, ხანდახან ღრიალიც კაია ხოლმე, ხო ეგრეა თამა! – მომიტრიალდა და ვეება კბილები გამოაჩინა.
- მე არაფერი მითქამს. ვაკვირდებოდი გადამწვარ სახლს, გამურულ კედლებს, შიშველ ხეივანს, სასაფლაოს მდუმარება იყო ეზოში,

სადაც ერთ დროს, ერთ დროს კი არა, აღბათ, სულ რამდენიმე თვის წინ სიცოცხლე ჩქეფდა, ხალხი ცხოვრობდა, ახლა ყველა ნასახლარი ერთმანეთს ჰგავდა, ქართველების ნასოფლარში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, სულიერის ხმაურს ვერ წააწყდებოდა ყური, თუ არ ჩავთვლიდით ჩვენისთანა მტაცებელი ადამიანების ხმას, ნასოფლარს შესეული ადამიანების ხმას ვგულისხმობ, რომლებიც ქართველების საცხოვრებლებს ანგრევდნენ, აგურ-აგურ ეზიდებოდნენ, ცალ-ცალკე ახარისხებდნენ სამშენებლო მასალებს, რაც ცეცხლს გადაურჩა. დასწრებაზე იყო, ნასოფლარები დაეთითოებინათ. რამ წამომიყვანა, რა ეშმაკი შემიძვრა სულში. არ ვიცი, ბოლო-ბოლო ქართული სისხლი მერია, ცხონებული ბებიაჩემის ხათრით მაინც ხომ უნდა შემეკავებინა თავი, მაგრამ არ მომასვენეს ამ უპატრონოებმა, აქეთ ფელო, იქით ბათირა, მოპქონდათ და მოპქონდათ მეზობლებს სამასვლებითა თუ ჩვეულებრივი გრუზავიკებით დაშლილი სახლების ბლოკები, სინკარები, აგურები, ალაყაფის კარები, ხეივნის ტრუბები. თუ ომში ტყვია არ გაგისროლია, ამით მაინც ამოიყრიდი ჯავრს ქართველებზე. ახლა კიდე რა, ცეცხლგადავლილ სოფელში გამომბალ რკინას და აგურს თუ მოიხელოებდი, მაშინ უნდა გენახათ, ვიდრე სახლების დაწვას დაიწყებდნენ ოსები, ვიდრე აქაურობას გადაბუგავდნენ, ჯერ იყო და საქონელი წაას-

ხეს, მერე დაერივნენ სავსე სახლ-კარებს. ვლა-
დიკავკაზში ისეთი ბაზრობა იყო გამართული,
თვალები აგიჭრიალდებოდა, რა გინდოდა სუ-
ლო და გულო, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის
ამბავი იყო, ჩემი მეზობლები ერთმანეთს რო
დაერივნენ - ომბა და ბაწა, ლამის დახანჯლეს
ერთმანეთი. ბაწას ქართველების სახლები გაე-
ძარცვა, გატენილი „ტრიო“ ჩამოდრიხინდა.
ცხინვალში პადვლები გაავსო: ავეჯი, ჭურჭე-
ლი, ტანსაცმელი, თეთრეულიც კი წამოედო,
ნახმარი თეთრეული, იმ უბედურ ქართველ
ქალს დასარეცხი დარჩენოდა ეგრე გაქცეული-
ყო და ბაწას წამოედო, და პოი საკვირველე-
ბაგ, ომბა გამოეჭრა ხანჯლით ხელში ბაწას,
ჰკლავდა, იმ სოფელში ჰყოლია გათხოვილი
ჩემს მეზობელ ომას თავისი ღვიძლი და, რო-
მელსაც ოლია ერქვა. თუ კარგად მახსოვს,
თავისი დის მზითვის საწოლები იცნო თომამ.
აკვირდებოდა, აკვირდებოდა გულ-გვამი ბოლ-
მით აევსო.

— ეს კრაოტები საიდან წამოიდეო? — ბაწა-
სა ჰკითხა.

ბაწას მისი ტონი არ მოეწონა, ირიბად
შეხედა, ამას ვინ ეკითხება, საიდან წამოვიდე,
წამოთრეულიყო, ეხლა რო შურისგან თვალები
უბრმავდება და თვითონაც წამოიდებდაო, —
გაიფიქრა.

— საიდან წამოიდე, ეს კრაოტები ჩემი ნაყი-
დიაო, — გული ამოაყოლა თომამ. — ჩემი დის

მზითვის კრაოტებია, როსტოვიდან გამოვუგზავნეთ და ატყდა ერთი ამბავი. თომას ხანჯალი ეჭირა და თვალებში ბოლმა და ცრემლი ერთიანად მოსწოლოდა, მეზობლებმა არ გაუშვეს, თორე ყელს გამოღადრავდა ლიყიან ბაწას, რომელიც დიდი ქვის ნატეხი და გაუთლელი კაცი იყო და არაფრით დაუბრუნა როსტოვში ნაყიდი მზითვის საწოლები. შერცხვენილი, გაუბედურებული, სულში ჩაფურთხებული კაცის სახე ჰქონდა თომას, რომელიც ჩვენს უბანში სულ ორიოდე წლის წინ იყო გადმოსული. წარმომედგინა, რა ხდებოდა მის გულში, მისი დის ოჯახს სადღაც შეეფარებინა თავი. მათი ავლადიდება კი ბაწასნაირებს გაენიავებინათ. ვიღაცა მიუგზავნა მერე თომამ, როგორც გვიან გავიგე, ფული გადაუხადა და ის საწოლები გამოისყიდა. ვერც ვერაფერს ამბობდა უბედური, დასაწვევლია მაგის და, ქართველების ჯიშს რო ამრავლებსო, ბურტყუნებდენენ მეზობლები. ხმას ვერ იღებდა თომა. რამე რო ეთქვა, იცოდა, ოსები რა დღესაც დააყრიდნენ. იმ სოფელში, უფრო სწორად ნასოფლარში, რომელიც საგულდაგულოდ დაეწვათ ოსებს, ისე რომ ერთი ბოსელიც კი არ დაეტოვებინათ, რაღაცა მეცნობოდა, რაღაცას ვიხსენებდი და ვერც ვიხსენებდი, დავფიქრდი, მაგრამ ამაოდ, თითქმ წყვდიადი გადაკვროდა ჩემს ტვინს. თუმცა, რა უნდა გამეხსენებინა, გადაბუღულ-დაცარიელებულ სოფელში, რომე-

ლიც სიკვდილის ლუქმად ქცეულიყო. რა ეშ-
მაკმა წამომიყვანა, ახლა უკვე სმამაღლა
ვთქვი, ისე რომ ფელომაც გაიგონა და ბათი-
რამაც. შემომხდეს, ვერც ვერაფერს მიხვდნენ
და არც არაფერი უთქვამთ, იარაღები გადმოა-
ლაგეს, ძალაყინები, სვარების აპარატი, ბათი-
რამ ალაყაფის კარი მარტოდმარტომ ჩამოხსნა,
ფელო ლილინებდა და პრაოდებს შლიდა, რო
სვარება ჩაერთო. ვგრძნობდი, რო დამცქეროდა
ბებიაჩემის სული და მსაყვედურობდა, „ნაოხა-
რი რა ეშმაკად გინდა, შვილო, გამწარებული
ხალხის ქონებას ხელს ნუ ახლებ, ეგ ცოდვა
არასოდეს არ მოგასვენებსო!“ მართალი იყო
ცხონებული, მეც ეგრე გამზარდა, არასოდეს
არაფერი მომიპარავს, არასოდეს სხვისი არა-
ფერი მიმითვისებია და ეხლა რა მომივიდა.
რადაცამ მიბიძგა... შევედი ეზოში, დამწვარი
აიგნის რკინის ბოძებზე ჩამოკონწიალებულ
ჟოლოპის ბუდეს საშინლად ახრჭიალებდა
დაბლობიდან წამონაბერი ნიავი. ამ ხრჭიალის
ხმაზე შეიგრძნობდი ომის საშინელებას, სიკვ-
დილის სისასტიკეს. რა მოხდა, რა უბედურება
დაგვატყდა, ვის რაში სჭირდებოდა ეს გავერა-
ნებული ნასოფლარები, სადაც რამდენიმე წე-
ლიწადში ბალახ-ბულახი გადაივლიდა და ქვე-
წარმავალი დაიბუდებდა, რაში გაცვალეს ჩვე-
ნებმა ლვიძლი ნათესაობა, ნასოფლარებში? გული
მეწვოდა, წარმომედგინა, იმ ხალხის გულში რა
ხდებოდა, ვინც აწყობილი ცხოვრება დატოვა

და ეხლა ცარიელ-ტარიელები სადღაც იყვნენ
შეუარებულები. მზის სხივი იჭყიტებოდა გა-
მომწვარ სარდაფში, ფრთხილად გადავდგი ნა-
ბიჯები, ხრაშა-ხრუში დაიწყო ფეხქვეშ დამწ-
ვარმა და დალეწილმა ჭურჭელმა. დვინობის-
თვის მზის სხივები სცემდა ჩრდილოეთ კე-
დელს, სადაც ბუხარი ჩანდა. ბუხრის თავზე კი
ვეება ჯვარი იყო გამოსახული, ფეხი წამოვკა-
რი რაღაცას, ძლივს შევიკავე წონასწორობა,
დავიხედვ, ნამწვი ეყარა მწკრივად ჩარიგებულ
ქვევრებზე, გვერდით კი გამურულ-გაჭვარტლუ-
ლი საწნახელი მიმზერდა დაობლებული თვა-
ლებით, რომელმაც ამ სახლთან და მარანთან
ერთად დაასრულა სიცოცხლე, სადაც აღარა-
სოდეს აღარ დაიწურებოდა დვინო, რომელიც
სიცოცხლით ავსებდა ერთ დროს ამ დარბა-
ზივით მარანს, დაშუშხულს, დადუმებულს. ახ-
ლოს მივედი, ჩრდილოეთ კედელთან მზის სხი-
ვით განათებულ ბუხარს და ჯვარს დავაკვირ-
დი, გარედან მოისმა რაღაც უცნაური ჟღრია-
ლის ხმა, მერე რკინის ბოძი დაეხეთქა რაღა-
ცას და მივხვდი, რო ფელოს უპვე დაეწყო ხე-
ივნის მილების აჭრა. ვიდექი ჯვრის პირისპირ
და ვხვდებოდი, რო ეს არემარე და მარანი უც-
ხო არ იყო ჩემთვის. მე აქ ნაქეიფარი ვიყავი,
ღმერთო, ღმერთო, მართალია, თავში შემო-
ვირტყი ხელები, გამახსენდა და თითქო ცხელი
ლავა ჩამედვარა სულში. აქ სადღაც ვიჯექი
მაშინ, ცრემლები მომაწვა, ნამდვილად ეგრეა,

წყვდიადი გადაეცალა მეხსიერებას, ალბათ
ათოოდე წლის წინ ვიყავი აქ. ეს იყო ჩემი გარ-
დაცლილი მეგობრის – მელსის ნათესავის
ოჯახი.

გული

თვალი რო გამოვახილე, ვერ მივხვდი, სად
ვიყავი, უაზროდ მოვატარე კედლებს მზერა,
ახლადშედებილ კედლებს. ჩემს სახლს არ
ჰქონდა, სარქმელთან ოდნავ იყო გაწეული
ფარდა და უფოთლო, გალოპრილი ტირიფი
მოჩანდა, რომლის ტოტებზე ცრიატი ცა იყო
ჩამოძენდილი. ჭერსაც ავხედე, უდიმდამოდ ანა-
თებდა მოვერცხლისფრო ნათურა. სინათლეს
მივაშტერდი და მაინც ვერ აღვიდგინე, სად ვი-
ყავი ან აქ საიდან მოვხვდი, დედა, გადაირევი
კაცი, სიზმარში ხომ არა ვარ, კაცო?! - ვკითხე
ჩემს თაგს, სხეული შეგანძრიე, ტუჩზე გიყინე,
არა სიზმარი არ იყო, თვალი დავხუჭე, გავი-
რინდე. ფიქრის ბნელ ბილიქს გავუყევი. ვიარე,
ვიარე და ააა, გამახსენდა, ეს რა ჯანდაბა
მომივიდა, სავადმყოფოში ვარ. აგერა სხვა სა-
წოლებიც, ცარიელი საწოლები, რომლებიც
როდის დაცარიელდა, არ ვიცი. ისევ მოვავლე
თვალი ნარინჯისფრად შედებილ პალატას, მუ-
ყაოთაბაშირიან ჭერსაც ავხედე, ნათურას მი-
ვაშტერდი და ყველაფერი აღვიდგინე. თუმცა,
რაღაცნაირად დავითორგუნე, არ გამიხარდა, რო
ცოცხალი ვიყავი. ვიწერი ესე, გაყურსული,
მტკივანი გულით, საიქიოდან გამოტაცებული
და წამოსახვაში ვხედავდი, როგორ წაგლიჯეს
თეთრხალათიანმა ადამიანებმა თეთრსამოსიან
არსებებს ჩემი თავი. დაანებე თავი, შვილოსა,

გაუშვი, რა გინდა. ტირილი, ვაი – უშველებელი. გადარჩება? გადარჩება? რაღაცა გამჭვირვალე ბალიშს ვიყავი მიერთებული და თვალდახუჭული მივდიოდი ნელ-ნელა, უსხეულოდ. ეს ჩემები, ჩემი ოჯახის წევრები კიდე, სახლში რო ყელში ჰქონდათ ამოსული ჩემი ნევროზი და გიური ქცევები, გაუთავებელი ლაპარაკი ომზე, დაღუპულ მეგობრებზე და რო ვატყობდი, მოვბეზრდი ყველას, ეხლა გიუებივით დარბოდნენ დერეფანში. დედაჩემის ხმა ყველასგან გამოირჩეოდა, გეგონება უკვე შვილის ცხედარს იყო დამხობილი, ისე ბდაოდა. შვილი გადამირჩინეთ, შვილი გადამირჩინეთო და სახლ-კარს გაგყიდი, ყველაფერს გაფყიდიო! ან რა ჰქონდა ამ უბედურს გასაყიდი, ერთი კუკუშკა სახლი გვქონდა, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, ჯერ გვქონდა სამოთახიანი. გაგვიჭირდა, ცხონებული მამაჩემის ნაწვალნადაგი იყო, წელებზე ფეხს იდგამდა, რო როგორმე ეს ბინა მიგვედო, მთელი ცხოვრება რო ქირით გაატარა და ამ ბინას უცდიდა, გვენანებოდა, მაგრამ გვიღრენდა კუჭი, კაპიკიანი რო არ შემოგვდიოდა არსაიდან. ეს საცოდავი დედაჩემის ჭრა-კერვა ვიდას უნდოდა, ან ჩემი დის ქოთნის ყვავილები, მთელი სახლი მოფენილი იყო ქოთნის ყვავილებით, არ ეყიდებოდა. გაგვიდეთ და ვიყიდეთ ოროთახიანი გარეუბანში, ფული დაგვრჩა. ვალები მოვიშორეთ და სული მოვითქვით, თუმცა იმ სამოთახიანში

დარჩა ჩვენი ბავშვობა, ჩვენი მოგონებები და ჩვენც იქ დავჩრით. ეგ იყო, რო სხეულით სხვა-გან ვიყავით, სხეულით დავცილდით მამაჩემის ნაამაგარ სახლს. ზღვა კოვზით დაილიაო, ხო გაგიგია, აეგრე იყო ჩვენი საქმე. ისევ შემოგვე-ლია ფული, დავსხედით ერთმანეთის პირისპირ და გაგმართეთ ბჭობა – მე, დედაჩემმა და ჩემ-მა დამ, როგორ შევბმოდით შიმშილს. ეკვ, წა-მოზრდილი ბიჭი ვიყავი და რაღაცნაირად გვრძნობდი პასუხისმგებლობას, კაცი რისთვის არის სახლში, თუ არაფერი შემოიტანა. უხსო-ვარ დროში, როცა ხეიარიანად ლაპარაკიც არ იცოდა ადამის მოდგმამ, ნადირობდა მამაკაცი და ნანადირევი მოჰქონდა შინ, სადაც დედაკა-ცი უცდიდა. რა მომენადირებინა წიწლიკანა ბიჭს. ერთი ხანობა უბნის ბიჭებმა ამიყოლიეს, დაძვრებოდნენ ჯიბეებზე, მაგრამ ისევ გამო-მაგდეს, არ ვიყავი ამ საქმისთვის მოწოდებუ-ლი. რა მექნა, ისევ დედაჩემმა წამოჭრა აზრი - გავყიდოთ ბინა და ერთოთახიანი ან ოთახნა-ხევრიანი ვიყიდოთო, გავყიდეთ და კიდევ უფ-რო გარეუბანში გადავსახლდით ეგრე ბოხჩა-გამოკრულები, მომთაბარეებივით, თუმცა მაინც იქ დავრჩით, პირველ ბინაში. ისევ იქ ვიყავით, ქოთნიანი ყვავილები გააჩუქა ჩემმა დამ, არ ემეტებოდა ცხადია, მაგრამ რა ექნა, იმ ციცქა ოთახში რო ეს ყვავილები გადაგვეტანა, ჩვენ სადღა მოვთავსდებოდით. ამ ბინის გაყიდ-ვას პირდებოდა დედაჩემი ექიმებს ჩემი გადარ-

ჩენისათვის, მე ბუნდოვნად მესმოდა მისი ხმა - ყველაფერს გავყიდი რაც მაბადიაო. რა გვუბადა, ამ ჩემმა ნევროზმა და ნევროზის წამლებმა შეიწირა ყველაფერი - ნიკოლები, ოქროული და ოქვენ წარმოიდგინეთ, დედაჩემის კბილებიც კი, პო კბილები. ოქროს კბილები დასცვივდა საცოდავ ქალს და ცხვირსახოცში გამოკრულს ინახავდა, მაგრამ მერე, წამლების ფული რო შემომელია, დედაჩემის კბილები გავყიდე და ხო წარმოგიდგენიათ, რად მიღირდა ეხლა ეხეთი სიცოცხლის შენარჩუნება. ჩემთვის სულერთი იყო, თუმცა სულერთი კი არა, უფრო სიკვდილი მინდოდა, ერთი-ორჯერ თვითმკვლელობაც ვცალქ, თავის ჩამოხრჩობა, დიდის გულმოდგინებით ჩამოვაბი თოკი, მაგრამ ჩემმა სიძემ (ჩემი და სულ ორიოდე თვის გათხოვილი იყო), სულზე მომისწრო, რადაც-ნაირად მინდოდა, რო საკუთარ თავზე მეყარა ის ჯავრი, რაც ომიდან ჩამომყვა, საკუთარი თავისთვის გამესწორებინა ანგარიში, რადგან ის ვერ გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა, როგორც ქართველ მამაკაცს, ომელიც მოში იყო და ძმაკაცები დაეღუპა. ეს თუ დამამშვიდებდა, რო ჩემივე ხელით მოვუდებდი ჩემს თავს ბოლოს და ყველაფერი დამთავრებოდა, შეამიანი მოგოგონებიც, სევდაც, ვარამიც ერთფეროვანი დღეები, ნერვოზი და გაუთავებელი ფიქრი წამლების ფულის შოვნაზე. ეს იყო მშვენიერი გამოსავალი, მე ისევ ომში ვიყავი. ომის განც-

დებში და ასე ვიქნებოდი ცხოვრების ბოლომ-
დე, სანამ ვისუნთქებდი, სანამ შუქი მექნებოდა
თვალებში. ომით დაღდასმული და გამორჩეუ-
ლი სხვა ადამიანებისგან, რა თქმა უნდა, ცუდი
გაგებით. მშურდა იმ ადამიანების, ვინც ომში
არ იყო ნამყოფი და ახლოდან არ ენახა სიკვ-
დილი, რომელმაც რატომდაც ჩემი ძმაკაცების-
გან გამომარჩია, დამინდო და ამით სამუდამო
სატანჯველი გამიჩინა. ჩემი ხელით დამახუჭი-
ნა იმ ბიჭებისთვის თვალები, რომლებიც გა-
დამთიელების ტყვიებს შეეწირნენ, რო არ ყო-
ფილიყო ომი, როგორი ადამიანი ვიქნებოდი-
მეთქი, ხშირად დამისვამს ჩემი თავისთვის კი-
თხვა, არ ვიცი როგორი ვიქნებოდი - ბედნიერი?
არ ვიცი, რა არის ბედნიერება და როგორ
ვთქვა, ალბათ ისეთი უნდა ვყოფილიყავი, რო-
გორიც ვარ, ცხადშიც და სიზმარშიც ჩემს ბი-
ჭებს ვეფერებოდი, თუთის დახუფული საკა-
ცებით ჩამოტანილ ბიჭებს, რომელთა დანახ-
ვაც აღარ ეღიორსათ მშობლებს. ვეფერებოდი,
ვფიქრობდი, მათთან ვიყავი, ვესაუბრებოდი და
ეს სიგიჟე ეგონათ ჩემებს, რომლებსაც მართ-
ლა მოგაბეზრე თავი, ალბათ ჩემი ძმაკაცების
ხსენებაც მობეზრდათ, მე კი სულ სისხლიანი
მქონდა ხელები, ჩემი ძმაკაცების ნატყვიარები-
დან მდორედ გამოსული, მერე კი შედედებული
სისხლით. დავდიოდი წინ და უკან. ჩემი გზა
იყო სახლიდან სასაფლაომდე, სათითაოდ ჩა-
მოვუვლიდი საფლავის ქვებს, საიდანაც ჩემი

მეგობრები შემომცექეროდნენ, მენანებოდა სიცოცხლე ჩემი თავისთვის, მე დავათრევდი ჯდანებით სავსე ჩანთასავით ამ ჩემს ნევროზიან ცხოვრებას, ისინი კი გაყინულები იწვნენ დაბლა, მიწის ქვეშ სამიოდე მეტრის დაბლა, თვალდახუჭულები, დამიწებულები, თფუი, რა გუთხარი ესეთ ცხოვრებას. რაც არის არისო, თან ხო არ უნდა გადაჰყვეო, ძმაკაცები მეც დამეხოცნენ ავარიაში, მაგრამ რა ვქნა, ცხოვრება გრძელდებაო, - ჩემმა სიძემ. რაც არის არისო, ადვილია სათმელად, ძმაკაცობა ან არსებობს ან არსებობს-მეთქი, - მოკლედ მოვუჭრი და ვაგრძნობინე, რო იქნებ უფრო მეტი ეფიქრა ავარიაში ჩახოცილ ძმაკაცებზე, დაფიქრდა, თუმცა რა ეწერა მისი გულის კედლებზე, მე რას გავიგებდი. ოჯახები დარჩათ ჩემ ბიჭებს, მაგრამ მე, მე რა კაცი ვიყავი, ერთი კაპიკის მიტანა არ შემძლო მათვის, რო ძმაკაცური ვალი მომეხადა. არ ჯობდა, თეთრხალათიანების მაგივრად თეთრსამოსიანებს წავევანე? რა თქმა უნდა, ჯობდა, ესინი კი უანგბადს მასუნთქებდნენ.

ისევ მოვავლე პალატას თვალი. სარკმელ-საც გავხედე. როგორი მოწევენილი ჩანდა ის საცოდავი ტირიფი. ზამთარს ერთიანად ჩამოქმიშვლებინა, ცრიატ ცას ასცექეროდა, უტყვად, უთქმელად. ფარდა მიშლიდა ხელს რო კარგად დამენახა. ისევ ვცადე გასსენება, როგორ მოვხვდი ამ დასაწვავ შენობაში. მერე და მერე,

უფრო კანთიელად ამოტივტივდა სასაფლაოს დაღმართი, გულის ძლიერი ტკივილი და ის შეგრძნება, თითქო ვიღაცამ ჩამიყო ხელი გვამში და მფეთქავი ორგანო ერთიანად ამომდლლიძა. მერე ბინდი მახსოვს, უცბად ჩამოწვა დაისლამე და სასწრაფო დახმარების ექიმებიც გაჩნდნენ, საიდან, ვინ მოუხმო, ნამდვილად არ ვიცი და ვერც გავიხსენე. კედლის იქით იყვნენ ჩემები, დედაჩემი, ჩემი და და ჩემი სიძე. საუბრობდნენ ჩემს მდგომარეობაზე. მე არ მეს-მოდა მათი საუბარი, მაგრამ ვიცოდი რასაც ლაპარაკობდნენ.

დედაჩემი – თვალებდაოსებული, მზერადა-ფერფლილი, საავადმყოფოში სულ დღენახევა-რი დაჲყო და ეს დღენახევარი ათ წელს უდრიდა.
– როგორი მდგომარეობაა ექიმო?

ექიმი – ორმოც წლამდე, დედაქალაქიდან ჩამოყვანილი კარდიოლოგი, შევერცხლილი თმებით, სიტყვაძუნწი, რომელსაც ეტყობოდა ნაცრისფერ მზერაში, რო მაინცადამაინც გულს არ უჩუყებდა დედაჩემის დარდით დარტ-ვილული სახე.

– ინფარქტია, მწვავე. გადაყვანა ჯერჯერობით არ შეიძლება, დაახლოებით ერთი კვირა უნდა დაჲყოს. მერე, როგორც კი ტრანსპორტირებას შეძლებს, დედაქალაქში, კარდიოლოგიურ კლინიკაში უნდა გადაიყვანოთ.

ჩემი და - დაწვებმილეული, ამოღამებული თაფლისფერი თვალებით, წაბლისფრად შეღწბილი თმებიდან მოუჩანს წლები, ანუ ჭაღარები, ესეც ჩემი ბრალია, ალბათ.

- ხო, გადარჩება ექიმო, არ დაგვიმალოთ, ეს ერთი ძმა მყავს.

ექიმისთვის სულერთია, რამდენი ძმა ჰყავს ჩემს დას.

ჩემი სიძე - ნერვიულად იმტვრევს თითებს, ხან ცოლს შეხედავს, ხან სიდედრს, ხან ექიმს.

- რამდენი პროცენტია გადარჩენის იმედი?
- ბოლოს მაინც პკითხა კარდიოლოგს.

- დოო გვიჩვენებს, მისი გული ისეთ მდგომარეობაშია, - ექიმმა ქაღალდის ხელსახოცი აიღო, დედაჩემი, ჩემი და და სიძე თვალებდაძაგრული მისჩერებოდნენ თეთრხალათიან კაცს, რომელიც თითქო ფოკუსის ჩატარებას აპირებდა. დაასველა ხელსახოცი, მერე ორივე ხელით ნელ-ნელა გაჭიმა და ქაღალდიც გაიღვა, ნელნელა გასცილდა ნახევარ-ნახევარი ერთმანეთს.

- აი, ასე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ინფარქტმა გაარღვია გულის კედელი, თუმცა მკურნალობის შედეგად, თუკი ხელს შეუწყობთ და, რაც მთავარია, თვითონ უნდა შეუწყოს ხელი, არა სიგარეტი, არა ალკოჰოლი, არა შრომითი დატვირთვა, ნერვიულობა ხომ არა და არა. არც მოგონებები ომში დაღუპულ

მეგობრებზე... თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ამ ადგილზე, - დამბალ, გაფხრეწილ ქაღალდს ჩამოატარა საჩვენებელი თითო – ნაწიბურს გაიკეთებს, ანუ შეხორცდება.

– რა შეახორცებს, ექიმო, თავი დაანებე მაგ სალფეტკსაც და ჩემებსაც, – დავიღრიალე, მაგრამ გაიგეს თუ არა, არ ვიცი. ჩვენები სასოწარკვეთილი თვალებით დასქცეროდნენ სველ ქაღალდს, ნაინფარქტალს.

ნათო

„აღსარება მინდა მამაო, აღსარება, მაპატიე, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რო ოდესმე ასეთ ჰქუაზე დავდგებოდი, როგორ გლანძლავდით, არასოდეს მიყვარდა მღვდლები, უკელა ანაფორიანი მეზიზდებოდა, ყველა მოძღვარი მძულდა, სადაც მოვხვდებოდი, სულ თქვენს ლანძღვაში ვიყავი, მდვდელი რა საწამებელია, მაგათზე აფერისტი და გაიძვერა ხალხი არ არსებობს-მეთქი, ის კი არა, ღმერთიცა მძულდა, არ ვიცი, ალბათ, იმის ბრალი იყო, რო სხვანაირ დროში გავიზარდე, მე მახსოვს გაკრეჭილი მდვდელი, რომელსაც მალით ამუშავებდნენ კოლექტივში ბრიგადირები, მე კი სკოლაში ჩამიჩინებდნენ, როგორ წარმოვიქმენით ადამიანები მაიმუნებისგან, სხვანაირად გავიზარდენით, მაგრამ ისევ თავის მართლება გამომდის, თავის მართლება, მე გავიზარდე, გავიზარდე, ჩემმა შვილებმა რა დააშავეს! ჩემმა ბიჭმა ბიბლია რო მოიტანა სახლში ეზოში, გადავუგდე, ალბათ, დროს ტყეილა ვაბრალებ, ცუდ დროს ჩემისთანა ცუდი ადამიანები ქმნიან, ვისაც არასოდეს უნდა დანაშაულის აღიარება. ამიტომაც წარიმართა ჩემი ცხოვრება საპირისპიროდ, მე სულ სხვანაირად წარმომედგინა, მამაო, ერთი ბიჭი მყამდა ამდენი გოგოების მერე, გავზარდე, ვასწავლე და ოცნებაში რო ვიყა, დიდი კაცი გამოსულიყო, მონასტერში წა-

ვიდა და მამა ცოტნე დაირქვა. მაპატიგ, მამაო, აგერ სადაცაა, სამუდამოდ გამოიკეტება ჩემი სახლის კარი და სასაფლაოს მღვმარება დაისადგურებს ერთ დროს ურიამულით სავსე ოჯახში, ჩემი გოგოები აქ ჩამომსვლელები არ არიან და ბიჭი კიდევ, ხომ გითხარით...“

აღსარების ტექსტს ადგენს გოგია, ასეთი რამ არასოდეს ყოფილა მის ცხოვრებაში, არ ყოფილა და როგორც აღსარების ტექსტშიცა თქვა, ვერც ვერასოდეს წარმოედგინა, რო თავის ცხოვრებას მარცვალ-მარცვალ ჩაუგაკლავდა მოძღვარს, რომლის ანაფორის ხილვაზე ერთ დროს ღიზიანდებოდა, თუმცა... ახლა ხვდება, რო ცხოვრება არასოდეს არავერს ეკითხება ადამიანებს, ის თავისი კანონებით მიედინება, გინდა გაჟყევი, გინდა არა. გოგიას წუთისოფელშიც მოხდა ის, რასაც ის არასოდეს ელოდებოდა. იცოდა რო, ბოლო დღეები იდგა, რამდენი - ორი? სამი? ხუთი? ეს არ იცოდა, მაგრამ ხვდებოდა, რო ბოლო დღეები იდგა და იმ ბოლო დღეებში დაინახა ცხოვრება ნამდვილი ფერებით, ისეთი ფერებით, როგორიც იყო, შეულამაზებლად, ბუნებრივად. წარმოსახვაში ხედავდა, როგორ მივიღოდა ხვალ მოძღვართან და ჩაბარებდა აღსარებას, ხელის გულზე დაუდებდა თავის ცხოვრებას, ხვალ ოლარს გადააფარებდა მოძღვარი გოგიას და მღვდელთმომულე კაცს ცოდვებს შეუნდობდა. ძნელი იყო მისთვის ყოველივე ეს, მაგრამ... ზა-

რის ხმა ესმოდა, ზარის ხმა და კიდევ ორმოც-დაათი წლის წინ გარდაცვლილი შვილის ზმანება არ ასვენებდა.

— ისე არ წამოხვიდე, მამა, ისე არ წამოხვიდე, გევედრები, მოძღვართან წადი, მოძღვართან... ბევრი რამე წაერეცხა ცხოვრებას, ბევრი რამ წაეშალა მეხსიერებიდან, მაგრამ ნათოს სახე ისევ ისე იყო, წამი გაყინულიყო ტვინის ხვეულებში და ის წამი ახსენებდა ჩვილ გოგოს, რომელიც ნაზი ხელებით თმებს უწერავდა მშობელს. დადად აჩნდა ორმოცდაათი წლის წინანდელი ამბავი... რამდენ ათას დღეს გაევლო... ერთი სურათი მაინც გადამელო, რო ჩემს შვილებს თავიანთი სისხლიერის სახე დარჩენდათ. თავში იცემდა, ის წყეული დღე ახსენდებოდა, როდესაც მეოთხე გოგოს დაბადება ახარეს სამშობიარო სახლში, მის გვერდით იდგა კაცი, რომელსაც თხელმეტი წლის შემდეგ შეეძინა ასული და ორი სრულიად განსხვავებული სახე შესცემოდა ერთმანეთს. ღმერთზე განაწენებული გოგია, რომელსაც ბიჭის მოლოდინში მეოთხე გოგო შეეძინა და ის უცხო კაცი გაცისკროვნებული თვალებით, რომელიც ცას ასცემოდა და მადლიერების სიტყვებს უგზავნიდა ქვეყნირების გამჩენს. მერე ახსოვს, როგორ გადმოვიდა სახლში, მარანში შეიჭრა, ქვევრს ქუდი მოშვლიპა და ზედიზედ რამდენჯერმე გაავსო თიხის ჯამი საგერისთო ღვინით. დათვრა, გონებაამღვრეულმა

სახლზე იყარა ჯავრი და მიღეწ-მოღეწა იქაუ-რობა. შეშინებული ბავშვები კუთხეში მიყუჩუ-ლიყვნენ. გოგო, გოგო, გოგო! როგორ ელოდა მემკვიდრეს. არადა, იმ აფერისტმა ექიმბაშმა ტომრით მიატანინა კოლექტივში ნაშოვნი ფუ-ლი. ბიჭი უნდა დაბადებულიყო, წყალი არ გა-უვიდოდა, მაგრამ ვინ დაიბადებოდა, ყველაზე უკეთ გამჩენმა იცოდა. ასეთი შეურაცხყოფილი და დამდაბლებული არასოდეს ყოფილა გოგია. სიმწრისაგან დუჟი სდიოდა. ასე გაჩნდა ქვეყა-ნაზე გოგო, რომელსაც დებმა შეურჩიეს სახე-ლი და ნათო დაარქვეს. მართლა ანათებდა, ხატივით ბავშვი იყო, მაგრამ მისი ვარსკვლავი დიდხანს არ აპირებდა ცის კაბადონზე ყოფ-ნას. სულ რამდენიმე თვე უმზირა წუთისო-ფელს. ახსენდებოდა გოგიას, როგორ ეჭირა ექიმებისგან დათხოვილი ბავშვი, რომელიც თოთო ხელებით უწერავდა მამას შეჭადარავე-ბულ თმებს. სინდისი ქენჯნიდა, გარდაცვლი-ლი ბავშვის წინაშე დამნაშავედ გრძნობდა თავს, რა ეშმაკი დამეტაკა, რატო მოვიქეცი ასე, ანგელოზივით ბავშვი იყო, როცა დაძაბუ-ნებული გოგია მარანში შეაბიჯებდა და კუთ-ხეში ჩაგდებულ ქვევრს მოჰკრავდა თვალს, ამოიკვნესებდა, ის სიმთვრალე ახსენდებოდა, ღრიალი, ლეწვა-მტრევის ხმა, ეს ხმა მას ტანჯვა-წამებად გადაექცა, მაგრამ მეუღლე ისე გარდაეცვალა, არაფერი უთქვამს. ორმოცდაათი წლის შემდეგ გამოეცხადა შვილი და მოძღ-

ვართან წასვლა სთხოვა. ისევ ისეთი სახის იყო, ოქროსკულულებიანი, ცისფერი თვალებით, მზე ანათებდა მისი სახიდან. ერთი სურათი მაინც დამრჩენოდა, ერთი სურათი. მამა მოუკვდეს, როგორ ვატკინე გული, რა იცი, როგორი გოგო გაზრდილიყო. ბოლო დღეებში სასაფლაოზე მოუხშირა სიარულს. ჩაიმუხლებდა ციცქა, ძველებური მესრით შემორაგვულ შვილის საფლავთან და კვნესოდა. საფლავის ქვა რო ყოფილიყო, შვილის მაგივრად მოეფერებოდა, მაგრამ შვილის სურათი არ დარჩენოდა. ესეც არ იყო შემთხვევითი, ტანჯვით უნდა გაეხსენებინა, რო სისხლიერის სახე სამუდამოდ არ დაეკარგა. ჟანგიან ცივ მესერს ეფერებოდა გოგია და მხოლოდ მისი კვნესა, დაბერებულ-დაჭმუჭნული გულის კედლებიდან ამოსული კვნესა ისმოდა უსასრულო მდუმარებაში.

მაპატიე, მამაო, მაპატიე, ისევ ჩემმა შვილმა მიშველა, ჩემმა ანგელოზმა გამომაფხიზლა, ხო იცი, როგორი უღმერთო კაცი ვიყავი, ეპლესიას ახლოს არ ვეკარებოდი, ნათომ მიშველა, ჩემმა ნათომ, რა უსუსური ვყოფილვარ ცხოვრებასთან, ჩემი სურათებიდან თითქო სხვა არსება მიყურებს, დავპატარავდი, დაგრიავდი, წელში მოვიხარე, შემჭამა სიძერემ, გამომაცალა უვალაფერი, მაგრამ... რა მომაფიქრებდა, რა მომაფიქრებდა. რამდენიმე დღედაა, ვიცი და ვნახავ ბავშვს, ვნახავ და ბოდიშს მოვუხდი, შემინდე, მამაო. აღსარების ტექსტი არაერთხელ გაიაზ-

რა გოგიამ, ყალბი ცხოვრების წლები, დღეები,
საათები და წუთები დახტოდნენ მეხსიერების
ბნელ ბილიკებზე. იტანჯებოდა და კვნესაში
თენდებოდა. რამდენიმე საათი რჩებოდა აღსა-
რებამდე და მხოლოდ ესდა ამშვიდებდა.

სტუმარი უცნაური შეკვეთით

დიდხანს ვაკვირდებოდი სტუმარს, ვაშტერ-დებოდი მზერაში.

- არ გეტყობა, რო მკვლელი ხარ-მეთქი.
- კარგია, რო არ მეტყობაო, — ჩაიცინა, თუ შემეტყო, ხო ეგრევე დამიჭერებ და დამრჩება ოთხ-ოთხი შვილი მშიერიო.
- რა ხნისები გყავს?

ჯერ დაფიქრდა, ჭაღარაშერეული ორიოდე კვირის გაუპარსავი წვერი მოიქმედა. თითქო წლებს ითვლიდა, პასუხი გააჭიანურა.

- პირველი მეათე კლასშია, მეორე მეექვსე-ში, სულ ნაბოლარა წელს უნდა მივიყვანო სკოლაში.

თვალწინ დამიდგა მისი შვილები, როგორ ელოდნენ მამას, რომელსაც საჭმელ-სასმელი უნდა მიეტანა და დაეტურებინა. ისევ თვალებში შევხედე, სადღაც შორს იყურებოდა, რას ფიქრობდა, აბა რას გავიგებდი, ფიქრობდა, ალბათ როგორ საქმეს შევთავაზებდი და რამდენს იშოვიდა. გუნებაში ალბათ მისაღებ გასამრჯელოს ანგარიშობდა.

- ცოლი? ცოლი სად მუშაობს.
- ირიბად შემოხედა: „რა გამომძიებელივით მეპყრობა, ვინ ეკითხება ან ჩემი შვილების წლოვანებას, ან ცოლი სად მუშაობს, მითხარი საქმე და მორჩა, ალბათ უნდოდა ეთქვა, მაგრამ რატომდაც აარიდა თავი ჩემთან შეკა-

მათებას. იფიქრა ალბათ საქმე არ დავგარგოო.

— ცოლი არ მყავს, — თქვა, ისევ შორს გა-
ქცა მზერა და სიგარეტს მოუკიდა.

— არც გყოლია? — რაღაც სულელურად მო-
მივიდა.

— აბა, შვილები საიდან მეყოლებოდა, —
მწყრალად თქვა და თვალებით შემომიტია.

— გასცილდი? — ისევ ჩავეძიე.

— მომიკვდა. — თქვა და სევდა მოეძალა.

„მკვლელის სევდა“ უნებურად გავიფიქრე,
საინტერესოა, მკვლელებსაც რო აქვთ სევდა.

— რითი მოგიკვდა? — მეც დავწვდი სიგარეტს.

ამჯერად აღარ დაუძვირებია პასუხი.

— კიბო გაუჩნდა და ისე მალე გამომაცალა
ხელიდან, ხეირიანი მოსიუვარულებაც ვერ მო-
ვასწარი. უცბად ჩამოდნა, გამოხრა პირდაპირ
სენმა, ცოცხლად შეჭამა, ვერაფერი ვუშველე,
მასთან ერთად მეც დავიმარხე, ჩემს ცხოვრე-
ბას არაფრად აღარ ვთვლი, ბავშვებს მივუძღ-
ვენი, ეს პროფესიაც იმიტომ ავირჩიე, რომ მათ
არაფერი მოაკლდეთ.

— კი მაგრამ შენი შვილები, რომელთაც
მკვლელობით ნაშოვნი ფულით ზრდი, რას გე-
ტყვიან მერე.

— არ მაინტერესებს.

— ცოდვები... შენს შვილებს რო მოჰკითხოს
უფალმა, მერე...

— მე დმერთი არ მწამს, შესაბამისად, არ
ვფიქრობ ამ თემაზე.

- თავიდან არ გაგიჭირდა?
- ჩაეცინა. გამჭოლი მზერით შემომხედა.
- ასეთი სულელური კითხვები ჩემს ცხოვრებაში არავის დაუსვამს.
- პირველ ღამეზე ნერვიულობს ადამიანი და ქაცის მოგვლას როგორ არ განიცდი.
- ძალიან გთხოვ ამისენი, როგორი განცდა გქონდა. საქმეს რო მოგცემ, გარკვეულ თანხას ამ გულწრფელი საუბრისთვის უსათუოდ დაგიმატებ. ვიდაცას ხომ უნდა უთხრა ოდესდაც, მაგალითად მოძღვარს.
- მოძღვარს არა, ეხლა სწორედ მაგათ ჩავახედებ ჩემს ცხოვრებაში.
- მაშინ მე მითხარი, ფულზე, ხომ გითხარი, რომ არ იქნება პრობლემა, მე მწერალი ვარ და მაინტერესებს, რა განცდაა?
- ეს განცდა, დარწმუნებული ვარ შენც გქონია. თქვა და სიგარეტის ნამწვი ეზოში მოისროლა. ქათამი ხომ დაგიკლავს.
- ბავშვობაში დამიკლავს.
- მერე როგორი განცდა გქონია? – აქეთ დამიწყო დაკითხვა სტუმარმა, – რა ვიცი? – მხრები ავიჩეჩე, – დამნანებია, საშინელი დასანახია თავწაცლილი ქათამი რო ფართხალებს და სიცოცხლეს ემშვიდობება.
- ჰოდა, გამარჯობა, მეც იგივე განცდა მქონია, როცა მომაკვდავ კაცს დასცქერი და გრძნობ, როგორ ეთხოვება შენი მსხვერპლი აქაურობას, კარგი სანახავი როგორ იქნება.

მეც მინანია. ისე მინანია, რო ორკვირიანი პირ-დებინებები მქონია, დედის ხსენი არ შემრჩენია. მართალია, ღმერთი არ მწამს და გვეთი რადაცეებისა არ მჯერა, მაგრამ მთელი თვეების განმავლობაში მოსვენებას არ მაძლევდა მოკლული ადამიანი და უბედურება ის არი, რო ამას ვერ შეცვლი. სიზმრები შეკვეთით არ არის. მერე და მერე უფრო იოლია. ეს უკვე პროფესიად იქცევა და თანდათან გიქრება ეს საშინელი შეგრძნებები, აღარც პირდებინებები გაქვს. ეს არის და ეს... და ერთს გთხოვ, არ მინდა ამ საუბარში დამატებითი ანაზღაურება და მეტი არც არაფერი მკითხო, ჯობია, რო საქმეზე გადავიდეთ. მე შენს გარდა ბევრი ადამიანი მელოდება. ისინიც შენსავით გზის გაწმენდას ითხოვენ, – ჩაიცინა და ისევ მოუკიდა ახალ სიგარეტს.

- რა გზის გაწმენდას?
- ცხოვრების გზის გაწმენდას. ადამიანები ერთმანეთს ხელს უშლიან, რა ვქნა, უშლიან და რო არ დაუშალონ, მეც არ მექნებოდა საქმე. არც აქ ვიქნებოდი და იმდენ სისულელეს არ ვილაპარაკებდი, რამდენიც მათქმევინე. მიამიტი, ალალგულა მკვლელი ვარ, მოკლედ, და-ვიწყოთ?
- დავიწყოთ, – ვთქვი და ჩავფიქრდი, გაწყვეტილი მძივივით მიმობნეული სათქმელი შეგაგროვ-შევაკოწიწე.

* * *

— ესეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია. — თქვა გაოცებულმა და ისე მიყურებდა, ლამის თვალები გადმოსცვივდა. ხან სურათს დახედავდა, ხან ისევ მე მომაჩერდებოდა.

— გადაირევი კაცი, რას არ ნახავ ცხოვრებაში.

— იქნებ გეშლებათ რამე?

— რას ქვია, მეშლება! — ხმა გავიმკაცრე და გავტრაზდი. დავიდალე, აღარ შემიძლია, ისეთ ამბებში ვარ გახვეული, სახლიდან გამოსვლა არ მინდა. არავის დანახვა, არავისთან საუბარი. ეს იცი რას ნიშნავს?

წყალი მოგსვი, სტუმარს დავაკვირდი. შევატყე რო დამაჯერებლად გამომდიოდა. იჯერებდა ჩემს ნათქვამს. სიბერე შემეპარა და ასეთი რამე არავის გაუბედია. ხანდახან ეჭვიც კი მეპარება, ის უპატრონო კაცი, ვისაც ორეული დავარქვი, მართლა ბუნებრივად მგავს ასე თუ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, ან თუ გაიკეთა, რაღა მაინცადამაინც მე ამირჩია, დამსგავსებოდა სხვა ვინმექს, მაგრამ მე მგონია, ჩემი მოძულე მწერლების ნამოქმედარი უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, მათაც დაუფინანსეს ოპერაცია.

— კი, მაგრამ მკვლელობა... ეს ხომ მარტივი მისახვედრია, რო თქვენი გაკეთებული იქნება.

— არც ისე მარტივი, როგორც შენ გგონია. სალიტერატურო ელიტას ვეკუთვნი, არა მგონია,

ჩემზე ეჭვი მიიტანონ, ის კი არა, შეიძლება, ეხ-
ეც ჩემი პოპულარიზაციისთვის გამოვიყენო,
საზოგადოებაში ჩემი ხადხი ხმას დაარხევს,
რომ ჩემი მოკვლა უნდოდათ და ორეული კი
შერჩათ ხელში.

— ასეთი მსგავსება... — ჩაილაპარაკა სტუ-
მარმა, — სიზმარში მგონია თავი.

— ცხოვრება სიზმრებისგან შედგება, ჩემო
კარგო...

— საოცრად გგავთ.

— მარტო მსგავსება? შენ ჩაცმის სტილი უნ-
და ნახო, ან ლაპარაკის მანერა, ალი-ქვალი მე
ვარ, ვერ გაარჩევ, ეტყობა, რო ამ საქმეს მი-
უძღვნა თავი, უბედურება ის არის, რომ სახე-
ლი და გვარიც ჩემი დაირქვა და ჩემი ერთ-ერ-
თი ნაწარმოები, რომელიც პენ კლუბის პრემია-
ზე იყო წარდგენილი, თვითონ გამოაქვეყნა. გა-
მომცემლობაში ლიტერატურულ კონსულტან-
ტად მიმიწვიეს და იმანაც ერთ-ერთ გამომცემ-
ლობაში დაიწყო მუშაობა. ამიტომ გადავწყვიტე...

— სხვა გზა არ დამიტოვა, უნდა მოკვდეს
და ერთხელ და სამუდამოდ დავისკვნებ. ფურ-
ცელი გაფუწოდე, იქ ეწერა იმ გამომცემლობის
მისამართი, სადაც ჩემი „ორეული“ მუშაობდა.

* * *

XXI საუკუნე ისეთი საუკუნეა, როცა ადა-
მის ძემ აღარ იცის, რა უნდა გააკეთოს, მიი-
წევს და მიიწევს ბაბილონის გოდოლი მაღლა,

დრუბლებისკენ და ეს ყველამ მშვენივრად იცის, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დაინგრევა, ნაცარტუბად იქცევა, კითხვებიც კი უწინდებათ უკვე... ხვალ რა იქნება? როგორც ჩემმა შვილიშვილმა მკითხა ერთხელ, გამოდის და გამოდის უკანასკნელი მოდის მანქანები, ნაირნაირი დიზაინის, რაღა უნდა გამოიგონონ ეხლა, ალბათ, ისეთი მანქანები იქნება, ცაში რო დაუწყებენ ფრენას. აღარ იცის რა ქნას ადამიანმა. ისე გაირთულა ცხოვრება, რომელიც წესით უნდა ყოფილიყო მცენარესავით მარტივი და გადასარევი, გაირთულა და აბურდული ძაფივით ვეღარ გაგიგია თავი და ბოლო. რაღაცნაირად მინდოდა, რო წერტილი დამესვა ჩემი ცხოვრებისთვის, რომელიც მოსაბეზრებელი, მოქანცველი გახდა. რასაც ვაკეთებ, ვიცი, რო საშინლად იკრძალება ეკლესიისგან და მეც იმ არსებებს შევუერთდები, რომელთაც ქრისტეს მსახურნი წესსაც არ უგებენ, მაგრამ ჯანდაბას... ასეთი აღსასრული ავირჩიე და, ვფიქრობ, თავისუფალი ვარ. არ მინდა, როცა ყველა ელოდება შენს სიკვდილს და ისე წახვალ, ოდნავადაც რო არავინ გაოცდება. ამიტომ XXI საუკუნე, რაკი აღმოჩენების საუკუნეა და შეძლილი ადამიანების სამყაროდ ითვლება, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვთლი, მოვიფიქრე ასეთი რამ: გამოვიგონე ჩემი ორეული, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, დავიქირავე მკვლელი, თანამედროვე ენით რო ვთქვათ, ქი-

ლერი და მივუჩინე იმ ჩემს ორეულს, რომელიც ვითომ გამომცემლობაში მუშაობს, სინამდვილეში კი ჩემს თავს მივუჩინე. ჩემი სურათი ჯიბით დააქვს ჩემი წიგნების პონორარით დაქირავებულ კაცს და გაოცებული აკვირდება იმ არსებას, ვისაც მე მივუჩინე ანუ მე, ეძებს ხელსაყრელ დროს, რომ დაუმიზნოს და ჩააძლოს. საინტერესო ის არის, რო ფული სანახევროდ მაქვს მიცემული და იმ ნახევარს რა ვუყო, მკვლელის ვალის წაყოლადა მაკლია. იმის შვილების ლუქმას როგორ გავიყოლებ, გადაირევი, რაები აღარ ხდება XXI საუკუნეში, რომელსაც ერთი უცნაურობა მეც შევმატე.

დილა დაიწყო ჩვეულებრივად. მომაყარეს და მომაყარეს ახალბედა მწერლების ტექსტები, ვზივარ და კითხულობ, მაგრამ ვაი ამ კითხვას, ისე ველოდები საღამოს, თითქო რაღაც ახალი იწყებოდეს ჩემში, თუმცა კი არ იწყება, მთავრდება და რატომ ვარ ასეთ მოლოდინში, არ ვიცი, ვფურცლავ ტექსტებს. ყასიდად ვასწორებ, თუმცა არც ვკითხულობ, წარმოსახვაში ეზოში ვარ და ვაკვირდები სამი შვილის მამას, ცოლმკვდარ კაცს, რომელიც ერთი კვირად დამდეგს. კვირის ბოლომდე აქვს ვადა მიცემული, დღეს იწურება, თუ არ შეასრულა, ფულს ვერ მიიღებს. არადა, რა უნდა ერთი ჩვეულებრივი მწერლის მოკვდას - ერთი გასროლა, ჰაა, ჰაა, თუ ჯერ არშობილი ლიტერატურული გმორები სიკვდილს გაუძალიანდნენ, მეორე ტყვია

დაასრულებს ყველაფერს და როგორც ფეხმძი-
მე ქალის მოუდღევებელ მუცელში მკვდარი
ჩვილი, რომელსაც ჯერ არ ეხილა ზეცის-
ქვეშეთი და (ჩემი აზრით, ბედნიერიც იყო),
ჩემი ლიტერატურული გმირებიც ისე ჩაიხოცე-
ბოდნენ და ჩაიყინებოდნენ ტვინის ხვეულებში,
სადაც შიშხინით შესრიალდებოდა მაყუჩიანი
პისტოლეტის ტყვიის გულა. ყველა მატყობს,
რო ვერა ვარ კარგად, ხან რას მომთავაზებენ,
ხან რას. ყავა, ჩაი, ტკბილეული, რაღა ჯანდა-
ბად მინდა. საათს შევცქერი, ბოლო დღე
დამდება, ვგრძნობ რო ასეა. არასოდეს შემო-
ვალ ამ შენობაში და ეს ტექსტებიც ბოლოა
ჩემთვის, მერე ატყდება ერთი ამბავი, რო გა-
მომცემლობის ეზოში მოკლეს გამოჩენილი
ქართველი მწერალი, ამა და ამ პრემიის ლაუ-
რეატი, ამა და ამ ორდენის კავალერი, ამდენი
და ამდენი წიგნის ავტორი, ამიტომ, ეს გაუ-
გებრობა რო თავიდან ავიცილო, ტექსტები მივ-
წიე გვერდით, პატარა ფურცელი მოვხიე და,
ალბათ, უკანასკნელი სტრიქონები დავწერე:
„ეს არ არის მკვლელობა, მით უმეტეს შეკვუ-
თილი მკვლელობა, ყველაფერი ჩემი ნებით
მოხდა, ცოტა უცნაურია, მაგრამ უცნაურობე-
ბის მეტი რა არის ამქვეყნად. მე თვითონ დავი-
ქირავე მკვლელი და, თუ რატომ გავაკეთე,
არავის საქმე არ არის. ის კაცი რა გაუგებრო-
ბაში ჩავაგდე, ეს საიდუმლოც თან მიმაქვს,
ქილერს ნუ დაუწყებთ ძებნას“. აბდაუბდა ბა-

რათი კი გამოვიდა, მაგრამ არიან ისეთი კატეგორიის გამომძიებლები, რომელთაც ამის გაშიფრა არ გაუჭირდებათ. მოკლედ, საღამოს ექვსი საათია, თანამშრომლები ნელ-ნელა გაიკრიფნენ შენობიდან, შვიდი დაიწყო, გიორგობის დაისღამე დგება, ნელ-ნელა მოადგა ჩემი სამუშაო კაბინეტის ფანჯარას სიბნელე. მიჭირს ადგომა, იმიტომ რო ვიცი, რაც მელოდება, იქნებ გადამეფიქრა, დავურეკავ მკვლელს და ვეტყვი, რასაც ვატყუებდი, რატომ მოვიფიქრე ასეთი საშინელი რამ. ჩემს ნაწერებში ქვეყნის გამჩენი არასოდეს დამიგმია, უფალო შემიწყალე! რა ეშმაკი შემიძვრა. ვაწვალებ ტელეფონს, ჩამოვყევი ნომერს, სადაც კი ერთი სანთელი დამინთია, თითქო ჩემს გარშემო აკიაფდა ყველა, გაჩახჩახდა ოთახი, ალბათ მეჩვენებოდა. ენთო კელაპტრები, მომცრო სანთლებიც, უცნაურად ბრწყინავდა ოთახი. ისევ ავიღე ტელეფონი და ვცადე სამი შვილის მამასთან და ცოლმკვდარ კაცთან დაკავშირება. უნდა მეთქვა, რო გადავიფიქრე. ტელეფონი გამორთული ჰქონდა და იტყოდი, ყინულიანი წყალი თავზე ჩამომავლო ვინმემ, არავინ დარჩა შენობაში, ბოლო თანამშრომელიც წავიდა.

— არ მოდიხართ, ბატონი? — მკითხა ვიღაცამ, — ცოტაც დამრჩა და ბარედამ მოვამთავრებ. — ვუპასუხე.

მართლა ცოტადა მქონდა დარჩენილი. ისევ ვცადე დარეკვა, ისევ გამორთული ჰქონდა. რა

ვქნა? - ვკითხე ჩემს თავს. რო გავიდგ, უპვე ვიცი რაც მოხდება, წუთები დათვლილი მაქსს, არ გავიდგ, მაშინ აქ უნდა გავათოო დამე. არადა ვიცი, რო ეზოში, ვეება ტირიფებთან ჩამუხლული მელოდება ჯიგარი, როგორც კი ეზოში გავალ... მოვიფიქრე - შენობის კარს გავადებ თუ არა, დავუძახებ, დავუძახებ, რო არ მესროლოს, მერე კი ყველაფერს ვეტყვი და ფულსაც გადავუხდი, ასე არ ურჩევნია? თუმცა მას რა ურჩევნია, ეს თვითონ იცის. ვხვდები რო ვაცდენ, ხალხი ელოდება თურმე, ვისაც გზის გაწმენდა ჭირდება, მე კი ჩემი გზა ისევ ჩემგან უნდა გამეწმინდა...

მძიმედ დაგვშვი კიბეზე, არასოდეს დამითვლია საფეხურები, ეხლა ვითვლი, ოცდაორსაფეხურიანი კიბე ყოფილა. უაზროდ ვჩურჩულებ, კარის სახელური ჩამოვწიე, ეზოში გავიხდე, სასაფლაოს მდუმარებაა, რა მალე დაუძინია ქალაქს. ალბათ, მე მეჩვენება. „არ ისროლო, გეხმის? არ ისროლო მეთქი, მოგატყუე, მე არანაირი ორეული არ მყოლია!“ – ვუყვირი. ვგრძნობ, რო სადღაც იქვეა ჩამალული, მაყუჩმორგებული იარაღი გადატენა, გამოექანა ჩემკენ და გასროლის ხმაც გავიგე, ვიგრძენი, როგორ გაიარა მარჯვენა საფეხქლის მხარეს ტყვიამ და დავეცი. სწრაფი ნაბიჯებით მომიახლოვდა და თავზე დამადგა. არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული, რო მკვდარი ვიყავი და საკონტროლო გასროლისთვის ხელახლა დამიმიზნა, მე

უკვე ბოლო წამები მედგა. ჯერ ისევ ცოცხალი ვიყავი, თუმცა ვედარ ვახერხებდი თქმას, რო აღარ ესროლა. წარმოსახვა ჯერაც არ ჩამქრალიყო, მკვლელს უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორ მივიღოდა დამკვეთოან, ანუ ჩემთან დარჩენილი ფულის მისაღებად და ამაყად ეტყოდა, დავალება შესრულებულია. თუმცა მისი შვილების ვალი მაინც წამყვა, სად? ალბათ, ჯოჯოხეთში, რომელიც ჩემს მოთხოვობებში ხშირად დამიხატავს, რა თქმა უნდა, ფანტაზიის წყალობით.

ტყვევები

ცხონებული პაპაჩემი გამახსენდა. თვალწინ
დამიღვა მისი ამოღამებული თვალები, სიბე-
რის ბინდჩამდგარი. ერთავად ომის ამბებს მიყ-
ვებოდა. ბრძოლის ველზე დაღუპულ მეგობ-
რებს იხსენებდა. ხანდახან ცრემლიც აუბრწ-
ყინდებოდა ხოლმე. მისი მოგონებები მხოლოდ
ომს უკავშირდებოდა. თითქო სხვა არც არაფე-
რი ენახა. სისხლი, ვაება, დაჭრილი და დახო-
ცილი ადამიანები. სიკვდილის კალოზე გატა-
რებული სამი წელი, რვა თვე და წვიდმეტი
დღე... თითებზე ჩამოითვლიდა, ერთი დღე არ
დავიწყებოდა. სამი წელი, რვა თვე და წვიდმე-
ტი დღე, ცოტა ხომ არ არის კაცოო, მოდი,
მარტო ომზე ლაპარაკს გაუძელი და მერე
დამძრახე, მე კიდე, სად აღარ ვეგდე სადა, ამ-
დენი ხანი სიკვდილს შევცექოდი თვალებში.
მაგრამ არ ისურვა ჩემთან შეხვედრა იმ სა-
ტიალემ. ღმერთმა არ გაჩვენოთ, რაც მე ვნახე,
გამჩენმა დაგიფაროთ, შვილო. მე იმისთვინ
ვიბრძოლე, რო თქვენ კარგა იცხოვროთ და
მშვიდობიანათ იყოთო. რა იცოდა ცხონებულმა
პაპაჩემმა, რო გავიდოდა თოთხმეტი წელი და
მეც მასავით ომში მომიწევდა წასვლა, ოდონდ,
პაპაჩემისგან განსხვავებით, მე საქართველოში
უნდა მებრძოლა ქართული მიწის დასაცავად.
საფლავში ბორგავდა ხოლო პაპა: „ამას რას
მოასწრეს ბავშვები, ამას რა მომაფიქრებდა,

კაცო. მე სტალინგრადში ვიბრძოდი და რუსეთის მიწა-წყალს გერმანელებისგან ვიცავდი, ჩემი შვილთაშვილები კიდე ლიახვის ხეობაში იბრძვიან და რუსებისგან იცავენ ქართულ მიწა-წყალს“ — ალბათ, ასე იფიქრებდა ცხონებული, რომელმაც ბრძოლის ველზე სამი წელი, რვა თვე და ჩვიდმეტი დღე გაატარა.

* * *

— სამ დღეში დამთავრდება ომი, — მეუბნება ვაკო.

ჩამუხლული ვზივარ „აკოფში“, რომელიც იქნება ათიოდე წლის წინ გათხრილი, ალბათ, წინა ომის დროს და ესე დაგვხდა, ოდნავ ამოვსებული, თუმცა ბევრი არაფერი დაგვჭირვებია, ამოვასუფთავეთ, ამოვყარეთ, რაც მიწა იყო დროუმისგან ჩაყრილი და გამოგვადგა, რამდენი წელი იყო ესე, თითქო გული უგებდა მიწას, იცოდა, რო ომი განახლდებოდა და იმიტო არ შეიკრა პირი. გამოვთხარე, გამოვფუღრე მოთეთრო თიხამიწა, კენჭებნარევი და პატარა თახჩა გამოვიდა, სადაც სიგარეტი და სანთებელა შევინახე.

— ეე, შენ აქ ხო არ აპირებ დარჩენას, ვაუკაც? — მეუბნება ვაკო, — სამ დღეში-მეთქი, ხო გითხარი, სამ დღეში დამთავრდება ომი.

მივანებე თავი ჩიჩქნას. თვალებში შევაჩერდი ვაკოს.

— შენ რა ვანგასავით ლაპარაკობ, რა სამ დღეში, გახედე მაინც, დურბინდი ფეხებთან მი-ვუზდე, შემოდიან და შემოდიან. სამ დღეში...

— ხო არა გჯერა? — თქვა ვაკომ, — მოდი ნიძლავი, ხელი გამომიწოდა, რაღაც ისე ბავშვურად მოუვიდა, გამეცინა ჩემთვის, რა უნდა ამ კაცს ომში, სახლში უნდა იჯდეს და სათავ-გადასავლო წიგნებს კითხულობდეს. მერე, რაც ვიფიქრე, ხმამაღლა ვუთხარი. რა გინდა შენ ომში, სახლში უნდა იჯდე და ზღაპრებს კითხულობდე.

— პურ-მარილი გენანება? დამირტყი ხელი!

— ნეტა ყველაფერი კარგად დამთავრდეს და სუფრა დამენანება? მერე გალდავაც მობობდედა.

— რაო მეზდაპრემ, რა მინდაო? — ვაკოს გულისხმობდა.

მინაძლევდება, სამ დღეში დამთავრდება ომიო.

— რა ჯანდაბა იცის, რამდენ დღეში დამ-თავრდება, კრემლიდან დაგირევებს?

— ისეთი სიზმარი ვნახე, ისეთი, — კმაყოფი-ლებით ჩაილაპარაკა ვაკომ.

— ომი რო სიზმრებით მთავრდებოდეს... — წაიდუდლუნა ბაქარმა, რომელიც აქამდე „აკო-ფის კუთხეში თავისთვის იჯდა, ავტომატის მჭიდეებში გულდასმით აწყობდა ტყვიებს.

— ჰაერი! — უცბად დაიყვირა გალდავამ და უმალ დაიფანტა ვაკოს სიზმრებიც და ჩვენი ოცეულიც.

გავრბივარ, სად გავრბივარ არ ვიცი, ჯან-დაბაში, მოუსავლეთში. წესი წესია, როცა „პა-ერს“ დაიძახებენ, ეს იმას ნიშნავს, რო მტრის ბომბდამშენები შემოფრინდნენ და რაზმი უნდა გაიფანტოს, ზოგი საით გაიქცა, ზოგი საით, ბუჩქებში შევძვერი, გავინაბე, ცისქენ გავაპარე თვალი. „ეგეც ჩვენი სიზმრები“, - წავიბუტბუტე, და თვალნაოლივ დავინახე, როგორ გამოყვეს ლეგა ღრუბლიდან თავი რუსულმა თვითმფრინავებმა, რომელთაც გამაყრუებელი ხმა ჰქონდათ. ცხინვალის მისაღომებთან იდგა ჩვენი ჯავშანტექნიკა და მეგონა, რო ბომბებს სწორედ აქ ჩამოყრიდნენ, მაგრამ თვითმფრინავები სამხრეთისკენ დაეშვნენ. „თბილისისკენ წავიდნენ“, - ჩამესმა ყურში, მაგრამ ვინ დაიძახ ეს, ვერ გავიგე, წარმოვიდგინე ბომბდამშენებისგან აკლებული, კვამლში გახვეული დე-დაქალაქი და დაჭრილივით დავიკვნესე.

* * *

აქედან ორ ნაბიჯზეა ცხინვალი. დურბინდი არც მინდა, კანთიელად ჩანს საცხოვრებლები, ქალაქში რუსი სამხედროები დააბოტებენ და გრუსუნი გაუდიოთ 58-ე არმიის ტანკებს. ჩვენს წინ სასაფლაოა. ეს-ეს არის ჩაყუჩდა შეტაკბა. სროლა მინელდა. ჩვენი ოცმეთაური ზის და ცოფებსა ჰყრის.

- გიჟები ხართ, თქვენმა. ომი ის ხო არა გგონიათ პა, ყველაფერს თავისი წესები აქვს,

უაზრო სიკვდილი თუ გინდათ, წადით, ძმაო, პრობლემა არ არი, მაგრამ რა გამოვა მერე.

- დურაკები არიან.
 - ეე, შენ ცოტა მიაყენე და სიტყვები შეარჩიე, - წამოენთო გალდავა, - რას ილანძღები, ძმაო.
 - აქ უფროსი მე ვარ, რასაც ზემოდან მეტყვიან, ის უნდა შესრულდეს, არ მინდა ეგეთი რიჟა რაღაცები, ნუ გამომიხვედით ცოტნები და სერხეულიძეები, გეუბნებიან დაიხიე, უნდა დაიხიო, აქ ყველა საერთო გეგმით ვმოქმედებთ, გაიგე?
 - საერთო გეგმა... - წაიბუტბუტა გალდავამ, - ამ ნაბიჭვრებს მოდი და ზურგი აღრიყვ. გეგმა კაია.
 - მოკლედ, ესეთი რამე აღარ განმეორდეს, გასაგებია? ყველა თქვენგანზე პასუხისმგებელი მე ვარ.
- ოცმეთაურის და გალდავას შეხლა-შემოხლაში ჩვენც ჩავერიეთ და როგორც იქნა დავაშოშმინეთ.
- შუადღემდე ჩამიჩუმი არ ისმოდა. იტყოდი, რო მართლა დამთავრდა ომი და ახდა ვაკოს სიზმარი. ჩვენი ბრიგადელი ბიჭები მოვიდნენ, „სუხი პაიოკი” მოიტანეს. ნახევრად დანგრეული სკოლის შენობის გვერდით გაშალეს „სუფრა”, მაგრამ იტყოდი, რო ყველას კრიჭა გვქონდა შეკრული. ვაკო რაღაცებს ოხუნჯობდა, თუმცა არც მის ოხუნჯობას აქცევდა

ვინმე ყურადღებას. ამოღამებული თვალებით შევცეკეროდით ერთმანეთს. სკოლის სახურავჩა-მოქცეულ შენობასთან კაცი შევნიშნეთ.

— აქაურია? — ვკითხე ბაქარს.

მხრები აიჩეჩა, მერე შეა ხნის კაცს გასტვი-ნა და ხელი დაუქნია. მძიმე ნაბიჯებით მოგვი-ახლოვდა. იტყოდი დასახვრეტად მიჰყავოო, ტირილით პქონდა დაოსებული თვალები. გვი-ყურა, გვიყურა, ბიჭებმა საჭმელი შესთავაზეს, პირი არაფერს დააკარა. ეტყობოდა, კბილებით ეჭირა ნერვები, ბოლოს ვედარ გაუძლო, კვლავ აზლუქუნდა და ისევ დაბომბილი შენობისკენ გაემართა. ვინ იყო, მაინც ვერ გავიგეთ.

* * *

სიკვდილის წინ ყველა დაითხოვა მამაჩემმა. ვიდრე სულს მიქელ-გაბრიელს მიაბარებდა და ჯერ კიდევ გონება პქონდა, ღონეწარომეული ხელი ძლივს ასწია და მანიშნა, აქეთ ჩამომი-ჯექიო. ვერაფრით წარმომედგინა მშობლის სი-კვდილი. ალბათ ყველა ადამიანი ასეა, პგონია, რო მის ოჯახთან სიკვდილს არაფერი ესაქ-მება, მაგრამ ცხოვრებას თავისი წესები აქვს. ყველა ოჯახში ბუღობს სიკვდილი, ისიც ჩვენი ოჯახის წევრია თურმე. მამაჩემის წაქცევას კი ასე უცბად, თვალის დახამხამებაში რა მომა-ფიქრებდა. ამოღენა კაცი თუ ასე გატყდებოდა და დაჩაჩანაკდებოდა... ას წელს მიტანებული ბერიკაცივით ჩაკარგულიყო ლოგინში. კვდებო-

და მამაჩემი და ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე საშინელი, ყველაზე ჯოჯოხეთურო წუთები, მამასთან გამოთხოვება, მას ხომ ვეღარასოდეს ვნახავდი, მხოლოდ მოგონებებში იცოცხლებდა. ჩამოვუჯექი, შებლზე გადავუსვი ხელი და ცრემლები წასკდა, ვიგრძენი, როგორ უჭირდა სიცოცხლესთან განშორება. სიკვდილი არ უნდოდა. როცა ადამის ძეს გაუჭირდება, ხორციელად თუ სულიერად, ბევრჯერ ინატრებს სიკვდილს, მაგრამ ეს უფრო სხვათა დასანახად, ადამიანს თავისი თავი ყველაზე მეტად უყვარს. უბრალოდ, ვერ აცნობიერებს ამ სიყვარულს, თორემ გულის კუნძულში არასოდეს ნატრობს სიკვდილს. სიცოცხლე როგორიც არის, სწორედ ისეთსა აქვს ხიბლი. მისი ლუდლუდი ახლაც ყურში ჩამესმის. „შვილო, შენი მმის ჯავრი მიმდევს საფლავში, შენ უკვე დიდი ხარ, ცხოვრებას ვიცი ვაჟაცურად შეჭიდები, მაგრამ აი, შენი მმა, რამდენი წელია, თვალი არ დამიკრავს, წაიყვანა იმ ძალის ძუძუთი გაზრდილმა ქალმა და სად არი, არავერი ვიცი, უნდა მონახო, უნდა მოძებნო. ისე მივდივარ, იმ ბავშვის ნახვას ვერ ვეღირსე“.

ჩემს ხელში დალია სული მამაჩემმა.

* * *

- სიზმარია, კაცო?
- სიზმარი კი არა, რა ყველაფერი სიზმარი გგონია, თვალებში შემომხედვ.

შევხედე, შევაცქერდი, ის იყო. პო, ის იყო, რაღაც უცნაური სითბო ჩამიდგა გულ-გვამში, თავიდან ფეხებამდე დამიარა, გავთბი, ამ სითბოს ვერაფრით ვერ გადმოვცემ, თითქო მამაჩემი მიმზერდა, გარდაცვლილი მამაჩემი, ოდონდ ახალგაზრდული იერით. მამაჩემის ცეცხლი ენთო ჩემს ძმას თვალებში.

— როგორ გაზრდილხარ, — ჩავიბუტბუტე და თავი ვეღარ შევიკავე, ტირილი ამივარდა, ნიკაპი მიკანკანკალებდა. ღმერთო დიდებულო, რამოდენა ძმა მყოლია, რამოდენა, მე კიდევ, შენ გენაცვალე შენა, ჩავეხვიე, თვალცრემლიანი, სხეული მითრთოდა. ასე მეგონა, რო მამაჩემიც იქვე იდგა და ისიც ტიროდა ჩვენს შეხვედრაზე, თავზე გადავუხვი ხელი. გეხვეწები, აღარ წახვიდე.

— პო კაი, ნუდარ ტირიხარ, არ მიყვარს ეგეთი რაღაცები.

— არც მე მიყვარს, — ისევ ჩავეხუტე.
ძმას სხვანაირი სითბო პქონდა, სხვანაირი, ვისაც ძმა პყავს, მარტო ის გამიგებს. ძმის ფასი არაფერი ყოფილა ამქვეყნად, დავიზარდებით ეგრე უბედურად ცალ-ცალკე, ცხონებულ მამაჩემს ამის ჯავრი წაჰყვა საფლავში, ვიცოდი, რისთვისაც ბოლობდა უბედური, წამდაუწუმ გადაკარგული შვილისკენ გაურბოდა ფიჭრი, რა მიყო იმ მაიმუნმა ქალმა, როგორ დამინგრია ოჯახი, ბავშვი არ უნდა გამეტანებინა, არა, დედალი ვარ, ის ბავშვი აქ უნდა დამეტო-

ვებინა. აქ უნდა მყოლოდა. როგორ გაზრდიან ის ვერნები ისინი, რა ჭკუა-გონება ექნება, ვინ იცის. აგერა, ომი დაიწყო, იქნება ისე აურიონ თავგზა, რო ქართველებსაც ესროლოს, - სახე ეღმანჯებოდა სიმწრისგან უბედურ მამაჩემს.

- აღარ წახვიდე, მამას შენი ჯავრი წაჟუგა. ერთად ვიცხოვოთ, სახლი შეაზე გავყოთ. დავეტევით, თუ გინდა, სულ შენი იყოს, ოღონდ არ წახვიდე.

- აღარ წავალ, კაი დამშვიდდი.

თვალებში ჩავცქეროდი, ეღიმებოდა. საოცარი სითბო იღვრებოდა მისი თვალებიდან. ძმური სითბო.

* * *

ძილი აფეთქების საშინელმა ხმამ დამიფრთხო. ჯერ მოშორებით, ორმოცდაათიოდე ნაბიჯის იქით ჩამოვარდა ჭურვი. მიწა შემომეპნა თვალებში, ვეღარაფერს ვხედავდი, ბიჭები წამოიშალნენ. ჩვენი ოცმეთაური რადაცეებს ყვიროდა, მაგრამ ვერაფერი მესმოდა. ავტომატს უმისამართოდ ვისროდი. მცირე ხანში უფრო ახლოს დაეცა ის ვერანა ჭურვი. ისეთი შეგრძება მქონდა, რო ცოცხლად ვიმარხებოდი. გონება დაგარგვ. რამდენიმე წუთი გარე უგონოდ ვეგდე. მერე ბიჭები დამესივნენ და ძლივს მომიყვანეს გონზე. რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. ვხედავდი, როგორ ვიწროვდებოდა რკალი და ალყაში მოვექეცით. აქეთ სასაფლაოს

მხრიდან გვიტევდნენ, იქით გაკაფული ჭალი-დან გვესროდნენ. ოცმეთაურს მჯდრის ფერი ედო.

— ხო გეუბნებოდით, არ დამიჯერეთ. მე პასუხს ვეღარ ვაგებ.

არც არავინ უსმენდა. ყვალა გამგელებული ისროდა, ისეთი ცეცხლი ედგათ თვალში... ვერც აღვწერ.

ალბათ, არც არავინ ფიქრობდა სიკვდილზე, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ გვიახლოვდებოდა.

სასაფლაოს მხარეს ალეის გარდვევა გა-დაწყდა ბოლოს. ეს იყო, ალბათ, გადარჩენის ბოლო და თანაც ძალზე უიმედო შანსი, რად-გან ჩვენ სულ თექვსმეტნი ვიყავით, რუსები, სავარაუდოდ, ას კაცზე მეტნი უნდა ყოფი-ლიყვნენ. გვესროდნენ თითქმის ყველა სახეო-ბის იარიღიდან. ბოლოს რაც მახსოვს, ერთ-ერთ საფლავზე ამოშენებულ კედელს ამოვეფა-რეთ მე და ვაკო. დაფარვით რიგ-რიგობით უნ-და გამოვსულიყავით, ჯერ მე და ვაკო, მერე მიშა და რუსლანი, მერე ბაქარი და გალდავა... სწორედ იმ კედელთან დაეცა „მინამიოტის“ ჭურვი...

თვალი გავახილე. აფეთქებების ხმა აღარ ისმოდა. რუსული საუბარი ჩამესმა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო სხეული აღარ მქონდა, გვერდით გავიხედე, ვაკოს ცხედარი დავლან-დე, კედლის ქვეშ მოყოლილიყო. დაყვირება ვცადე, სისხლი და ცრემლი თვალებში ერთია-

ნად მომაწვა, მაგრამ თითქო ენაც ამოგლეჭკილი მქონდა, ხმა ვერ ამოგიდე, მხოლოდ ერთი ამოვისრიალე და იმ ამოსრიალებით გამოვხატე ჯარის ძმაკაცის სიკვდილით გამოწვეული უბედურება. ვიღაცის ჩრდილი წამომადგა თავზე, ახედების თავიც ადარ მქონდა, ფეხი წამარტყა, ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რო სიმწრით მიწა მოვფხორგნე.

— ცოცხალია. — თქვა ვიღაცამ.
— ცოცხალია? — შეეკითხა მეორე, რომელიც დადუბულ ქართველ ჯარისკაცებს ძარცვავდა, სისხლიან უბებში ხელებს უფათურებდა.

— ცოცხალია, — ისევ გაუმეორა, ციფი, გამყინავი ხმა ჰქონდა, იტყოდი, სიკვდილი ლაპარაკობს მისი ბაგეებიდანო.

— დავხვრიტო? — თქვა და ავტომატის ჩხა-კუნი გავიგე, „ზატორი“ გამოწია.

ჩემთვის დიდი მნიშნველობა ადარ ჰქონდა, ცოცხალი ვიქნებოდი თუ მკვდარი, რადგან მივხვდი, რო მტერს ჩავუვარდი ხელში და იმასაც მივხვდი, ხანდახან ადამიანის სიცოცხლე როგორი იაფია.

* * *

— ვაკო, სად მიდიხარ, ვაკო, ერთად წავიდეთ. მოიცა, გესმის?

ვაკომ ყური არ მათხოვა, თითქო არცამცნობდა, უკანმოუხედავად წავიდა. გავედევნე.

- ეე, რა იყო, ნაწყენი ხომ არ ხარ?
- ვაკომ შემომხედა, სახე სისხლით პქონდა მოსარგლული.
- რა გინდა? — მკითხა ყასიდად. ისეთი მზე-რა პქონდა, იტყოდი, რაღაცაში მადანაშაულებდა.
 - მეც წამოვალ, სად მიდიხარ?
 - არა, — მითხრა ჯიუტად და წასვლა დააპირა.
 - მოიცა, სად მიდიხარ?
 - მელოდებიან, — თქვა და ისე სწრაფად დამტოვა, თვალი ვეღარ შევასწარი, გაქრა, გაუჩინარდა.

მივიხედ-მოვიხედე, ვეება მინდორში მარტო ვიყავი, ცას ავხედე, შებინდებულს ჰგავდა. აქ საიდან გაფჩნდი, საიდან მოვხვდი, ან ჩემი მე-გობრები სად იყვნენ. ჯარის ძმაკაცები.

თვალი გამოვახილე, ბნელ, აშმორებულ ოთახში ვიჯექი, ციცქნა ჭუჭრუტანიდან თვალს აპარებდა ზაფხულის მნათობი, თითქო ჩემი მდგომარეობა აინტერესებდა. თავს არ მანებებდა. ხელები შეკრული მქონდა. წამოდგო-მა ვცადე, მაგრამ ისეთი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, იტყოდი, ყველა კიდური მომტკრეული მქონდა, უპაერობა იყო, სუნთქვა გამიჭირდა, ქოშინი ამივარდა. უარესად ამტკივდა ყველაფერი, ყველა ძვალს ვვრძნობდი. თავში თითქო უროს მირტყამდნენ. თვალები დავხუჭე, ჭერი დატრიალდა, გული ამერია, მაზიდებდა, ძვლების ტკივილი უარესად შევიგრძენი. მერე თითქო ციება შემეყარა, კანკალმა ამიტანა,

კბილს კბილზე მაცემინებდა. მეხსიერებიდან ბოლო წუთები ამოტივტივდა, როგორ ჩაეცა აკოფში ჭურვი. ვიცოდი, რო მარჯვენა ტერფი მომწყდა და ალბათ იქვე ჩაიმარხა, ფეხის ნაწილთან ერთად, უმჯობესი იქნებოდა, რო მეც ჩავმარხულიყავი და აქ არ მოვხვედრილიყავი, სადაც ისედაც სიკვდილი მელოდა, ნელ-ნელა გრძნობა დამიბრუნდა, სიბნელეში ვერ ვხედავდი, ჩემს სხეულს, მაგრამ ახლა უპავ ვგრძნობდი რო წვივის ბოლოს მქონდა მოგლეჯილი კიდური. სისხლის სუნს ვგრძნობდი, საკუთარი სისხლის სუნს. ოხრად დარჩენილ სისხლის სუნს. მენანებოდა. დაღვრილიყო ბარემ, სადაც დასაღვრელი იყო, ეს ტანჯვა და სირცხვილი ხომ ამცდებოდა. ბნელ ოთახში სისხლის სუნზე გავეშებული ვირთხები დაშლიგინებდნენ, მერე თანდათან ახლოს მობედეს მოსვლა. ვირთხებმაც იგრძნეს, რო ფეხზე წამოდგომა არ შემეძლო, ერთი-ორჯერ ვცადე მოგერიება, სხეული შევატოკა, გავინძერი, მერე რაც ძალი და ღონე მქონდა დავიღრიალე, არაფერმა არ გაჭრა, ვგრძნობდი, როგორ გლეჯდნენ ჭრილობას, წვეტიანი კბილებით მძიგნიდნენ. ტკივილზე მეტად სხვა განცდა უფრო მაგიუებდა და მახელებდა, ვერაფერს გხდებოდი და ერთიანად მომძალებოდა შიში და ზიზღი, ბუსუსებს მაყრიდა ტანზე, მაჟრულებდა, სიკვდილს ვნატრობდი. რა ბედნიერება იქნებოდა, შემოსულიყო ვინმე და ერთი ტყვია გაემეტებინა, სა-

კუთარი თავის ზიზღი რამდენიმე წუთმა კიდევ უფრო გამიმდაფრა. ვირთხები ჩემს ხორცს მი-ირთმევდნენ. საშინელი ცხვირები ჩემი სისხ-ლით ჰქონდათ მოთხუპნული. ისევ დავიდრია-ლე, თქვენი დედა... გააღეთ კარი. არავის ხმა არ გაუცია. მარტო მზე დამცექროდა ჭუჭრუ-ტანიდან ჩემად, ქურდულად. მერე იმანაც ვმ-დარ გაუძლო, სხივები აკრიფა, აცენცა და კი-დევ უფრო ჩამობნელდა. უფრო მოემატნენ ვირთხები, წრიპინებდნენ, რაღაც საშინელ ბგე-რებს გამოსცემდნენ, ალბათ, ერთმანეთს ეპატი-უგებოდნენ. გემრიელი ხორცი მქონია თურმე-მერე ჩხუბიც მოუვიდათ, ერთმანეთს დაერივნენ და მცირე ხნით თავი მიმანებეს, პირქვე წა-ვემსე, ნელ-ნელა გავხოხდი, ნათხარ ბეტონს მოედო მოგლეჯილი წვივის ძვალი და გონება დავკარგე, რამდენიმე წუთში ისევ მოვფხიზლ-დი, ისევ ვიგრძენი ვირთხის წვეტიანი კბილები. ოხ, ვაკო, ვაკო, რატომ არ წამიყვანე, შე სულ-კურთხეულო, შენა, რა მოხდებოდა, მეც გაგუ-ყოლებინე, საიქიოში ერთი ადგილის შოვნა რა გახდა, ბიჭო, სიკვდილიც არ არი შენი ნება თურმე სხვა ყველაფერთან ერთად. კარი დაბ-რახუნდა. ოსური საუბარი გავიგონე, ორი ლე-რი ოსური მეც ვიცოდი, იმ ჩემი არსახსენებუ-ლი დედინაცვლის საუბრიდან მქონდა ნასწავ-ლი. სიბნელეში ვერ გავარჩიე, მაგრამ ლაპარა-კით დავასკვენი, რო ორნი იყვნენ. ფანარი მო-მანათა ერთმა, ვირთხები გაიფანტნენ. მოვიდა,

ჯიქური ნაბიჯით მომიახლოვდა, ველოდებოდი, რო რაღაცას მკითხავდა, რატომ ველოდებოდი, ვერ გეტყვით, მაგრამ არც აცია, არც აცხელა, იმოდენა ბათინკიანი ფეხი სახეში ამომიჭირა, თითქოს რაღაცა განათდა, ცეცხლის ალის მსგავსი გაკრთა წამიერად, ვირძენი, როგორ ჩამომცვივდა კბილები, რომელიც ძლიერს გადმოვაფურთხე, სისხლი წამსკდა ცხვირ-პირიდან, ახლა თმებში წამკიდა ხელი, ამქაჩა, მერე ხელი გამიშვა და ვეება წიხლი ისევ ჩამაზილა. კედელს მივეხეთქმ, ვიგრძენი, რო თავიც გამიტყვდა.

ავხედვ, ვერ ვხედავდი, უაზროდ ვაცქერდებოდი, მინდოდა, რო მისი სახე დამენახა, უფრო სწორად, მას დავენახე, იმიტომ კი არა რო შევბრალებოდი, ან ჩემი სასოწარქვეთილი თვალები დაენახა, არა, თხოვნა მქონდა რო ესროლა, ერთი ტყვია გაემეტებინა და მერე თუ გინდა მკვდარი სხეული ეძიძგნათ იმ ბნელი ოთახის ბინადრებს. ფანარი მომანათა სახეში. მე თვალები დავხუჭებ და ოსურად წავიდუდღუნე, მესროლე თუ კაცი ხარ-მეთქი.

ალბათ ჩემმა ოსურმა თუ გააკვირვა, ფანარი უფრო ახლოს მომანათა.

- გაიმეორე რა სთქვი.
 - მესროლე! - ყელში კაბდოსავით წამომედო სიტყვა.
 - ოსური საიდან იცი?
- მე მეტი არაფური მითქვამს.

— შენ გელაპარაკები.

თავის აწევის ძალაც აღარ მქონდა. კრიჭა მეგვროდა.

ავტომატის ლულით ამაწევინა ნიკაპი. მიბედილ, სისხლით სავსე თვალებში ჩამხედა.

— ესროლე! — უთხრა მეორემ.

იმედი გამიკრთა, ვიფიქრე რო რამდენიმე წამში დამთავრებოდა ჩემი ტანჯვა.

— ესროლე-მეთქი! — აძალებდა მეორე ოსი.
— ესროლე, რამდენი ოსი ეყოლება მოკლული ვინ იცის. ოსურად იმიტომ დაგველაპარაკა, იფიქრა, ალბათ, გული აუზუყდებათო. აღარ დააცადა პირველს, ავტომატი გააჩხაკუნა, სროლა დააპირა, მაგრამ პირველმა არ დაანება. მკვდრებში ცოცხლებს არ გაგვიცვლიან, ჯერ ჩვენი ბიჭები გამოუშვან და ამათი აწიო-კება მერე ნახე. ამასობაში ისევ გაიღო ხრჭია-ლით რკინის კარი, მესამეც შემოუერთდათ, რომელსაც ხმა არ ამოუღია, იდგა და იმ ორის საუბარს უსმენდა. წასვლა დააპირეს, იმედი გადამეწურა.

— ნუ დამტოვებთ, მაინც სისხლად ვიცლები, მესროლეთ, თქვენთვის რა აზრი აქვს. — ისევ ოსურად ვუთხარი, მივაბ-მოვაბი დედინაცვლის-გან ნასწავლი სიტყვები, წინადაღება დავბლან-დე როგორც იქნა. ყურადღება არ მოუქცევიათ. კარი გაიჯახუნეს. ისევ მარტო დავრჩი ვირთ-ხების პირისპირ. შედედებული სისხლის გემოს ვგრძნობდი. წმინდა მამების წიგნებში აღწერი-

ლი ჯოჯოხეთის სცენები ცხადდებოდა. მზეს
ვეძებდი ჭუჭრუტანაში, მაგრამ წასულიყო მზე.

* * *

— ქართველი ხარ? — ეკითხებიან.

ჯერ არაფერს ეუბნება. თავჩაღუნული უს-
მენს. მართა ბაბოს სიტყვები უწივის ყურთან,
წაიყვანს ის ძაღლის ნაშობი ქალი, ის ძუძუ-
დამწვარი ისა და თავის ყაიდაზე გაზრდის,
გადააჯიშებს ბავშვსა, არ დავანებებ არა, მე
გავზრდი ჩემ გემოზე, აბა ეგ რა შვილის გა-
მზრდელია ეგა, ძმებს არ დავაშორებინებ სულ
ტყუილია. ერთად უნდა გაიზარდონ.

— ქართველი ხარ, შენ გეკითხები, თავი
აწიე! — ქიმუნჯი მიჰკრა უფროსმა სერეანტმა,
რომელსაც ტყვედ ჩავარდნილი „ოსის“ პას-
პორტი ეჭირა და გაოცებული აკვირდებოდა.

ხელებგაკოჭილმა ტყვემ თავი დაუქნია.

— მერედა ესე რამ გადაგაჯიშა შენი, — ვე-
ლარ მოითმინა ძვალმსხილმა ფორმიანმა და
ხელებგაკოჭილ, ტყვედ ჩავარდნილ მებრძოლს
ალიყური აჭამა. — თფუი, შენი, შენ ქართვე-
ლობას რა ვუთხარი, ეს როგორ ჩაიდინე, ესე
რამ გადაგაჯიშა კაცო, ესე რამ გამოგიცვალა
სისხლი.

სხვა მებრძოლებიც შემოეხვივნენ თავჩაღუ-
ნულ ტყვეს, სათითაოდ ნახეს რუსულად შევ-
სებული პასპორტი.

თავის აწევა უჭირდა. უნდოდა, ყველაფერი მოეყოლა, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა. ერთი სული პქონდა, გაუყვანათ და იქვე დაეხვრიტათ, რო ეს სამარცხევინო წუთები სამუდამოდ დასრულებულიყო. თვითონაც ხვდებოდა, რო გვარიდა შერჩენოდა ქართული, თორემ სხვა დანარჩენი... საკუთარი სისხლიერების მტრად გაეზარდათ, ისეთი განცდა პქონდა აყოლილი ბავშვობიდან, რო მისი ქართველად დაბადებით გამჩენმა რაღაც დიდი შეცდომა დაუშვა. რამდენი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც მმას დაშორეს, ბუნდოვნადდა ახსოვდა, გონებაში გადათვალა, ცხრამეტი. არასოდეს მოუკითხია საკუთარი მმა, თუმცა სიზმარში არაერთხელ უნახავს...

თითქო მის სულში რაღაცამ გაიღვიძა. კი-თხებას უსგამდა საკუთარ თავს. რატომ მოხვდა აქ, ამ სკამზე, რატომ პქონდა გაკოჭილი ხელები და რატომ ერქვა ტყვე, ან ასე რატომ ექცეოდნენ. რატომ?

— რა გქვია? — პკითხა ერთმა.

მძიმედ ასწია თავი, თითქო საკუთარი სახელის თქმაც ესირცხევილებოდა.

— კობა, — ამოიკითხეს პასპორტიდან.

— კი, მაგრამ ქართველი კაცი ხარ და რატომ ესროდი ქართველებს? რუსებმა მიწები წაგვართვეს, ჩვენ ჩვენი ტერიტორიის დასაცავად ვიბრძვით და შენ რატომ...

თითქო ვიღაცა ალაპარაკდა მისი ბაგებით. რაღაცა გალღვა მის სულში, იტყოდი, აღსარებას აბარებსო. ნერწყვი უმრებოდა. ხმა უკანკალებდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო იქვე მისი ცხრამეტი წლის უნახავი ნახევარმმა იჯდა და ისიც უსმენდა. ბოლოს სიგარეტი ითხოვა, ხელები გაუხსნეს.

* * *

— გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების სურათები მიცოცხლდება, რა საშინელებაა, რო XXI საუკუნეშიც არსებობს ფაშიზმი და ასეთი დამოკიდებულება ადამიანებისადმი. არა, არა, არ შეიძლება არ ჩაერიოს მსოფლიო და ასეთ რამეზე თვალები დახუჭოს, ძალიან ცუდად მოუტრიალდება ევროპას. ძალიან ცუდად, ჰგონიათ, რო ეს საფრთხე ძალიან შორსაა, მაშინაც ასე ეგონათ და მერე რა დღეში ჩაცვივდნენ, როცა მოელ ევროპას გადაუარა ჰიტლერის ნაციისტური იდეოლოგიის შტურმმა.

— შეხედე, რას ჰგავს! — თავი ამაწევინა, თვალებში ჩამხედა. — ცუდად ხარ?

საყველპურო ინგლისური კი ვიცოდი, მაგრამ დალაპარაკების თავი არ მქონდა.

— მეც რა კითხვა დაგუსვი, ასეთ პირობებში ადამიანი კარგად იქნება? — წაიბუტბუტა უცხოელმა.

ტანსაცმელზე შევავლე თვალი. მკერდზე წითელი ჯვარი ჰქონდა გამოსახული.

— ნუ გეშინია, ეხლა ყველაფერი კარგად იქნება. — დამაიმედა მეორემ და თვალი ჩამიკრა, ჭორფლიან სახეზე ღიმილი აუგორდა, თანაგრძნობის ღიმილი.

— რამდენი ხანია, რაც ტყვეობაში ხარ?

მე დალაპარაკება ვცადე, მაგრამ ენა ვერ დავიმორჩილე. ბოლმა მომაწვა, ცრემლი ჩამომიგორდა თვალზე და ნერვიულად შევტოკდი.

— კარგი, კარგი, ნუდარ განიცდი, ეხლა აღარაფერს დაგიშავებენ. კიდევ ორი წითელჯვრიანი გამოჩნდა, საკაცე შემოიტანეს. კუთხეში მიყუჟული ვირთხები სინანულით მომჩერებოდნენ. მათ კიდევ დიდხანს ემახსოვრებოდათ ჩემი სისხლისა და ხორცის გემო. ტყვეობიდან ვთავისუფლდებოდი და საკაცით ვუახლოვდებოდი წითელი ჯვრის მანქანას. ომი დამთავრდა, მე ფეხმოწყვეტილი ვბრუნდებოდი და ვტოვებდი იმ ადგილს, სადაც გაუპატიოსნებლად ეყარნენ ქართველი მებრძოლები, ზოგი ჩემი ბრიგადიდან, ზოგიც სხვა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ყველა ჩემი არ იყო? და კიდევ, ჩემს მმას ვტოვებდი, რომელიც სად იყო, კაცმა არ იცის, იცი, რა ბოლმა მიჭამდა გულს? ვინ იცის, როდესაც საკანში შემოვიდნენ ოსები და ჩემი მოკვლა დააპირეს, იქნებ რომელიმე ჩემი მმა იყო-მეთქი, ან ჩემი მმის მეგობარი. თვალი დავხუჭე. წითელი ჯვრის მანქანაში ციმციმ შეაცურეს საკაცე.

— მსოფლიო ომების ისტორიას ბევრი უცნაური ამბავი ახსოვს და ერთიც შეემატა. — ჩაილაპარაკა სერგანტმა როგავამ და თანამებრძოლებს შეხედა, რომლებიც ტყვეების გაცვლაში მონაწილეობდნენ.

აქედან ხელის გულზე მოჩანდა ცხინვალი.

ჯერ იყო ქართველების საგუშაგო, საგუშაგოს იქით - ქვიშით გატენილი ტომრების კედელი, აქა-იქ რო ბალახს ამოეყო თავი. მერე ბეტონის ფილები, მერე ისევ ქვიშით გატენილი ტომრების კედელი, ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით ოსების საგუშაგო იწყებოდა. სამფერიანი დროშა ფრიალებდა. იქაც იგივე მეორდებოდა, ჯერ იყო ბეტონის ბორდიურები, მერე ქვიშით დატენილი ტომრებით ახუხულავებული კედელი. აქედან ხელის გულზე ჩანდა ცხინვალი.

— უცნაურია, — აგრძელებდა როგავა, — მმები ერთმანეთში უნდა გავცვალოთ. განსხვავება ის არის, რომ ის საკაციო მოგვიყვანეს, ეს კი თავისი ფეხით მიდის, თავისუფლების მოლოდინში მყოფ „ტყვეს“ შეხედა სერგანტმა, „ტყვემ“ თავი დახარა.

— იმედია, აღარ ესვრი ქართველებს.

მტევნად შეკრული სიტყვების მადლი

სტრიქონი სტრიქონს მისდევს, პროზაული,
მაგრამ შინაგანი რითმით დატვირთულ-აღსავ-
სე, მწყობრი, ნაღდი ქართული, გულის სისხ-
ლით ნაკვები... ზოგჯერ ბნელ, საზარელ ამ-
ბავს გადმოსცემს სტრიქონი, მაგრამ სხივნათვ-
ლია სიტყვა, მზით გამობარ-ნალოლიავები,
ლამაზი და მისაღები ყველა რანგის მკითხვე-
ლისათვის, რადგან გასაგებია სულთან მისა-
ტანი, ტრადიციულის ქურაში ნაწრობი, არა,
არა ძველი, ახალი და ამავდროულად ნაღდი
ქართული...

უახლოეს ეპოქას ასახავს პროზაიკოსი,
სულ რაღაც ათი წლის მანძილზე გაშლილს,
ბოლო პერიოდის ძირტკბილასავით მომდინარე
ამბებით დატვირთულს. ომის გადატანით, ომის
შთაბეჭდილებებით დაღლილი გულით, ნაჭრი-
ლობევის სისხლდინარობით, სიცოცხლის
წყურვილითა და სიკვდილთან მოწამეობრივი
განცდით შეხვედრით...

ასეთად მოედინება უცნაურად დამტევი
ბწყარედები პროზაიკოს გიორგი სოსიაშვილის
ახალ კრებულში, რომელსაც „მზის გადაღმა“
ჰქვია. რატომ მზის გადაღმა? ამაზე მწერალი
თავისი გმირის პირით იძლევა პასუხს: „...სა-
დაც ჩვენც უნდა წავიდეთ. მზის იქით იწყება
ახალი ცხოვრება. იქ მიდიან ადამიანების სუ-

ლები, იქ სულ მზეა, არ დამდება. განა ამ წუ-
თისოფელს პგავს, ამ ვერანსა ამას, ნახევარ
ცხოვრებას რო ძილში ვატარებთ, უგრე გვად-
ნება ხელებშია, გათენდება, დაღამდება, გათენ-
დება, დაღამდება, გემატება და გემატება წლე-
ბი“ („მზის გადაღმა“). აქ, ორი მოხუცის დია-
ლოგში, უცნაური ხელებში იხსნება სულისა,
სადაც ხორცი დამჭკნარია, იქ სიყვარულით
შეერთებული გულები მარადისობას ეზიარები-
ან. მზის იქითაც ერთმანეთთან იქნებიან. თუ
არა... მაშინ? მაშინ არ უნდათ მზიანი, გა-
ნათებული დრო, არ უნდათ მარადიული სიხა-
რული. მათი ჭირ-ვარამი ლხინთან იყო ნაზია-
რები ამსოფლად, იქაც ერთად უნდათ ყოფნა
და ავტორს, მის გმირებს სჯერათ, რომ მათი
სულებიც ერთად იქნებიან... ამ „მარადიულ
სიყვარულს ეძღვნება დანარჩენი ნოველებიც
(ჩვენ, პირობითად, ნოველები ვუწოდეთ). დიახ,
ეს ახალი ნოველებია, მოკლესიუჟეტიანი, მაგ-
რამ მთელი ცხოვრებით დამუხტული, მცირე-
პერსონაჟიანი, მაგრამ მთელი სამყაროს შემად-
გნელი ელემენტებით აღსავსე, ქართლის გუ-
ლისგულში მომხდარი ამბებით, მაგრამ გლო-
ბალურისაკენ სწრაფვით, რადგან ასეთი ამბე-
ბი შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში
შეიძლება მოხდეს, ოდონდ მხოლოდ ჩვენეული,
მხოლოდ ჩვენეული კვანძითა კულმინაციით. აქ
ქართველი კაცის ბუნება სხვადასხვა კუთხი-
თაა გაშლილი, რეტროსპექტირებული... კითხუ-

ლობ და თვალწინ გიდგება ის სამყარო, რომელიც შენს გარშემოა, ოღონდ აჩქარებული კადრივით, სადღაც გაქცეული, ნოველაში კი შეჩერებული, ტემპის შეუნელებლად... აქ ავტორის კალმის ოსტატობა ისეთ ფიგურას ქმნის, რომელშიც ჩატეულია ერიც და ბერიც, მომაკვდავი ხეცა და ბებერი ძაღლიც, ბავშვობაში გადათვლილი მერცხლებიცა და სიყვარულით განათებული გულიც თავის ადგილს იმკვიდრებს.

ნოველაა, იქნებ ავტორი არც დამეთანხმოს, მაგრამ ნოველა, ახალი ნოველა, რომლის ოსტატობაც ამჯერად განუმეორებელია, მხოლოდ მისეული, ქრონიკად გაშლილი და ამავდროულად თითოეული დამთავრებული მონაკვეთი ადამიანის ცხოვრებისა, რომელშიც თანამედროვე ქართველის ბობოქარი ყოფაც მოჩანს, სიცოცხლის წყურვილიც...

რა ლამაზია შეყვარებული წყვილის სალოცავში გამგზავრება, რა ლადია აქ მიჯნური ვაჟისა და კეპლუცი გოგონას განცდები... აქაც მზის ნათელი ეფინება მთავარ გმირებს....

გ. სოსიაშვილი კალამს არ „ეთამაშება“. მისი თითოეული სიტყვა სახოვანია, პერსონაჟი სახოვანი, ამბავი სახოვანი. 21-ე საუკუნის ეპოქაც იგივე სახოვნებით იშლება თავისი სიამტკბილობით...

ავტორს იუმორიც მოუშველიებია ალაგ-ალაგ, იქნებ სატირაც „წერას“ აყოლილ მელექსე-

ებზე, სამყარო არ იცვლება: მეორდებიან თავ-დადებული სასულიერო პირები, ვაჟკაცი მეომ-რები, თავგადამკვდარი დედები, შვილის გამო-სწორება-გარდაქმნაზე მზრუნველი მამები...

ექსტრემისტების მიერ დაკავებულ ტერიტო-რიაზე მიდის შეუძრეულად ქართლელი გლე-ხი, რომელიც დაღალა უწყლობისაგან გაწამე-ბული ხეხილის იერმა. მისთვის თავგანწირვის ტოლფასია წყლის მონაკადებაზე ზრუნვა... მტრისთვის გაუგებარია გლეხის თავგანწირვა... თუმცა იქნებ გაიგეს კიდეც... მაგრამ აქ სხვაა წინა პლანზე წამოწეული, თავად გლეხი, სი-ცოცხლის გახანგრძლივებისათვის სიცოცხლის გაწირვაზეც მზადმყოფი...

იქნებ აქაც კვლავ გრძელდება სულ ცოტა ხნის წინ მომხდარი ომის ისტორიაც... ისტო-რიაა, აბა რა, ორი მმის საზარელი ტრაგედია, რომელშიც ავტორის კალამი გმირის განცდების თანამდევია („ტყვეები“): „ბეჭელ ოთახში სისხლის სუნზე გავეშებული ვირთხები დაშ-ლიგინებენ, მერე თანდათან ახლოს მობედეს მოსვლა, ვირთხებმაც იგრძნეს, რო ვეხზე წა-მოღვრმა არ შემეძლო, ერთი-ორჯერ ვცალე მოგერიება, სხეული შევატოკე, გავინძერი, მერე რაც ძალა და ლონე მქონდა, დავიღრიალე, არაფერმა არ გაჭრა, ვგრძნობდი, როგორ გლეჯდნენ ჭრილობას, წვეტიანი კბილებით მძიმენიდნენ“. აქ განცდა ჭეშმარიტია. სახოვა-ნი და ტრაგიკულად გადმოცემული და ამავე

დროს მარტივად, სადად. ამ სისადავეშია მწერლის მაღალი ოსტატობაც. არ წამხდარა ქართველი კაცი, იგი ისევ ისეთი დარჩა, იგივ „მხნე, მღერალი, მოყვარე თვის მიწისა“.

ერთი სუნთქვით იკითხება მთელი კრებულიც, ხან ცრემლი გერევა თვალზე, ხან იღიმები გმირების დარად... და ბოლოს, ბოლო ფურცლებზე გეუფლება სინანულის გრძნობა; აი, დამთავრდა მორიგი მოგზაურობა უახლოეს წარსულში... მწერლის კალამიც, ჩემის აზრით, სუნთქვას მისდევს, გმირების სუნთქვას, სადაც მადლიანი ქართული სიტყვა, ნაყოფივით მწიფე, მოწეული მოდის და მოექანება...

სიხარულის წილად მოდის დაწურული ფიქრი გ. სოსიაშვილის წინამდებარე კრებულში, სიხარულად სიცოცხლის სიყვარულისა, სადაც სიკვდილიც მხოლოდ გარდაცვალებაა მზის გადაღმა.

თამილა გოგოლაძე

შინაარსი

მზის გადაღმა	3
იოანე	9
მელექების სიზმარი	20
დამე მონასტერში	33
ელიაზარის ძველი ჩანთა	44
წერილი დმერთან	52
თანდილას ბოლო ჟამი	63
ქასაბიანთ კოტეს ამბავი	71
ნაძვი	83
ნილოსის ნიანგები	88
გზის დასაწყისში	96
ერეკლეს სახსოვარი	104
რა ეწერა ერთაოზის წერილში?	112
მოგონება ჩვენი უბის ბინადარზე	118
მერცხლების საუფლო	125
პაცუნა	132
ზღვის პირას	136
ძველი სახლი	146
მარანი	156
გული	163
ნათო	172
სტუმარი უცნაური შეკვეთით	178
ტყვეები	190



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge